www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 10 აგვისტო, 2004 წელი. №188 (737) | ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### სად წავიდა "თბილსრესისთვის" განკუთვნილი 6 მილიონი ევრო

საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს შანსი, მომავალ ზამთარში იმპორტირებულ ელექტროენერგიას ეროვნული შეაშველოს. თუ ენერგეტიკის სამინისტრო დროულად გადაწყვეტს "თბილსრესის" სამი ბლოკის ამუშავებისათვის საჭირო 5 მილიონი ლარის გამოყოფას, ზამთარი შედარებით იმედიანი იქნება.

A2

## ეკონომიკა

### გოცირიძე სეპარატისტებისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის მომხრეა



ერგნეთის არალეგალური ბაზრობის წლიური ბრუნვა 370 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებდა, აქედან კონტრაბანდული ტვირთის წლიური ბრუნვა შეადგენდა 250 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო 120 მილიონი აშშ დოლარი ნავთობპროდუქტებზე მოდიოდა.

A4

## უცხოეთი

### ტერორისტები ინტერნეტში



ალ ქაიდას წევრთა მიმართვები ინტერნეტში პირველად საუდელმა მოჯახედებმა გაავრცელეს.

A5

## სამართალი

### დავით მუმლაძეს „კანონიერი ქურდების" დამარცხების იმედი აქვს

სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე მუმლაძემ ადგილობრივ სამართალდამცველებს იმ მოხელეთა საქმიანობის გამოძიება მოსთხოვა, ვინც ტრანსპორტის სფეროში კრიმინალებთან თანამშრომლობს.

A7

## ამინდი

| | 10/8 | 11/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 37 |
| ქუთაისი | 38 | 39 |
| ბათუმი | 36 | 37 |
| სოხუმი | 33 | 31 |
| ფოთი | 36 | 36 |
| თელავი | 35 | 36 |
| ზუგდიდი | 37 | 37 |
| გორი | 33 | 34 |
| ახმეტა | 34 | 36 |
| ჭიათურა | 37 | 38 |
| გაგრა | 32 | 29 |
| სამტრედია | 37 | 38 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8500 |
| ევრო | 2.2690 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4099 |
| რუბლი | 0.0632 |

# ათენი 2004

კახა ფაჩუაშვილი

ათენის 28-ე ოლიმპიური თამაშები ყველაზე გრანდიოზული იქნება ოლიმპიადების არსებობის ისტორიაში. თამაშებში 202 ქვეყნის 11 ათასი სპორტსმენი იასპარეზებს და 300 ოქროს მედალს გაითამაშებს. ანუ ოლიმპიური ჩემპიონი ყოველი 36-ე სპორტსმენი გახდება. საქართველოს ნაკრებიც იმედოვნებს, რომ იღბლიანებს შორის ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც მოხვდება.

ბერძნები ჯერჯერობით არ ასახელებენ იმ ათლეტის ვინაობას, რომელიც ოლიმპიურ ჩირაღდანს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე აანთებს. თუმცა, ბერძნული მედიის ინფორმაციით, ეს იქნება წარსულში ცნობილი კალათბურთელი, საბერძნეთის კალათბურთელთა ნაკრების ლიდერი ნიკოს გალისი, რომელმაც ბერძნები 1987 წელს პირველ ევროპულ ოქრომდე მიიყვანა. მაშინ ფინალურ მატჩში საბერძნეთის ნაკრებმა საბჭოთა კავშირის ნაკრები დაამარცხა. გალისმა თავის გუნდს 40 ქულა შესძინა. ახლა კი ოლიმპიური ჩირაღდნის ანთების პატივი ერგო.

შეგახსენებთ, რომ ატლანტის ოლიმპიადის ჩირაღდანი მუჰამედ ალიმ აანთო. სიდნეიში კი მორბენალმა კეტი ფრიმენმა აუწყა მსოფლიოს ოლიმპიადის დაწყება. ორივე ეს სპორტსმენი დიდად დაფასებულია თავის ქვეყანაში და შეიძლება ითქვას, მის სახეს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ გამოარჩიეს სხვებისგან ბერძნებმა ნიკოს გალისი, რომელიც იმ დიდი გამარჯვების შემდეგ საბერძნეთში თითქმის ლეგენდად იქცა.

ოლიმპიურ ჩირაღდანს 13 აგვისტოს მარათონის ველით შემოიტანენ ათენში. ეს ველი 42 კილომეტრი სირგძისაა. ის ბერძნებმა ტყუილად არ შეარჩიეს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 490 წელს, სწორედ ამ გზით აუწყა შიკრიკმა ათენელებს მარათონის ბრძოლაში გამარჯვება. მაშინ ბერძნებმა სპარსეთის მეფის დარიოს I-ის არმია გაანადგურეს. 25 საუკუნის შემდეგ კი ელადა ოლიმპიურ თამაშებს ამ გზით დაიბრუნებს.

გაგრძელება A3 გვერდზე




## მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკება

### თუმცა, საქართველო ნებისმიერ გამოხდომას საკადრისად უპასუხებს

*გუშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა სპეციალურად უცხოელი ჟურნალისტებისთვის არატრადიციული ბრიფინგი გამართა. ფაქტობრივად, ეს იყო ერთდროულად ბრიფინგიც და პრეზიდენტის საქმიანი თათბირიც სახელმწიფოს პასუხისმგებელ პირებთან.*

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბადრი ბიწაძემ და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნიკა ტაბატაძემ უცხოურ მასმედიას რუსეთის მხრიდან საქართველოს საჰაერო საზღვრების დარღვევის და სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვის არაერთი ფაქტის შესახებ აუწყეს. მათ ასევე ისაუბრეს რუსეთის სამშვიდობო ძალების უკიდურეს თვითნებობაზეც.

პრეზიდენტმა დეზინფორმაცია უწოდა რუსეთის მიერ გავრცელებულ ცნობას, თითქოსდა ქართული მხარე ტურისტულ გემებს გაუფრთხილებლად ესვრის. **"ჩვენ ძალას გამოვიყენებთ უკიდურეს შემთხვევაში და ეს მოხდება საერთაშორისო ნორმების მოთხოვნით,"** - დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

ბადრი ბიწაძემ ხაზგასმით აღნიშნა: **"საქართველოს საჰაერო საზღვრის დარღვევა განსაკუთრებით რუსეთის მხრიდან შეინიშნება. ტურისტული რეისები ყოველგვარი კონტროლის გარეშე მოძრაობენ... ამ კატარღებზე ადვილი შესაძლებელია იყოს ნარკოტიკები, კონტრაბანდული ტვირთი, ასევე, ტერორისტები."**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ივანოვი მოსკოვში კოკოითსაც გაიყოლებს

### დე ფაქტო ხელისუფლება პროვოკაციულ გეგმებზე კონსულტაციებს რუსეთში გადის

ნინო გომართელი

*მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ ედუარდ შევარდნაძის დაუსრულებელ მმართველობას დაუსვა წერტილი, შემდეგ კი ტრიუმფალურად გააძევა აჭარის ავტონომიის ლიდერი ასლან აბაშიძე, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შიშის ზარი გაისმა.*

*"ვარდების რევოლუციის" ტექნოლოგია იმდენად ეფექტური გამოდგა თბილისსა და ბათუმში, რომ როგორც ლეგიტიმური, ისე თვითგამოცხადებული რეჟიმების პოსტსაბჭოთა ლიდერები დაფრთხნენ.*

*აბაშიძისა და შევარდნაძის შემთხვევაში საკმაოდ დიდი აღმოჩნდა რუსეთის როლი. როგორი იყო იგი - დადებითი თუ უარყოფითი, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, ერთი კი ფაქტია, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი ის პირი იყო, ვინც გამწვავებულ სიტუაციებს წერტილს უსვამდა და ქართველი მოსახლეობისთვის უკვე საკმაოდ არასასურველ ლიდერებს მოსკოვისკენ ერეკებოდა.*

*დღეს საქართველოს ხელისუფლების მიზანს ცხინვალის გაყინული კონფლიქტის გადნობა წარმოადგენს, მოსახლეობა და პოლიტიკური ლიდერები კი იმის მოლოდინში არიან, რომ ივანოვმა რუსეთში კოკოითიც წაიყოლოს.*

*საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე გუშინ იმ პროვოკაციებზე ალაპარაკდა, რასაც სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება საკუთარი პოზიციების გამყარების მიზნით გეგმავს.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## რიგგარეშე სესია „წვრილი" ინტრიგებისა და „მცირე" დაპირისპირებების თანხლებით

თამარ მჭედლიშვილი

*დღეს საქართველოს პარლამენტი რიგგარეშე სესიაზე შეიკრიბება. მართალია, დღის წესრიგი უკვე განსაზღვრულია, ხოლო განსახილველი საკითხების თაობაზე პოზიციები – მეტ-ნაკლებად შეჯერებული, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ერთი კვირის განმავლობაში (სავარაუდოდ, სწორედ ამდენ ხანს გასტანს რიგგარეშე სესია) პარლამენტი ყველა საკითხს საკმაოდ მშვიდ და "აკადემიურ" ატმოსფეროში განიხილავს. ასეთი დასკვნის საფუძველს კი პარლამენტის გუშინდელი ბიუროს სხდომა გვაძლევს, რომლის დროსაც რამდენიმე საკმაოდ საინტერესო და დამაინტრიგებელი დეტალი გამოიკვეთა.*



იური ლობოდინის ფოტო

*"წვრილი" გაუგებრობების მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობა მხარს დაუჭერს საბიუჯეტო ცვლილებებს.*

ბუნებრივია, რიგგარეშე სესიის მთავარი თემა "2004 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონში" შესატანი ცვლილებების პროექტი იქნება, რომელსაც პარლამენტართა უმრავლესობა მხარს უჭერს. თუმცა, აქვე იმასაც დავძენთ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ ცვლილებებს გარკვეული სახის წინააღმდეგობები მაინც შეხვდება. ამავე დროს, გამორიცხული არ არის, დღეს პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის საკმაოდ საინტერესო დიალოგის მომსწრეც გავხდეთ – საქმე ის არის, რომ გუშინ, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ ღიად უსაყვედურა ფინანსთა მინისტრს იმის გამო, რომ ბიუროს დაწყებამდე აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტში წარმოდგენილი არ ჰქონდა ცვლილებების ის პროექტი, სადაც პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების საბოლოო პოზიცია იქნებოდა გათვალისწინებული.

ზურაბ ნოღაიდელმა ასეთი "დაუდევრობა" იმით ახსნა, რომ მისდამი დაქვემდებარებულ სამინისტროში სკრუპულოზურად იხილავდნენ პარლამენტართა წინადადებებს. "შესწორებული პროექტის წარმოდგენა მხოლოდ ამის გამო ვერ მოხერხდა," - ასეთი იყო ფინანსთა მინისტრის კომენტარი. მანვე ნინო ბურჯანაძეს ისიც შეახსენა, რომ ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს პარლამენტში ზურაბ ჟვანია წარმოადგენს.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 კანონიერების კულტურა
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# რიგგარეშე სესია "წვრილი" ინტრიგებისა და "მცირე" დაპირისპირებების თანხლებით

პირველი გვერდიდან

შესაბამისად, დღეს საყვედურების ადრესატი სწორედ ზურაბ ჟვანია გახდება. თუ, რა თქმა უნდა, პარლამენტის თავმჯდომარეს გაღიზიანება არ გადაუვლის.

გუშინ ნინო ბურჯანაძე აღმასრულებელი ხელისუფლების ასეთი "უპასუხისმგებლობით" აშკარად უკმაყოფილო იყო. მანვე ფინანსთა მინისტრს დღის ბოლომდე შესწორებული პროექტის წარმოდგენა მოსთხოვა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ პირობის შესრულების შემთხვევაშიც კი, ფინანსთა სამინისტრო მხოლოდ ორი თუ სამი დეპუტატის ინტერესთა დაკმაყოფილებას თუ შეძლებდა.

ასე რომ, დღეს პარალმენტარებს ბიუჯეტის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების ძველი ვარიანტის ირგვლივ მოუხდებათ მსჯელობა. თუმცა, ზურაბ ნოღაიდელი ირწმუნება, რომ კენჭისყრის დღეს დეპუტატები უკვე შეძლებენ საბოლოო ვარიანტის გაცნობას.

და მაინც, ასეთი "წვრილი" გაუგებრობების მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობა მხარს დაუჭერს საბიუჯეტო ცვლილებებს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით "მემარჯვენე ოპოზიციონერებსა" და "დამოუკიდებელ მაჟორიტართა" ნაწილზე, რომლებიც ცვლილებების პროექტს "პრეფიციტურობით" არ ხსნიან. მათი თქმით, მთელი ეს ორომტრიალი ბიუჯეტში კორექტივების შეტანის აუცილებლობით არის გამოწვეული და საშემოსავლო ნაწილის გაზრდის მიუხედავად, სოციალური სფეროს დაფინანსება გათვალისწინებული თითქმის არ არის. როგორც "მრეწველების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, ფინანსთა მინისტრმა ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლების ვერც ერთ შეკითხვას ვერ გასცა პასუხი.

რიგგარეშე სესიის მეორე მთავარი თემა პრივატიზების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა იქნება. აქ პარლამენტის პოზიცია აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციისაგან აშკარად განსხვავებულია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე ცალსახად უარყოფითად არის განწყობილი ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული წინადადებების მიმართ. ამავე დროს, საქართველოს პარლამენტი მთავრობას "თბილავიამშენის" პრივატიზაციის გეგმას უწუნებს და რიგგარეშე სესიაზე "პრივატიზაციის შესახებ" კანონში ცვლილებების წარმოდგენილი პროექტის მხარდაჭერას არ აპირებს.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებმა მთავრობას მოსთხოვეს, რომ "თბილავიამშენის" პრივატიზაცია, 67 მილიონი ლარის ნაცვლად, 84 მილიონ ლარად მოხდეს. როგორც რომან გოცირიძემ განაცხადა, საქართველოს მთავრობამ ან ეს მოთხოვნა უნდა გაითვალისწინოს და საწარმოს პრივატიზაცია ამ თანხაში მოახდინოს, ან ინვესტორს საწარმოს აქციების მხოლოდ 75 პროცენტი უნდა მიჰყიდოს, ხოლო 25 პროცენტი სახელმწიფოს საკუთრებაში დაუტოვოს. გოცირიძის თქმით, **"სახელმწიფოს ხელში დარჩენილ აქციათა 25 პროცენტი იმის გარანტი იქნება, რომ "თბილავიამშენის" შემდგომი გაყიდვა, "თელასის" მაგალითის მსგავსად, სახელმწიფოს დაუკითხავად არ მოხდება".**

ცალკე აღსანიშნავია, საკუთრივ, პარლამენტის პრეტენზიები აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი. გუშინ ბიუროს წევრებმა მთავრობას ბიუჯეტში დამატებითი თანხების გათვალისწინება მოსთხოვეს. საუბარია 137 ათას ლარზე, რომელიც საქართველოს პარლამენტს საკუთარი აპარატის თანამშრომელთა და დეპუტატთა სახელფასო დავალიანებების სრულად გასასტუმრებლად სჭირდება. ეს მოთხოვნა ფინანსთა მინისტრს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა წაუყენა. თავის მხრივ, ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, აღნიშნული საკითხის განხილვა დაიწყოს, თუ ეცოდინება, რომ ეს მხოლოდ ერთი საპარლამენტო კომიტეტის აზრი არ არის და **"ეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალური მოთხოვნაა".**

რაც შეეხება რიგგარეშე სესიაზე განსახილველ შედარებით "მშვიდ" საკითხებს.

დღეს პარლამენტის წევრები კენჭს უყრიან პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს. საგულისხმოა, რომ ეს ინიციატივა პარლამენტარ გიგა ბოკერიას ეკუთვნის. მისი თქმით, ეს საკითხი პარლამენტის კომიტეტებმა უკვე განიხილეს, თუმცა მისი პარლამენტის სხდომაზე გატანა ტექნიკური მიზეზების გამო გაჭიანურდა.

რიგგარეშე სესიაზე პარლამენტი დეპუტატის უფლებამოსილებას მოუხსნის პარლამენტარ ლევან კენჭაძეს, ასევე დაამტკიცებს თურქეთში, რუსეთსა და ისრაელში საქართველოს ახალი სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩების კანდიდატურებს.

და ბოლოს: დღეს პარლამენტარები რუსეთის სახელმწიფო დუმის მიერ რამდენიმე დღის წინათ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით იმსჯელებენ. ეს საკითხი პარლამენტის ბიუროს სხდომაზე საპარლამენტო ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა დავით კირკიტაძემ დააყენა.

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანის განცხადებით კი, პარლამენტმა რეაგირება უნდა მოახდინოს ამ საკითხზე, **"თუმცა აღნიშნულ დოკუმენტზე ადეკვატური დადგენილების მიღება, რუსი დეპუტატების ტონიდან გამომდინარე, პრაქტიკულად, შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დადგენილებას მივიღებთ, იგი, შესაძლოა, ისეთ ტონს შეიცავდეს, რაც პარლამენტს არ შეეფერება,"** - აღნიშნა ბურჯანაძემ.

მწვავე დადგენილების მიღების წინააღმდეგია, აგრეთვე, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი. მისი თქმით, ამან, შესაძლოა, მოსკოვში მყოფ სახელმწიფო მინისტრს გოგა ხაინდრავასა და თავდაცვის მინისტრს გიორგი ბარამიძეს რუსებთან მოლაპარაკებებში ხელი შეუშალოს.

# სად წავიდა "თბილსრესისთვის" განკუთვნილი 6 მილიონი ევრო

*საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს შანსი, მომავალ ზამთარში იმპორტირებულ ელექტროენერგიას ეროვნული შეაშველოს. თუ ენერგეტიკის სამინისტრო დროულად გადაწყვეტს "თბილსრესის" სამი ბლოკის ამუშავებისათვის საჭირო 5 მილიონი ლარის გამოყოფას, ზამთარი შედარებით იმედიანი იქნება და ხელისუფლებას 6 მილიონი ევროს არამიზნობრივად დახარჯვაც გამოუსწორებელ ცოდვად აღარ ჩაეთვლება.*

ვარდების რევოლუციიდან ზუსტად ერთი თვის თავზე ახალმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაავრცელა - საქართველოსა და გერმანიის მთავრობების შეთანხმების საფუძველზე, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა "kfw" ჩვენს ქვეყანას გამოუყო 6 მილიონ ევროიანი მიზნობრივი გრანტი, რომელიც "თბილსრესის", ჯერ კიდევ მუშა მდგომარეობაში მყოფი მე-3, მე-4 და მე-8 ენერგობლოკების რეაბილიტაციას და შემდგომი მუშაობისათვის საჭირო საწვავის შესყიდვას უნდა მოხმარებოდა.

2003 წლის 23 დეკემბერს "თბილსრესის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გუგა ჭავჭანიძემ "24 საათს" განუცხადა, რომ ხელშეკრულებას ხელი უკვე მოეწერა და 2004 წლის 15 მარტამდე მინიმუმ ერთი ბლოკი უკვე ჩაირთვებოდა.

ამ ამბის შემდეგ რვა თვე გავიდა. "თბილსრესისა" და მისთვის განკუთვნილი 6 მილიონი ევროს შესახებ საქართველოს ახალ ხელისუფლებას სიტყვა აღარ უთქვამს, ენერგობლოკები დღესაც გაჩერებულია, მათი რემონტი ჯერაც არ დაწყებულა, მიზეზი კი ძველი და ბანალურია - არ არის საჭირო თანხები.

სად წავიდა გერმანიისაგან "თბილსრესის" სამი ბლოკის ასამუშავებლად გადმოცემული 6 მილიონი ევრო? ის ზამთარშივე დაიხარჯა და თანაც ისე, რომ იქიდან "თბილსრესს" აღარაფერი შეხვდა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს ფული საპრეზიდენტო-საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებასა და პოსტრევოლუციურ რთულ პერიოდში უდენობის გამო სოციალური ბუნტის თავიდან აცილებას დასჭირდა. "ენერგობლოკების აღსადგენად გამოყოფილი თანხა ელექტროენერგიის ერთჯერადი შესყიდვისთვის დაიხარჯა. მოგეხსენებათ, პოსტრევოლუციური საქართველოს ბიუჯეტი ნულზე იჯდა და საკმაოდ ღრმა კრიზისში ვიყავით," - განუცხადა "24 საათს" ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ კახა ბარათაშვილმა. მისი თქმით, ხელისუფლებამ ლოგიკური და აუცილებელი გადაწყვეტილება მიიღო - აღნიშნული თანხით ელექტროენერგია შეიძინა, პარალელურად მთავრობამ 2004 წლის 21 მაისის N29 განკარგულებით შექმნა "სს "თბილსრესში" არსებული სიტუაციის გარკვევისა და მდგომარეობიდან გამოსვლის შესაძლო მექანიზმების შემმუშავებელი" სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაასკვნა:

"- 2004-2005 წწ-ის შემოდგომა-ზამთრისათვის "თბილსრესის" N3, 4, 8 ენერგობლოკებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მომზადებისათვის საწყის ეტაპზე არაუგვიანეს 15 ივნისისა გამოყოფილ იქნეს 4 მილიონი ლარი, ხოლო შემდეგ ეტაპზე - 15 აგვისტომდე 1,5 მილიონი ლარი. წინააღმდეგ შემთხვევაში სადგურში დაგეგმილი პროგრამის განხორციელება საფრთხის წინაშე დადგება, რადგან დაგვიანდება შეკვეთების განთავსება ძირითად ქარხანა-დამამზადებლებთან."

ეს დასკვნა ფარატინა ქაღალდად აქცია ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის თანდართულმა შენიშვნამ - "გასარკვევია დაფინანსების წყარო, საიდანაც სს "თბილსრესს" უნდა გამოეყოს 5,5 მლნ ლარი".

პროფიციტული ბიუჯეტისა და მისგან გამოწვეული სამთავრობო ჟივილ-ხივილის ფონზე "თბილსრესის" თემა კვლავ აქტუალური გახდა - ახლა ხელისუფლება უფულობას ნამდვილად ველარ მოიმიზეზებს.

როგორც "24 საათს" კახა ბარათაშვილმა განუცხადა, დღეს ენერგეტიკის მინისტრთან სწორედ ამ თემაზე დაგეგმილია შეხვედრა და სამინისტროს პოზიცია ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციისა და "თბილსრესის" მუშა-მოსამსახურეების პოზიციას ემთხვევა - ყველა მხარე თანხმდება ენერგობლოკების ამუშავების აუცილებლობაზე.

- მრავალწლიანი მწარე გამოცდილებით, რუსეთიდან კავკასიონზე გადმომავალი ერთადერთი 500 კვ-იანი ხაზის და დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში მომავალი ელექტროენერგიის ასევე ერთადერთი 500 კვ-იანი სადენის იმედზე მშვიდი და განათებული ზამთრის მოლოდინიც კი არ უნდა გვქონდეს, - ასკვნის სამთავრობო კომისია, - ამიტომ აუცილებელია ფუნქციონირებდეს ბაზისური სიმძლავრის თბოელექტროსადგური, რაც ენერგოსისტემის მდგრადობისა და იმედიანობის ამაღლების ერთადერთი საშუალებაა.

"გარდა ამისა, დასაქმდება ასობით ადამიანი და საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს მიიღებს ჩვენი ბიუჯეტი. "თბილსრესის" ამუშავება აუცილებელია და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამისათვის," - აცხადებს ქვემო ქართლის მხარის ვიცე-გუბერნატორი კახა ბარათაშვილი.

*მაია მოსიაშვილი*

# მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკება

პირველი გვერდიდან



*ეს იყო ერთდროულად ბრიფინგიც და პრეზიდენტის საქმიანი თათბირიც სახელმწიფოს პასუხისმგებელ პირებთან.*

მიხეილ სააკშვილის ინფორმაციით, ბოლო ერთ კვირაში ცხინვალში 5 ათასი რუსული პასპორტი გაიცა. გუშინ პირველად ითქვა ცხინვალში რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "მეგაფონის" უკანონო ფუნქციონირებაზე. "მეგაფონს" საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ნებართვა არ გააჩნია. გარდა ამისა, საქმე მარტო ლიცენზირების წესის დარღვევას როდი ეხება: **"სიხშირეებს, რომელსაც ეს კომპანია იყენებს ცხინვალის რეგიონში, უკვე ჰყავს პატრონი ქართული კომპანიების "მაგთიკომის" და "ჯეოსელის" სახით".** საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ მან ამის შესახებ მიმართა რუსეთის მხარეს, რომელსაც არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შექმნილ ვითარებაში ერთადერთ გამოსავალს ხედავს: **"ჩვენი ამოცანაა, ვიმუშაოთ საერთაშორისი ორგანიზაციებთან, ეუთოსთან და გაერო-ს ოფისთან, როგორც ადგილზე, ასევე ნიუ-იორკში, მათ შორის, უშიშროების საბჭოსთან. დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ პოლიტიკური კონსულტაციები რუსეთთან."** სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ამ კონსულტაციების დასაწყისი არის საქართველოს თავდაცვის მინისტრის გიორგი ბარამიძის და კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას ვიზიტი მოსკოვში. ისინი აქტიურ შეხვედრებს რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან დღეს გამართავენ. პრეზიდენტის თქმით, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიზიტები მოსკოვში ინტენსიურად გაგრძელდება. ნავარაუდევია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ვიზიტები როგორც მოსკოვში, ასევე ცხინვალში: **"ზურაბ ჟვანია ნებისმიერ მომენტში მზად არის, შეხვდეს სეპარატისტების ლიდერს... ჩვენ გახსნილი ვართ დიალოგისთვის."**

მიხეილ სააკშვილის განცხადებით, **"საქართველოს აქვს ყველა საშუალება, რომ დაიცვას თავი როგორც საჰაერო, ასევე სხვა ტიპის შემოჭრისგან, მაგრამ ჩვენ შეგნებულად ვიკავებთ თავს მკვეთრი ნაბიჯების გადადგმისგან. დღეს საქართველოს აქვს თავდაცვის ტექნიკური საშუალებები, მაგრამ საქართველო ცდილობს, რომ თავი პოლიტიკური საშუალებებით დაიცვას... ჩვენ არანაირი სურვილი არ გვაქვს, რუსეთთან ურთიერთობა ხელოვნურად დავძაბოთ."**

საბოლოოდ, საქართველოს პრეზიდენტის დასკვნა ასეთია: **"მშვიდობიანი მოლაპარაკების გარდა, სხვა ალტერნატივა ვერ წარმოგვიდგენია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ პროვოკაციაზე არ წამოვეგოთ... არავის მივცემთ საშუალებას, საქართველოში თუნდაც მცირე ზომის შეიარაღებული კონფლიქტი დააფიქსიროს."**

თუმცა, პრეზიდენტმა ასევე მკვეთრად და ნათლად დააფიქსირა, რომ საქართველო აღარ არის თუნდაც ორი წლის წინანდელი ქვეყანა და ის ნებისმიერ გამოხდომას საკადრის პასუხს გასცემს.

*ვერიკო თევზაძე*

# ივანოვი მოსკოვში კოკოითსაც გაიყოლებს

პირველი გვერდიდან



იური ლობოდინის ფოტო

*"კოკოითი, როგორც სეპარატისტი ლიდერი, ასლან აბაშიძეზე სუსტია," - აცხადებს გივი თარგამაძე.*

**- ბატონო გივი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა გაახმაურა ფაქტი, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ სერიოზული პროვოკაცია იგეგმებოდა. რა წყაროებიდან იქნა მიღებული აღნიშნული ინფორმაცია და, საერთოდ, რაში მდგომარეობდა პროვოკაციის არსი?**

- ჩვენი არხებიდან ეს ინფორმაცია გუშინ მივიღეთ, შემდეგ ალტერნატიულ წყაროებთან გადავამოწმეთ და საბოლოოდ ყველამ დაადასტურა, რომ ცხინვალში სერიოზული პროვოკაცია იგეგმებოდა. კერძოდ, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მმართველზე ედუარდ კოკოითზე თავდასხმის სიმულაცია უნდა განხორციელებულიყო, მისი სიცოცხლის ხელყოფის მიზნით, ამის შემდეგ კი, ვითომდა გადარჩენილი კოკოითის ბრძანებით, იწყებოდა ფართომასშტაბიანი, მასობრივი შეტევა ცხინვალში მდებარე ქართულ სოფლებზე. ანუ, ეს ყველაფერი კონფლიქტის ზონის ქართული მოსახლეობისგან მთლიანად გაწმენდას ისახავდა მიზნად. ამ ინფორმაციას ჩვენი უშიშროების სამინისტროც ადასტურებს და ჩვენთვის ცნობილია, რომ აღნიშნული გეგმა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წიაღში მომზადდა. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული ეჭვი, რომ მათ კონსულტირება ჰქონდათ რუსეთთანაც. გამორიცხული არ არის, რომ ამას უკავშირდებოდეს საქართველოს საჰაერო სივრცის ბოლოდროინდელი რამდენიმეჯერადი დარღვევა, რაც, ვფიქრობ, ამ პროვოკაციული გეგმის განსაზღვრას და შემდგომი შეტევის განვითარებისთვის ინსპირირების დადგენას ემსახურებოდა.

ახლა, ალბათ, ამას აზრი აღარ უნდა ჰქონდეს, რადგან ჩვენ ვაფრთხილებთ მთელს საერთაშორისო საზოგადოებას, აღნიშნული საკითხი მოსკოვშიც დაისმება კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას მიერ. ასე რომ, თუ ოდნავ მაინც ლოგიკით აზროვნებს დე ფაქტო ხელისუფლება, გეგმა აღარ უნდა შედგეს.

პრემიერ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრაზე კოკოითის მიერ უარის თქმაც იმის გამო მოხდა, რომ იგი სავარაუდო გარდაცვალებისთვის ემზადებოდა.

ჩვენ ცხინვალის ხელისუფლებას კატეგორიულად ვაფრთხილებთ, რომ ნებისმიერი მოტივით ქართულ სოფლებზე თავდასხმის შემთხვევაში, ისინი უმკაცრეს პასუხს მიიღებენ, და იგი გაცილებით მკაცრი იქნება, ვიდრე აქამდე სხვა ყველა.

ერთადერთი, რაშიც საქართველოს ხელისუფლება რადიკალური იქნება, ეს არის ჩვენი მოსახლეობის დაცვა. ჩვენ, პრაქტიკულად, ყველას შეგვიძლია გარანტია მივცეთ იმისა, რომ ქართულ მოსახლეობას ცხინვალში თმაც არ ჩამოუვარდება.

**- რის გაკეთებას აპირებს ხელისუფლება ამ ყველაფრის საპასუხოდ, ანუ როგორია ამ შემთხვევაში ჩვენი მხარის გეგმა?**

- ჩვენი მხრივ, სიტუაციის გამწვავებას არ ვაპირებთ, ჩვენ გვჭირდება დრო, რომ 14-წლიანი ინტერვალის შემდეგ, მაქსიმალურად აღდგეს ურთიერთობა ქართველ და ოს მოსახლეობაში, ამაზე კი მუშაობა, პრაქტიკულად, ყოველდღე მიმდინარეობს. რამდენიმე ძალიან სერიოზული პროგრამა უკვე ჩატარდა, ამასთან, ვაპირებთ ფართომასშტაბიან მუშაობას ლტოლვილების დაბრუნებაზე მთელი საქართველოს მასშტაბით. პროცესი მაქსიმალურად სწრაფად განხორციელდება და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებასაც ვიმედოვნებთ.

დაბრუნების პროცესი სოფელ მიტარბიდან დაიწყება, სადაც ამ კვირაში საკუთარ სახლებში პირველი ხუთი ოჯახი დაბრუნდება ვლადიკავკაზიდან. სახლები მათთვის უკვე აღდგენილია, ასევე ჩვენ შევუქმნით საცხოვრებელ ყველა პირობას, შევიძენთ მათთვის საქონელს. დევნილების დაბრუნება კი პერმანენტულ ხასიათს მიიღებს, მალევე დაბრუნდება კიდევ 25 ოჯახი, შემდეგ ასი და ასე შემდეგ.

**- ანუ საქართველოს ხელისუფლების გეგმა, პირველ რიგში, მოსახლეობაზე მუშაობას გულისხმობს?**

- მთავარი - ურთიერთობების აღდგენაა, რაც, სხვათა შორის, ძალიან სწრაფად ხდება. როდესაც ჩაქვში დასვენების პროგრამა ხორციელდებოდა, მათ ერთი დღე სჭირდებოდათ, რომ გახსნილიყვნენ და დაენახათ - გარემო შეიცვალა და მათ არავინ ერჩის, პირიქით, ყველა კეთილგანწყობილია.

იგივეა ვლადიკავკაზში, სადაც მე ცოტა ხნის წინ ვიყავი. ვესაუბრე ლტოლვილებს, მათ, ჯერ ერთი, დიდი ნოსტალგია აქვთ, მეორეც, ფიზიკურად ვერ უძლებენ ვლადიკავკაზის ჰავას, არა აქვთ საცხოვრებელი პირობები. აქ შექმნილ ვითარებაზე უკუღმართი ინფორმაცია მისდით, მაგრამ მაინც დაბრუნების დიდი სურვილი აქვთ. ყველაზე რადიკალურად განწყობილ ადამიანებთანაც კი საკმარისია 15-წუთიანი საუბარი, რომ ისინი მთლიანად კეთილგანწყობილნი ხდებიან და მზად არიან, რომ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს სიხარულით დაუბრუნდნენ.

**- რაც შეეხება, ზოგადად, კონფლიქტის ზონაში ვითარებას. როგორი სიტუაციაა იქ ამჟამად, თუ არის შეიარაღებული პროვოკაციები ან, საერთოდ, რა განწყობაა ადგილობრივ მოსახლეობაში?**

- ბოლო რამდენიმე დღეა, რაც კონფლიქტის ზონაში მიწყნარებული სიტუაციაა, მაგრამ როგორც გაირკვა, ამ სიწყნარეს დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერები ძალიან სერიოზული პროვოკაციისთვის იყენებდნენ.

ჩვენ, საერთოდ, საკმაოდ კარგად ვფლობთ საინფორმაციო ნაკადებს, გვყავს წყაროები და ისევე, როგორც თავის დროზე აჭარაში, აქაც საკმაოდ გახსნილია სიტუაცია, ინფორმაცია კი დაუბრკოლებლად და სწრაფად მოდის ჩვენამდე.

პირდაპირ შეიარაღებულ პროვოკაციას რაც შეეხება, ამაზე ხელისუფლება ძალიან სერიოზულ პასუხს გასცემთ და, საბოლოოდ, ზარალი მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას მიადგება, პირველ რიგში კი, იმ დაქირავებულებს, ვინც ამას აკეთებს. ამ დაქირავებულების მიმართულებით, ჩვენი ქმედება იქნება აბსოლუტურად დაუნდობელი, რადგან ამ ხალხს არანაირი ლეგიტიმური უფლება არ აქვს, რომ რაიმე ფორმით დაცული იყოს.

**- ბოლო დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კონფლიქტის ზონაში იყო შეიარაღებული შეტაკებები და იყო მსხვერპლიც ორივე მხარეს, რომ დაიღუპა რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?**

- გარწმუნებთ, რომ ღმერთმა დაგვიფარა და ასეთი შემთხვევები არ ყოფილა. ამის დასტურია ისიც, რომ საქართველო საკმაოდ პატარა ქვეყანაა და აქ არაფერი დაიმალება. საქართველოს ხელისუფლება მსგავსი ინფორმაციების დაბლოკვით დაინტერესებული არ არის. ჩვენ საბჭოთა კავშირი არ ვართ, რომ შეტაკებები და მსხვერპლის არსებობა მოსახლეობას დავუმალოთ.

**- ცხინვალი არ არის აჭარის ავტონომია, და კონფლიქტიც განსხვავებულ ჭრილში გამოიხატება, მაგრამ თუ ელოდებით, რომ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი ისევე მშვიდად დარეგულირდება, როგორც ეს აჭარაში მოხდა?**

- კონფლიქტის დასრულება ისე მშვიდად, როგორც აჭარაში იყო, უკვე არ გამოვიდა, რადგან გარკვეული შეტაკებები იყო, თუმცა ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მაინც იგივე გზით ვიაროთ, როგორც ეს აჭარის შემთხვევაში მოხდა.

სხვათა შორის, ძალიან ბევრი პარალელის გავლებაა შესაძლებელი, იგივე რუსეთის როლისა და ჩარევის კუთხით. და მინდა გითხრათ, რომ ედუარდ კოკოითი, როგორც სეპარატისტი ლიდერი, გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე ასლან აბაშიძე იყო, მის მხარდამჭერთა რიცხვიც გაცილებით მცირეა. თუმცა მაინც, ჩვენ გვინდა რომ მასა მის წინააღმდეგ შეტრიალდეს, როგორც ეს აჭარის შემთხვევაში მოხდა. პრინციპში, კოკოითის მიმართ სიმპათია მოსახლეობაში არც არსებობს. იგივე რუსებიც არ არიან დიდი გამომგონებლები და ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიმართ საერთოდ დიდი სიმპათიით არ გამოირჩევიან.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ხალხზე მუშაობა, რადგან თავის დროზე აჭარაში ხალხს პროცესის განვითარება საკუთარ ხელში რომ არ აეღო, მაშინ ღმერთმა უწყის, ავტონომიაში რას ჩაიდენდნენ რუსები. მოსახლეობის განდგომით, მათ უბრალოდ ხელიდან გამოეცალათ მთელი მოტივაცია, საფუძველი და შესაძლებლობა რაიმე ქმედების განხორციელებისა. ამიტომ, ჩვენ სწორედ ამ გზით უნდა ვეცადოთ, რომ მათ ეს ინიციატივა ხელიდან გამოვაცალოთ.

**- როგორ ფიქრობთ, ასლან აბაშიძის მსგავსად, იგორ ივანოვი ედუარდ კოკოითსაც წაიყვანს მოსკოვში?**

- ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფლება ამისთვის ყველაფერს გააკეთებს.

## მოკლედ

### სამმა ჯარისკაცმა მე-11 ბრიგადის ასეული დატოვა

სამმა ჯარისკაცმა თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის საშტაბო ასეული დატოვა და დახმარებისთვის ახმეტის სამხედრო განყოფილებას მიმართა. პანკისის ხეობის სოფელ დუისიდან ივნისის თვეში სამხედროსავალდებულო სამსახურში გაწვეული თამაზ გორგიშვილი, ჯაბრაელ ხანგოშვილი და ტარიელ მარგოშვილი საშტაბო ასეულის ოცმეთაურის, ლეიტენანტ გვანცელაძის მხრიდან მუდმივ დისკრედიტაციაზე საუბრობენ.

როგორც ჯარისკაცები აცხადებენ, ლეიტენანტი გვანცელაძე მათ მომავალ ტერორისტებად და ჯაშუშებად აღიქვამდა, ოცეულის თანდასწრებით უნდობლობას უცხადებდა, ყაზარმაში დაძინების უფლებას არ აძლევდა და სახლში დაბრუნებას აიძულებდა. "აღნიშნულის შესახებ ეცნობა როგორც რაიონის გამგეობას, ასევე თავდაცვის სამინისტროს," - განაცხადეს ახმეტის რაიონის სამხედრო განყოფილებაში.

*ინტერ-პრესი*

### ჟირინოვსკი ცრუობს

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს "ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის" პრესსამსახურის ინფორმაციით, ავტომანქანების კოლონას, რომელშიც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკი იმყოფებოდა, ანაპიდან აფხაზეთში მიმავალ გზაზე ზღვის მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, ჟირინოვსკის არანაირი საზღვარი არ გადაუკვეთია. ისიც კი ვიცი, სად იყო ჟირინოვსკი იმ დროს, - ნიშნისმოგებით დასძენს მიხეილ სააკაშვილი.

*24 საათი*

### კოკოითის თანამოაზრეთა გუნდი სულ უფრო მცირდება

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის თანამოაზრეთა გუნდი სულ უფრო მცირდება. როგორც ცნობილი გახდა, პოსტი ზნაურის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დატოვა. რუსტამ ჯიოევი ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ერთად სამხრეთ ოსეთიდან ისე გაემგზავრა, თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებს არც შეხვედრია.

ჯიოევის ამ გადაწყვეტილების მოტივად საქართველოს ხელისუფლების მიმართ კოკოითის პოლიტიკა სახელდება.

ამ დროისათვის ზნაურის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობის გარეშეა დარჩენილი.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს დეპუტატები დღეისთვის დანიშნულ სხდომაზე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნი მიმართვის ტექსტს მიიღებენ. საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსადმი წერილის გაგზავნა იმ მწვავე განცხადებების საპასუხოდ გადაწყვიტეს, რომელიც რუსმა დეპუტატებმა გასულ კვირას საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გააკეთეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სოჭში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს "ლიბერალ-დემოკრატების" ფრაქციის 25-კაციანი დელეგაცია ჩავიდა სათათბიროს ვიცე-სპიკერის ვლადიმირ ჟირინოვსკის ხელმძღვანელობით.

დაზუსტებული ინფორმაციით, ჟირინოვსკის და მის თანაფრაქციელებს აფხაზეთში გასამგზავრებლად მოსკოვიდან სოჭში ჟურნალისტთა წარმომადგენლობითი კორპუსი ჩაჰყვა. სოჭიდან მიღებული ინფორმაციით, ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში თანაფრაქციელებთან ერთად აუცილებლად გაემგზავრება აფხაზეთში. სოხუმის ხელისუფლებაში მიღებული ინფორმაციით, ჟირინოვსკის სოხუმში დღეს ელიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა რუსეთ-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობათა შემდგომი პერსპექტივები და ცხინვალის რეგიონში შექმნილი სიტუაცია განიხილეს. რუსეთის ელჩის განცხადებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ცხინვალის რეგიონში დაძაბული სიტუაცია მშვიდობიან და კონსტრუქციულ ვითარებაში დარეგულირდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი ეუთო-სგან სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მისიის გაფართოებას ითხოვს. აღნიშნული მოთხოვნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ თბილისში ვიზიტით მყოფ ამერიკის ელჩთან ეუთოში სტივენ მინიკესთან შეხვედრისას დააყენა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი "სისულელეს" უწოდებს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებას, თითქოს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერს ედუარდ კოკოითს მის წინააღმდეგ ტერაქტის ინსცენირება აქვს განზრახული.

"მსგავს სისულელეზე კომენტარს არ გავაკეთებ," - განაცხადა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ათენი 2004

პირველი გვერდიდან

მთელ ამ ოლიმპიურ დავიდარაბაში საქართველოს წილი საკმაოდ მოკრძალებულია. ჩვენი ქვეყნიდან ათენის სტადიონებზე 33 სპორტსმენი გამოვა, მაგრამ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას დიდი გამოცდილება აქვს და მედლებისთვის ბრძოლა შეუძლია. საკმარისია ითქვას, რომ ყოველი მეექვსე ოლიმპიური თამაშების პრიზიორია, ხოლო ყოველი მესამე მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონი. ამიტომ ქართველ ათლეტებს შანსი აქვთ, დაუდასტურონ მსოფლიოს თავისი მდიდარი სპორტული ტრადიციები და ათენის ოლიმპიურ თამაშებზე პირველი, დამოუკიდებელი ოლიმპიური ოქრო მოიპოვონ.

"ათენის თამაშებისთვის ყველაფერი მზად არის, – განაცხადა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ, რომელიც ამჟამად ათენში იმყოფება, – რა თქმა უნდა, ორგანიზაციულ საკითხებში გარკვეული პრობლემები არსებობდა, მაგრამ ბერძნებმა ღირსეულად დაძლიეს სირთულეები და უნდა ვაღიარო, რომ ეს ოლიმპიური თამაშები ფანტასტიკური იქნება".

ვიზუალური თვალსაზრისით მართლაც ასე ჩანს. ათენის პორტში იცურავებს შვიდი გემი-სასტუმრო, რომელიც ოლიმპიადის დღეებში პატივსაცემ, გავლენიან და მდიდარ ადამიანებს მოემსახურება. ამ გემების ნაწილი საპატიო სტუმრებისა და დელეგაციების წევრთათვისაც იქნება განკუთვნილი. ტურისტებისთვის ყველა პირობა შეიქმნა იმისთვის, რომ მათ თავი მაქსიმალურად დაცულად და კომფორტულად იგრძნონ.

... მაგრამ ეს ყველაფერი საბერძნეთის მთავრობისთვის უაღრესად ძვირი სიამოვნება გამოდგა. იმდენად ძვირი, რომ ბერძნებმა დაიჩივლეს, ნეტა მასპინძლობის უფლება საერთოდ არ მოგვეპოვებინაო. საქმე ის არის, რომ ოლიმპიური თამაშების ორგანიზებას უზარმაზარი თანხა დასჭირდა. ბილეთების დიდი უმრავლესობა კი ჯერჯერობით გაყიდული არ არის. დაბეჭდილი 5,2 მილიონი ბილეთიდან 2,2 ბილეთი გაიყიდა. ანუ სამი მილიონი ბილეთი, ფაქტობრივად, ჩაწოლილია. ბერძნებს ოლიმპიური თამაშებისადმი ინტერესი გაუნელდათ. პირველ რიგში, ეს იმან გამოიწვია, რომ საბერძნეთში არ ჩადის ბრაზილიის ფეხბურთელთა და აშშ-ს ბეისბოლისტთა ნაკრები გუნდები. სარბენ ბილიკებზე დისკვალიფიკაციისა თუ სხვა პროცედურათა დარღვევის გამო ვერ ვიხილავთ რამდენიმე მსოფლიო რეკორდსმენს. ეს კი ოლიმპიურ თამაშებს ერთგვარ პეწს აკლებს და მოსახლეობაც, ათენში დაწესებული მკაცრი კონტროლის გამო, ცდილობს, ოლიმპიადის დღეებში დედაქალაქი დატოვოს.

საბერძნეთის მთავრობა გამოსავალს ეძებს. თუ მაყურებელი არ იქნა, ქვეყანა ფინანსური და მატერიალური თვალსაზრისით წაგებული დარჩება. მარტო უსაფრთხოების დაცვისთვის საბერძნეთის მთავრობამ მილიარდ ევროზე მეტი დახარჯა. მობილიზებულია ქვეყნის როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო ძალები. თამაშებს ჰაერიდან ავიაცია გააკონტროლებს, ხმელეთიდან კი ჯარის ნაწილები და უშიშროების სამსახური. უშიშროებამ თავისი მოვალეობის შესრულება უკვე დაიწყო და იმდენად რუდუნებით, რომ თავის უფლებებს გადაამეტა კიდეც.

ამას წინათ, უშიშროების თანამშრომლებმა ათენის პორტში სასტიკად სცემეს ორი მექსიკელი ჟურნალისტი, რომლებიც მოცურავე სასტუმროებზე რეპორტაჟის გაკეთებას ცდილობდნენ და ამ მიზნით ათენის პორტს ილებდნენ. მექსიკელებს ოფიციალურად ჰქონდათ გადაღების უფლება, მაგრამ უშიშროების თანამშრომლებმა ამის მიუხედავად ჟურნალისტებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მიმდინარეობს გამოძიება. საბერძნეთის მთავრობა ირწმუნება, რომ მსგავსი გაუგებრობა მომავალში აღარ იქნება.

"ოლიმპიადის გახსნას ხელს ვერაფერი შეუშლის," – ამბობს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრესსამსახურის უფროსი ზახარიტოსი.

## კომენტარი

**ელდარ კურტანიძე – ორგზის მსოფლიო ჩემპიონი** (თავისუფალი ჭიდაობა): "ბოლო ორი წლის განმავლობაში მომზადების თვალსაზრისით პრობლემები არ გვქონია. მონაწილეობა მივიღეთ ყველა საჭირო ტურნირსა თუ შეკრებაზე. ამდენად გუნდი სრულ მზადყოფნაშია და დარწმუნებული ვარ, ათენში ჩვენს სამშობლოს უფრო უკეთ წარმოვაჩენთ, ვიდრე სიდნეიში. 33-ვე სპორტსმენი გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად იბრძოლებს."

**მანუჩარ კვირკველია – მსოფლიო ჩემპიონი** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა): "ოლიმპიადაზე პირველად მივემგზავრები. საერთოდ, წინასწარი პროგნოზის გაკეთება ძალიან რთულია, ამიტომ ამაზე ლაპარაკი არ მსურს. ოლიმპიური თამაშები აბსოლუტურად სხვა განზომილებაა და, ამდენად, ყოველგვარი სიურპრიზია მოსალოდნელი."

**ზურაბ ზვიადაური – მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი** (ძიუდო): "ჩემთვის დიდი პატივია დროშის წაღება. მომზადებულები კი კარგად ვართ, მაგრამ ოლიმპიური თამაშები, რა თქმა უნდა, მოულოდნელობებით არის აღსავსე. იქ სულ სხვა ატმოსფერო სუფევს. ჩვენ კი გამოცდილება გვაკლია. თუმცა, ყველაფერი მაინც ჩვენს შემართებასა და მონდომებაზე იქნება დამოკიდებული."

**გიორგი ასანიძე – მსოფლიო ჩემპიონი** (ძალოსნობა): "ოლიმპიური თამაშები ის ტურნირია, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში ელოდები და გსურს, გაიგო, უქმად ჩაიარა თუ არა ამ წლებმა. წინა ოლიმპიადაზე გამარჯვებასთან საკმაოდ ახლოს ვიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, გამარჯვება ვერ მოვახერხე. ახლა უფრო რთულად არის საქმე, რადგან სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის დიმასის წინააღმდეგ ბრძოლა მომიწევს. თუმცა, ჩემი შანსის გამოყენებას ბოლომდე შევეცდები. რაც შეეხება მხრის ტრავმას, ის აღარ მაწუხებს, მაგრამ ტურნირებში მონაწილეობა ვერ მივიღე და ამ მხრივ მეტოქეებს ჩამოვრჩები."

**ზურაბ კახაბრიშვილი** (ოლიმპიური ნაკრები გუნდის ექიმი): "ამჟამად გუნდში სერიოზული პრობლემები არ არსებობს. ათენში გამგზავრების წინ ყველას დოპინგზე შევამოწმებთ, რომ ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან ავიცილოთ."

## საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები

**1952 – ჰელსინკი**
დავით ციმაკურიძე – ჭიდაობა
მედეა ჯუღელი – ტანვარჯიში
რაფაელ ჩიმიშკიანი – ძალოსნობა
არსენ მეკოკიშვილი – ჭიდაობა
გალინა შარაბიძე – ტანვარჯიში

**1956 – მელბურნი**
მირიან ცალქალამანიძე – ჭიდაობა
გივი კარტოზია – ჭიდაობა

**1960 – რომი**
რობერტ შავლაყაძე – მძლეოსნობა
ავთანდილ ქორიძე – ჭიდაობა

**1964 – ტოკიო**
ნუგზარ ასათიანი - ფარიკაობა
ვაჟა კაჭარავა - ფრენბურთი
ალექსანდრე ლუგაილო - ფრენბურთი

**1968 – მეხიკო**
რომან რურუა – ჭიდაობა
ვიქტორ სანეევი – მძლეოსნობა

**1972 – მიუნხენი**
ლევან თედიაშვილი – ჭიდაობა
შოთა ჩოჩიშვილი – ჭიდაობა
ვიქტორ სანეევი – მძლეოსნობა
ვიქტორ კრატასიუკი – ნიჩბოსნობა
ზურაბ საკანდელიძე – კალათბურთი
მიხეილ ქორქია – კალათბურთი

**1976 – მონრეალი**
ლევან თედიაშვილი – ჭიდაობა
ვიქტორ სანეევი – მძლეოსნობა
ალექსანდრე ანპილოგოვი – ხელბურთი
ალექსანდრე გაზოვი – ტყვიის სროლა

**1980 – მოსკოვი**
ქეთევან ლოსაბერიძე – მშვილდოსნობა
ვიქტორ სანეევი – მძლეოსნობა
ვახტანგ ბლაგიძე – ჭიდაობა
შოთა ხაბარელი – ჭიდაობა
ვლადიმერ დოროხოვი - ფრენბურთი

**1988 – სეული**
ნინო სალუქვაძე – ტყვიის სროლა
დავით გობეჯიშვილი – ჭიდაობა
ვლადიმერ აფციაური – ჭიდაობა
ლადო გოგოლაძე – ტანვარჯიში
გელა კეტაშვილი - ფეხბურთი

**1992 – ბარსელონა**
კახი კახიაშვილი – ძალოსნობა
დავით ხახალეიშვილი – ჭიდაობა
ლერი ხაბელოვი - ჭიდაობა


მანუჩარ კვირკველიას გამარჯვება.


ამ გდებით ელდარ კურტანიძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა.



ზურაბ ზვიადაური თავის ამპლუაში.

## საქართველოს ოლიმპიური ნაკრები

**ძიუდო:**
ნესტორ ხერგიანი – 60 კგ.
დავით მარგოშვილი – 66
დავით ქევხიშვილი – 74
გრიგოლ მამრიკიშვილი – 81
ზურაბ ზვიადაური – 90
ივერი ჯიქურაული – 100
ლაშა გუჯეჯიანი - +100

**თავისუფალი ჭიდაობა:**
დავით პოლოსიანი –60 კგ.
ოთარ თუშიშვილი – 66
გელა საღირაშვილი – 74
რევაზ მინდორაშვილი – 84
ელდარ კურტანიძე – 96
ალექსი მოდებაძე – 120

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:**
ირაკლი ჭოჭუა 55 კგ.
აკაკი ჩაჩუა – 60
მანუჩარ კვირკველია – 66
მუხრან ვახტანგაძე – 84
რამაზ ნოზაძე – 96
მირიან გიორგაძე – 120

**კრივი:**
ნიკოლოზ იზორია – 51 კგ.
კონსტანტინე კუპატაძე – 57

**ძალოსნობა:**
გიორგი ასანიძე – 85 კგ.
არსენ კასაბიევი – 85

**სროლა:**
ნინო სალუქვაძე

**ჩოგბურთი:**
ირაკლი ლაბაძე

**ცურვა:**
ზურაბ ხომასურიძე – 200 მ. თავისუფალი სტილი

**სპორტული ტანვარჯიში:**
ილია გიორგაძე

**ბატუტზე ხტომა:**
რუსუდან ხოფერია

**მშვილდოსნობა:**
ხათუნა ნარიმანიძე
ქრისტინე ესებუა

# 12 წლის შემდეგ

*ბარსელონის 1992 წლის თამაშების შემდეგ ქართველ სპორტსმენებს ოლიმპიური ოქრო აღარ მოუგიათ. წელს რეალური შანსია იმისთვის, რომ 12 წლის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ბოლოსდაბოლოს მოიგოს პირველი ოლიმპიური ოქრო. ჩვენი იმედები უმთავრესად ჭიდაობის სახეობებს უკავშირდება. გვესაუბრება საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი ზაზა თურმანიძე.*

- მომზადების პირობებზე თუ ვისაუბრებთ, გასულ წლებთან შედარებაც კი არ შეიძლება. პრაქტიკულად, ჭიდაობის ფედერაციისა და ოლიმპიური ფონდის ხელშეწყობით პრობლემები არ გვქონია. იგივე შეიძლება ითქვას ჭიდაობის ყველა სახეობაზე. გავიარეთ რამდენიმე შეკრება. ამჟამად ურეკში დასკვნით შეკრებაზე ვიმყოფებით, რის შემდეგაც ათენში გავემგზავრებით. ნაკრების ყველა წევრი ოლიმპიურ თამაშებს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდება.

**- შეგიძლიათ, მედლების კანდიდატები დაასახელოთ?**

- რამდენიმე კანდიდატი, რა თქმა უნდა, გვყავს, მაგრამ თვითონაც მოგეხსენებათ, რომ ამათგან ყველაზე რეალური შესაძლებლობა ელდარ კურტანიძეს აქვს. თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ელდარ კურტანიძე წესით ოლიმპიური ჩემპიონი უნდა გახდეს.

**- გაუთვალისწინებელი რა უნდა მოხდეს?**

- ალბათ, გახსოვთ სიდნეის ოლიმპიური თამაშები, როცა ელდარ კურტანიძე რუსეთის სახელით მოასპარეზე მურთაზალიევს შეხვდა. როგორც შემდგომში გავიგე, რუსებს ეს ბრძოლა ნაყიდი ჰქონდათ. მურთაზალიევმა ელდარს კინაღამ თვალი გამოთხარა. მსაჯმა კი ამ უმსგავსოებას ყურადღება არ მიაქცია. არადა, ელდარსაც იგივე რომ გაეკეთებინა, შეჯიბრებიდან მოხსნიდნენ.

**- საბოლოოდ მურთაზალიევი ჩემპიონი გახდა.**

- სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტი. ელდარი მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. არადა, მურთაზალიევზე ბევრად უკეთესი მოჭიდავეა. ამჟამად კი ისეთი მდგომარეობაა, რომ ელდარზე უკეთესი ფალავანი მსოფლიოში არ არსებობს. თითქმის ორი წელია, რაც ელდარი არ დამარცხებულა და წესით არც ათენში უნდა წააგოს.

**- ათენში საქართველოს დელეგაციას ზურაბ ზვიადაური გაუძღვება?**

- ზვიადაური უნიჭიერესი ძიუდოისტია. მჯერა, რომ ის მედლისთვის იბრძოლებს. რაც შეეხება დელეგაციის გაძღოლას, მოგეხსენებათ, ელდარ კურტანიძე საქართველოს ნაკრების ლიდერია და ყველა პარამეტრით მედროშეობა მას ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან ჩვენ ათენში მოგვიანებით ჩავდივართ, ეს პატივი ზვიადაურს ერგო.

# "უკეთ, ვიდრე სიდნეიში!"

... ასეთია საქართველოს ოლიმპიური ნაკრების დევიზი. ქართველი სპორტსმენები და სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ათენის ოლიმპიური თამაშები ოქროს ხანის დასაწყისი გახდება და ქართველი სპორტსმენები პირველ დამოუკიდებელ, ოლიმპიურ ოქროს მოიპოვებენ.

"ატლანტასა და სიდნეიში ჩვენმა სპორტსმენებმა მხოლოდ ბრინჯაოს მედლები იკმარეს, რის გამოც ზოგმა ენაკვიმატმა ოლიმპიურ მონაგარს ბრინჯაოს ხანა უწოდა. იმედი გვაქვს, ათენის ოლიმპიური თამაშები საქართველოს ნაკრებისთვის ოქროს ხანის დასაწყისი გახდება," – განაცხადა სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა. საქართველოს ნაკრები ოლიმპიურ თამაშებზე 30 სპორტსმენით წარდგება და სპორტის 8 სახეობის 11 დისციპლინაში მიიღებს მონაწილეობას. დელეგაციის შემადგენლობაში სამი მსაჯი ირიცხება – ომარ ღონღაძე (სპორტული ტანვარჯიში), ედიშერ მაჩაიძე (ჭიდაობა) და დავით სახვაძე (თანამედროვე ხუთჭიდი).

გუნდი ათენში რამდენიმე ეტაპად გაემგზავრება. პირველი ეტაპი 5 აგვისტოს განხორციელდა, მეორე - 9 აგვისტოს, მესამე კი 12 აგვისტოს განხორციელდება. ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ნაკრები ისე ძლიერია, როგორც არასდროს. ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებლობის პერიოდში არასდროს ჰქონია ისეთი პირობები, როგორც ახლა აქვს და არც ფავორიტი ჰყოლია იმდენი, რამდენიც ახლა. ამასთან, ქართველ სპორტსმენებს მანამდე არნახული მოტივაცია ამოძრავებთ - ფულადი ჯილდო. ოლიმპიური ფონდის ხელშეწყობით, ოლიმპიური ჩემპიონი 400 000 ლარს მიიღებს, ვიცე-ჩემპიონი – 200 000-ს, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორი – 100 000-ს. ამას გარდა, საქართველოს მთავრობა ოლიმპიურ ჩემპიონს ჯილდოდ 50 000 დოლარს გადასცემს. ვიცე-ჩემპიონი 30 000-ს მიიღებს, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორი – 20 000-ს. ეს საკმარისი მოტივაციაა იმისთვის, რომ ქართველი სპორტსმენები თავს ზემოთ გადახტნენ და გამარჯვებისთვის იბრძოლონ. სწორედ ფულადი ჯილდოა ერთ-ერთი მიზეზი იმ ოპტიმიზმისა, რომელიც საქართველოს დელეგაციას ამოძრავებს.

საქართველოს ხუთი ისეთი სპორტსმენი ჰყავს, რომელსაც ოლიმპიური ოქროსთვის რეალური ბრძოლა შეუძლია – ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), რამაზ ნოზაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი ასანიძე (ძალოსნობა), ზურაბ ზვიადაური (ძიუდო). თუ მათ ნინო სალუქვაძის, მუხრან ვახტანგაძის და ნესტორ ხერგიანის გამოცდილებასაც დავუმატებთ, საკმაოდ სოლიდურ შემადგენლობას მივიღებთ. თითოეულ მათგანს მყარი არგუმენტები აქვს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაში. ისინი საუკეთესო ფორმაში იმყოფებიან და თუ ათენში ერთ-ერთმა მაინც გაიმარჯვა, ეს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება.

"ძალიან მძიმე იქნება, თუ ათენიდან ისევ პირში ჩალაგამოვლებულები დავბრუნდებით.

საქართველო დამარცხებულის ფსიქოლოგიისგან უნდა გათავისუფლდეს. იმის შეგრძნებისგან, რომ ყველაზე სუსტები ვართ და ყოველთვის უნდა წავაგოთ. ამას კი დიდი გამარჯვება სჭირდება. ჩვენ ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ და, ალბათ, ხვდებით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ათენში თქვენს ყოველ გამარჯვებას, ქართული, ხუთჯვრიანი დროშის აფრიალებას და ახალი ქართული ჰიმნის გაჟღერებას," – ბრძანა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოლიმპიელებთან შეხვედრაზე.

ჩვენი გუნდის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს სამი მსოფლიო ჩემპიონი შეემატა. თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძე, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში მანუჩარ კვირკველია და ძალოსანი გიორგი ასანიძე. ელდარ კურტანიძემ ზედიზედ ორჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ 96 კგ. წონით კატეგორიაში ქართველ ფალავანზე უკეთესი სპორტსმენი მსოფლიოში არ მოიძებნება. ამიტომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ელდარ კურტანიძე ოლიმპიური ჩემპიონი უნდა გახდეს.

ელდარი თავის მეხუთე ოლიმპიადაზე გამოდის (სეული-1988, ბარსელონა-1992, ატლანტა-1996, სიდნეი-2000 და ათენი-2004). მას უკვე იმხელა გამოცდილება დაუგროვდა, რომ ვერც გულშემატკივრის ყიჟინა დათრგუნავს, ვერც მეტოქე და ვერც მსაჯი, ამიტომ ელდარ კურტანიძე ჩვენი ქვეყნის ნაკრებში ოქროს მედლის ყველაზე რეალურ კანდიდატად მოიაზრება.

თავისუფლების არ იყოს, ოქროს მედლის კანდიდატები ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებსაც ჰყავთ. პირველ რიგში, ეს მანუჩარ კვირკველიასა და რამაზ ნოზაძეზე ითქმის. მანუჩარ კვირკველია მსოფლიო ჩემპიონია. რამაზ ნოზაძე კი ვიცე-ჩემპიონი. ფალავნებმა რამდენიმე შეკრება გაიარეს. ისინი ჯერ ლიკანში ვარჯიშობდნენ, შემდეგ ბაკურიანში. ამჟამად ორივე საწვრთნელ შეკრებაზე ურეკში იმყოფება. მანუჩარ კვირკველია სისხარტით გამოირჩევა. ნოზაძე კი შეუპოვრობით. ეს ის თვისებებია, რომელიც ქართველ ფალავნებს გამარჯვებაში უნდა დაეხმაროს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ოლიმპიური თამაშების გამოცდილება არც ერთ მათგანს არ გააჩნია.

თავისი ფავორიტი ძიუდოისტებსაც ჰყავთ – ახალგაზრდა ზურაბ ზვიადაური (90 კგ.). მას იშვიათი პატივი ხვდა წილად. ზვიადაური ოლიმპიადის გახსნაზე ქართულ დროშას გაიტანს. "ჩემთვის ეს უდიდესი პატივია. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ მედროშის საპატიო მოვალეობას მე მომანიჭებდნენ. რაკი მენდვნენ, ესე იგი ჩემი იმედიც აქვთ. ამიტომ ბუნებრივია, რომ გამარჯვებისთვის თავს არ დავზოგავ," – ამბობს ზურაბ ზვიადაური. თუმცა, ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელს შოთა ხაბარელს თუ ვერწმუნებით, ზვიადაურის გარდა ოქროსთვის ბრძოლა ხერგიანს, მარგოშვილს და ჯიქურაულსაც შეუძლიათ.

გიორგი ასანიძეს სიდნეის ოლიმპიადის მოგებამდე რამდენიმე გრამი დააკლდა. უფრო სწორად, ის მეტოქეზე რამდენიმე ათეული გრამით მძიმე აღმოჩნდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ამჟამად გიორგი პოლონეთში, ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით უკეთესი შედეგის მისაღწევად ემზადება. თუმცა, მას სერიოზული პრობლემები აქვს. ასანიძემ ახლახანს მოიშუშა მხრის ტრავმა, რომელიც ქართველ ათლეტს რამდენიმე თვის განმავლობაში აწუხებდა. მართალია, მან საკუთარი წონა დაძლია, მაგრამ შეჯიბრებაზე არ გამოსულა და შესაბამისად ვერც იმას ვიტყვით, რომ საუკეთესო სპორტულ ფორმაში იმყოფება.

მეორე პრობლემა ის არის, რომ ათენში ასანიძის წონაში (85 კგ.) იასპარეზებს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბერძენი დიმასი. მას დიდი შანსი აქვს, მეოთხედ მოიგოს ტურნირი და ბერძნული სპორტის ლეგენდად გადაიქცეს. ამისთვის ბერძნები ყველაფერს იღონებენ. არ არის გამორიცხული, ასანიძე დიმასის ამბიციებს შეწირონ. ვთქვათ, მას ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინონ ან შედეგი არ დაუფიქსირონ. "ყოველ შემთხვევაში, ამისთვის მზად უნდა ვიყოთ," – ამბობს ვანო გრიქუროვი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში კორუფციის დონე საკმაოდ მაღალია. ყოფილა შემთხვევები, როცა მსაჯი პირდაპირ ფინალის წინ მოუსყიდიათ (ასეთ ფანდს ერთხელ ელდარ კურტანიძეც შეეწირა). "ბიბი-სის" ჟურნალისტებმა კი ახლახანს კორუფციაში სეოკ-ის მაღალჩინოსნებიც ამხილეს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რომელიმე ქართველ სპორტსმენს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის ნარჩენი აღმოაჩნდება.

მონიტორინგი

EPRC

## "პროფიციტი" თუ დეფიციტი?

სანამ ძირითად განხილვაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე უზუსტობაზე გვსურს გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც სახაზინო დეპარტამენტის მონაცემებს ეხება: საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდისა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2004 წლის შემოსავლისა და ხარჯების ბალანსის მონაცემების მიხედვით, ფორმა N8 და ფორმა N7-ში, შესაბამისად, ვფიქრობთ, გაპარულია უზუსტობა: რადგან 6 აგვისტოს მდგომარეობით, მოცემულ ცხრილებში მერვე თვის ხარჯების გეგმა 47,69 მლნ ლარია, ამ დროს, 8 თვის ხარჯების გეგმა 302,92 მლნ ლარია და ტოლია 7 თვის გეგმის, როცა ხარჯების გეგმა იგივე 302,92 მლნ ლარით იყო განსაზღვრული. შედეგად, გეგმასთან მიმართებაში ხარჯების სტრუქტურა დამახინჯებულ სურათს იძლევა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი ბიუჯეტით ორივე ფონდის ბალანსი გაზრდილია. მართალია, საპენსიო ფონდისა მხოლოდ 3 პროცენტით, ხოლო საგზაოსი - 40 პროცენტით.

**აქედან გამომდინარე, კვლავ საკმაოდ მოზრდილი გარღვევაა ამ ფონდების ხარჯებში. სავარაუდოდ, დღევანდელი მდგომარეობით, გარღვევა 8 თვის მთლიანი გეგმის 35** პროცენტია (დაზუსტებულ მონაცემს მოგაწვდით, როგორც კი სახაზინო დეპარტამენტისაგან დაზუსტებულ ციფრს მივიღებთ). მართალია, წინ სამი კვირაა, მაგრამ თუ აგვისტოს პირველი კვირის შესრულებას გადავხედავთ, ის არაფრით სჯობს ივლისის პირველ კვირას, როდესაც მოხერხდა 22,3 მლნ ლარის მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტში, ანუ, თუ მუშაობა ისეთივე ტემპით გაგრძელდება, სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე სერიოზული პრობლემები შეიქმნება, რომელსაც წინა თვეების ავანსიც ვერ გადაფარავს.

**საინტერესოა ახალი ბიუჯეტის კანონის ანალიზიც. როგორც მოგახსენებდით, საკმაოდ დამაფიქრებელი ტენდენციის ფონზე, ივლისში და ხარჯებში თითქმის ორთვიანი ჩამორჩენის ფონზე საგზაო და საპენსიო ფონდებში, ბიუჯეტის კორექტირება მოხდა და სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი 230,5 მილიონი ლარით გაიზარდა. ამას, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ჰქვია პროფიციტი, რადგანაც:**

**1. თვით კანონშივე წერია რომ დეფიციტის რაოდენობა ახალ ბიუჯეტში განისაზღვრა 271, 11 მილიონით;**

2. ეს არ მომხდარა გადაჭარბებული შემოსავლების აკუმულაციის შემდგომ მათი ეფექტურად დახარჯვის მექანიზმების გადასაწყვეტად, არამედ მოხდა პირიქით - გაიზარდა ხარჯები და შესაბამისად გაიწერა შემოსავლებიც. ერთადერთი, ეს არ ეხება არასაგადასახადო შემოსავლების შემდეგ პუნქტს: *სხვა არასაგადასახადო შემოსავლები (მოსაკრებლები, ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავლების, სხვა არასაგადასახადო შემოსავლები),* რომელიც 95,5 მილიონით გაიზარდა და, სავარაუდოდ, ძალოვნების წარმატებული მუშაობის შედეგია და არა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების.

საყურადღებოა, რომ გრანტების პარამეტრი შემცირებულია 41 მილიონით, რამაც გამოიწვია დეფიციტის კორექტირებაც (შემცირება).

კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესაბამისად, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებს 121, 87 მილიონი ლარით მეტი თანხის მობილიზება მოუწევთ. მათ შორის - საშემოსავლო გადასახადი გაზრდილია 23 მილიონით, მოგების გადასახადი - 23,9 მილიონით, ხოლო დღგ - 56 მილიონით. ***ზრდა არ არის დაგეგმილი აქციზური საქონლის დაბეგვრაში, ანუ ეს პარამეტრი უცვლელია და კონტრაბანდის ეს დონე, მინიმუმ, წლის ბოლომდე შენარჩუნდება.*** საინტერესოა, რა ეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობა მოგების გადასახადის გადიდებული პარამეტრის ჩვენება. აქვე აღვნიშნავთ, რომ დღგ–ს ზრდაში დიდი წვლილი - 45,6 მილიონი იმპორტის დაბეგვრაზე მოდის.

ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენებს და ვნახოთ, თუ როგორ გაართმევს თავს ამ ამოცანებს ფინანსთა სამინისტრო. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია, წარმატება ვუსურვოთ.

[illegible]

## გოცირიძე სეპარატისტებისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის მომხრეა

ერგნეთის არალეგალური ბაზრობის წლიური ბრუნვა 370 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებდა, აქედან კონტრაბანდული ტვირთის წლიური ბრუნვა შეადგენდა 250 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო 120 მილიონი აშშ დოლარი ნავთობპროდუქტებზე მოდიოდა, - ასეთია მონაცემები, რომლებიც პარლამენტარ რომან გოცირიძის, ექსპერტების ალექსანდრე კუხიანიძისა და ალექსანდრე კუპატაძის ავტორობით გამოცემულ ნაშრომში - "კონტრაბანდის პრობლემა საქართველოში: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი" - არის მოყვანილი. აღნიშნული ნაშრომის გამოცემა ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისის დახმარებით მოხერხდა. ნაშრომში ექსპერტთა ჯგუფი აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიმართ ეკონომიკური სანქციების უპირობო მოხსნის რეკომენდაციასაც იძლევა.

როგორც გუშინ წიგნის პრეზენტაციაზე რომან გოცირიძემ განაცხადა, საქართველოში კონფლიქტების შენარჩუნებას ეკონომიკური ინტერესები უდევს საფუძვლად, რადგან სეპარატისტული რეჟიმები კონტრაბანდით სარგებლობენ.

**"აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისთვის სანქციების უპირობო მოხსნის შემთხვევაში, ქართული მხარე დაამტკიცებს, რომ კონფლიქტის მოგვარების პროცესში გარდატეხის შეტანა და მხარეებს შორის ნდობის აღდგენა შესაძლებელია. ამ დათმობის სანაცვლოდ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ თავისი ანტიქართული პოზიცია უნდა გადასინჯოს და ამა თუ იმ პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტის ინიციატივას გამოეხმაუროს. კონტრაბანდული ბაზრების ძალისმიერი აღკვეთის ცდამ კი, შესაძლოა, კონფლიქტის განახლება და სოციალური აფეთქება გამოიწვიოს,"** - მიაჩნიათ წიგნის ავტორებს. გამოიცა ნაშრომის ინგლისურენოვანი ვერსია, ქართულ და რუსულ ენებზე კი იგი ინტერნეტშიც განთავსდა.

*24 საათი*

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

ა ხ ა ლ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი ს რ ი ტ მ ში

### პირველი Platinum ბარათები საქართველოში

პირველად ქართულ საბანკო ბაზარზე "საქართველოს ბანკმა" მომხმარებლებს შესთავაზა მსოფლიო ელიტარული Platinum პლასტიკური ბარათები. აღნიშნული ტიპის ბარათები დიდი პოპულარობით სარგებლობს დასავლეთისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში. ქვეყნის მასშტაბით "საქართველოს ბანკის" მიერ Platinum ბარათების ემისია უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მსოფლიოს საბანკო ბაზარზე ინტეგრაციისთვის.

"საქართველოს ბანკის" Platinum ბარათებით გარდა სტანდარტული ფუნქციებისა აღჭურვილია სხვა მრავალი მომსახურებით: სამოგზაო განახლებადი ოვერდრაფტით, ინტერნეტ ბანკის უფასო მომსახურებით. გარდა ამისა, Platinum ბარათის მფლობელი უფასოდ მიიღებს საერთაშორისო ფასდაკლების საკლუბო ბარათებს IAPA-ს და Priority Pass-ს, რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება მსოფლიოს 80 ქვეყნის 245 აეროპორტში VIP დარბაზებით სარგებლობა, მსოფლიოს 200 ქვეყანაში მნიშვნელოვანი ფასდაკლებით მანქანების დაქირავება და პრესტიჟული სასტუმროების მომსახურების მიღება.

Platinum ბარათის მფლობელები ქვეყნის მასშტაბითაც არაერთ ბონუსურ მომსახურებას მიიღებენ, როგორიცაა ფასდაკლების ლოკალური ბარათი "ზებრა" და კომპანია "იმედი L"-ის სპეციალური სადაზღვევო პაკეტები, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ კომფორტულობას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანაში.

"საქართველოს ბანკმა" ქართულ საბანკო ბაზარზე 1997 წელს პირველმა გამოუშვა პლასტიკური ბარათები და იმავე წელს ასევე პირველად ქართულ ბანკებს შორის გახდა VISA International-ისა და EUROPAY-ს სრულუფლებიანი წევრი.

საბარათე ბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1997 წელს "საქართველოს ბანკის" მიერ დაფუძნებული საპროცესინგო ცენტრის "ჯორჯიან ქარდის" ამოქმედება, რამაც უზრუნველყო პლასტიკური ბარათების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ახალი შესაძლებლობები შექმნა ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების განვითარებისათვის.

"დღეისათვის "საქართველოს ბანკი" მომხმარებლებს სთავაზობს VISA და MasterCard-ის მსოფლიოში არსებულ ყველა კატეგორიის ბარათს, რაც საშუალებას გვაძლევს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის მოთხოვნილებები დავაკმაყოფილოთ. მზარდი ინტერესის პირობებში მიმდინარე წელს უკვე მეორე ახალი ტიპის პლასტიკური ბარათი გამოვუშვით, რომელიც უმაღლეს - Platinum კატეგორიას მიეკუთვნება და რომელსაც საქართველოში ანალოგი არ აქვს. წლის დასაწყისში კი "საქართველოს ბანკის" 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოვუშვით საიუბილეო პლასტიკური ბარათები", - ამბობს დავით ბეჟიაშვილი, "საქართველოს ბანკის" საგადამხდელო საშუალებათა დეპარტამენტის დირექტორი.

პლასტიკური ბარათების პოპულარიზაციისთვის "საქართველოს ბანკი" პარტნიორებთან - VISA-სა და MasterCard-თან ერთად წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა სახის მარკეტინგულ აქციებს. ამ აქციების შედეგად გამოვლინდა 2 გამარჯვებული, რომლებმაც ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისა და ათენის ოლიმპიური თამაშების 2 კაციანი საგზურები მიიღეს.

"მსგავსი მარკეტინგული აქციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პლასტიკური ბარათების პოპულარიზაციისათვის, რაც დადებითი მოვლენაა არა მხოლოდ ერთი რომელიმე ბანკისათვის, არამედ მთლიანად ქართული საბანკო სისტემისათვის" - ამბობს ნანა გოგოლაშვილი, "საქართველოს ბანკის" რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი.

მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში "საქართველოს ბანკის" მიერ ემიტირებული პლასტიკური ბარათების რაოდენობა 50,53%-ით, ხოლო მათი მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების რიცხვი კი 10,3%-ით გაიზარდა. სულ "საქართველოს ბანკის" მიერ გაცემული ყველა ტიპის პლასტიკური ბარათების რაოდენობა 26 ათას 484-ს შეადგენს, რაც სხვა ქართულ ბანკებთან შედარებით ყველაზე დიდი მაჩვენებელია.

პლასტიკური ბარათების მომსახურებისთვის მნიშვნელოვანია ბანკომატების განვითარებული ქსელის არსებობა. "საქართველოს ბანკი" ამ მხრივაც ლიდერის პოზიციებზეა. ქვეყნის მასშტაბით "საქართველოს ბანკს" 13 ბანკომატი გააჩნია. თბილისის გარდა ბანკომატებით სარგებლობა შესაძლებელია ქუთაისსა და ბათუმში. უახლოეს მომავალში თბილისში იგეგმება თანამედროვე ტიპის კიდევ 2 ახალი ბანკომატის დამონტაჟება.



## ვაკანსიები

საერთაშორისო ეკოლოგიური რეაგირების კომპანია SEACOR Environmental Services International სამუშაოდ მიიღებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს, შემდეგ თანამდებობებზე:

**ბუღალტერი**
*სამუშაო ადგილი: თბილისი*
*სამუშაოს აღწერა:*
თქვენს, როგორც ბუღალტრის პასუხისმგებლობაში შევა კომპანიის ფინანსური საქმიანობის წარმატებით ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და კოორდინირება, საქართველოსა და აზერბაიჯანში, თბილისში ბაზირებული ოფისიდან.
*ფუნქციები და პასუხისმგებლობები*
ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:
■ ფინანსური დოკუმენტაციის წარმოება, როგორიცაა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანგარიშები, სახელფასო უწყისები, საერთო საბუღალტრო წიგნი, ჩანაწერები კაპიტალური აქტივების შესახებ და ბიუჯეტები.
■ მონაცემების შეტანა და სამუშაო გრაფიკების შესწორება
■ ყოველთვიური ბილინგის (ქვითრების) და ინვოისების, ფინანური უწყისების, ანგარიშებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება;
■ ხარჯებისა და ფულის მომოქცევის მონიტორინგი;
■ საგადასახადო ანგარიშების მომზადება და დახმარება წლიური ბიუჯეტის შედგენისას
■ თქვენ ასევე ზედამხედველობა უნდა გაუწიოთ ადმინისტრაციულ ასისტენტს, მათი მოვალეობების შესარულებისას.
*გამოცდილება და განათლება*
კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:
■ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ფინანსურ სფეროში, ან მისი ექვივალენტი;
■ ბუღალტერიის ან ფინანსურ სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება
■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა
■ კომპიუტერული პროგრამების MS Word-ის და MS Excel-ის კარგად ცოდნა.

**ადმინისტრაციული ასისტენტი**
*სამუშაო ადგილი: თბილისი*
*სამუშაოს აღწერა:*
როგორც ადმინსიტრაციულ ასისტენტს, თქვენ დაგევალებათ საქართველოში კომპანიის ოფისის საქმიანობის წარმატებით კოორდინირება.
*ფუნქციები და პასუხისმგებლობები:*
ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს:
■ ოფისის მუშაობის კოორდინირება, მდივნის ფუნქციის შესრულების ჩათვლით;
■ მგზავრობისა და მივლინებების ორგანიზება;
■ თანამშრომლების მუშაობის გრაფიკების წარმოება;
■ პირადი საკონტაქტო სიების შედგენა;
■ დოკუმენტების განაწილება;
■ კორესპონდენციის განაწილება, სატელეფონო და რადიო-შეტყობინებების მიღება;
■ დოკუმენტების შედგენა და ჩანაწერების წარმოება;
■ სტუმრებისა და კონტრაქტორების მიღება და დახმარება;
■ საჭიროებისამებრ - ადმინისტრაციული დახმარების გაწევა საქართველოში კომპანიის წარმომადგენლისათვის,
*გამოცდილება და განათლება*
კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:
■ ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3 წლის გამოცდილება
■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა;
■ კომპიუტერული პროგრამების MS Word-ის და MS Excel-ის კარგად ცოდნა.

**ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზის ზედამხედველი ვაკანსიები არის თბილისში, წალკასა და ბორჯომში**
*სამუშაოს აღწერა:*
თქვენს, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზის ზედამხედველის პასუხისმგებლობაში შევა მოცემულ ბაზაზე მომუშავე ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ჯგუფის ყველა თანამშრომლის ზედამხედველობა.
*ფუნქციები და პასუხისმგებლობები*
ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:
■ აღჭურვილობის მონაცემთა ბაზის სისტემის მოწესრიგებული მუშაობის უზრუნველყოფა;
■ აღჭურვილობის პროფილაქტიკური მოვლა-მომსახურების სისტემის მუშაობის დაგეგმვა და განხორციელება დაღვრაზე რეაგირებისთვის საჭირო ყველა აღჭურვილობისთვის;
■ ბიუჯეტის დაგეგმვა;
■ პერსონალურ სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებული ინფორმაციის დაფიქსირება, თვალის მიდევნება და შესაბამისი ანგარიშგება, სპეციალურ პროექტებში მონაწილეობა და მეთვალყურეობა;
■ თქვენი ფუნქცია იქნება დაღვრილი ნავთობის წარმატებით მოცილება, სატრანსპორტო საშუალებებისა და რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობის შემოწმებისა და მოვლა-მომსახურების უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა.
*გამოცდილება და განათლება:*
კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:
■ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საინჟინრო მექანიკის ან მონათესავე სფეროში;
■ სასურველია გქონდეთ ინჟინერ-მექანიკოსად ან ინჟინერ-ელექტრიკოსად მუშაობის 3 წლის გამოცდილება
■ სასურველია საგანგებო რეაგირების გარემოში მუშაობის გამოცდილება
■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა

**ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სპეციალისტი ვაკანსიები არის თბილისში, წალკაში, ბორჯომსა და ბაკურიანში**
*სამუშაოს აღწერა:*
ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობისას თქვენი ფუნქცია იქნება დაღვრილი ნავთობის წარმატებით მოცილება, სატრანსპორტო საშუალებებისა და რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობის შემოწმება და მოვლა-მიმსახურება და გარემოს დაცვა.
*გამოცდილება და განათლება*
კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:
■ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საინჟინრო მექანიკის ან მონათესავე სფეროში;
■ სასურველია გქონდეთ ინჟინერ-მექანიკოსად ან ინჟინერ-ელექტრიკოსად მუშაობის 3 წლის გამოცდილება
■ სასურველია საგანგებო რეაგირების გარემოში მუშაობის გამოცდილება
■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენ გაქვთ რომელიმე ამ თანამდებობისთვის საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება, გაგზავნეთ თქვენი ბიოგრაფია/CV ელექტრონულ მისამართზე: msheraton@azdata.net ან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის საინფორმაციო ცენტრში, მისამართზე: ბორჯომი, რუსთაველის ქუჩა 129.
**გთხოვთ მიუთითოთ, თუ რომელი თანამდებობის დაკავება გსურთ და რა ადგილას, თქვენი განაცხადის პირველ სტრიქონზე. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 13 აგვისტო, 2004 წ.**
საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.
**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

### ერაყში გაგზავნილი სამშვიდობო კონტინგენტის ახლობლებისა და ნათესავების საყურადღებოდ!

**გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 12 აგვისტომდე ერაყში იგზავნება სამხედრო ფოსტა (მხოლოდ წერილები).**
**წერილების ჩაბარება იწარმოებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მისაღებში.**

**მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N2ა**
**ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 25 38 44**

### "ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

11 აგვისტოს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
ნუცუბიძის პლატოს IV და V მიკრორაიონების მაცხოვრებლებს.

# ტერორისტები ინტერნეტში

ლევან გელაშვილი



*ბინ ლადენი და აზ-ზავაჰირი მუქარების გავრცელების ახალ ტაქტიკას ამუშავებენ.*

ალ ქაიდას წევრთა მიმართვები ინტერნეტში პირველად საუდელმა მოჯახედებმა გაავრცელეს. თითქმის ერთი წლის მანძილზე აბუ ბალაჯა (ტერორისტის საბრძოლო ფსევდონიმი), რომელიც ჩეჩნეთსა და ბოსნიაში იბრძოდა, ელექტრონული ფოსტით მუქარის წერილებს ავრცელებდა. მის ელექტრონულ მიმართვებს თითქმის ყოველთვის იღებდნენ დუბაიში მყოფი ჟურნალისტები, რომლებიც შემდეგ მათ ლონდონში აგზავნიდნენ.

საუდელები მსოფლიო ელექტრონული ქსელის გამოყენების ავანგარდში იყვნენ. ინტერნეტის, როგორც საბრძოლო ინსტრუმენტის გამოყენება პირველად დიდ ბრიტანეთს შეკედლებულმა მონარქიის მოწინააღმდეგეებმა დაიწყეს. ეს პიროვნებები სპეც-სამსახურების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ, რადგან ისინი ბინ ლადენის მხარდაჭერაში იყვნენ ეჭვმიტანილნი.

პირველ დიდი კომპიუტერული რევოლუცია ერაყის ომის დროს იყო. როგორც ბოევიკებმა, ისე ტერორისტებმა თავისი მიზნებისთვის ინტერნეტის გამოყენება დაიწყეს. თავიდან ისინი თავიანთი აქციების შესახებ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდნენ და უჩვენებდნენ ვიდეოჩანაწერებს, თუ როგორ მიდიან კამიკაძეები თავიანთი ბოლო დავალების შესასრულებლად.

საუდის არაბეთის მოქალაქე, ემირ ალ-მუკრინი ალჟირში ისლამისტ ექსტრემისტებს ასწავლიდა, რომ საბრძოლო ოპერაციების ვიდეოჩანაწერების გაკეთება და მათი ევროპაში გაგზავნა ძალიან სასარგებლოა: ეს მრავალ ახალ მომხრეს იზიდავს, დამატებითი ფინანსური დახმარების მიღების საშუალებას იძლევა და ისლამისტების საქმიანობას პოპულარიზაციას უწევს. რაც უფრო საშინელი იყო თავის მოკვეთის თუ ცივსისხლიანი სცენები, მით უფრო დიდი იყო ამგვარ ჩანაწერებზე მოთხოვნა. ალ-მუკრინს თავისი ტექნიკა სიცოცხლის ბოლომდე მიჰყავდა სრულყოფილებამდე და პიკს ამერიკელი მძევლის სიკვდილით დასჯის სცენის ვიდეოჩანაწერის გავრცელებით მიაღწია.

თავიანთი სისხლიანი მტკიცებულებების გავრცელების პარალელურად, ალ-ქაიდას "საინფორმაციო სამსახურმა" მუქარის ეფექტის გამოყენება დაიწყო. ეს გულისხმობდა ორგანიზაციის დასახელების მოფიქრებას, მკვეთრი ტექსტის მომზადებას და ინტერნეტის მეშვეობით მის გავრცელებას. ამგვარი ტაქტიკა ბინ ლადენისაგან და მისი ეგვიპტელი თანამებრძოლის აიმან აზ-ზავაჰირისაგან მოდიოდა. ამ ილეთის გამოყენება საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობით იყო გამოწვეული. ტერორისტები ინტერნეტის მეშვეობით ვიდეო თუ აუდიოჩანაწერების გავრცელებას საკმაოდ უსაფრთხოდ მიიჩნევდნენ. მათი ტაქტიკა აბუ მუსაბ აზ-ზარქავიმაც გადაიღო, რომელიც დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ტერორისტი გახლავთ.

"მეორე რევოლუცია" მადრიდში 11 მარტს მომხდარ ტერაქტებს დაემთხვა. ამ დღიდან მოყოლებული, ისლამისტთა მხრიდან მუქარების გავრცელება გახშირდა. გაიზარდა აგრეთვე იმ საიტების რაოდენობაც, რომლებიც ამგვარ განცხადებებს ავრცელებენ. ყველაზე ნაყოფიერ ავტორად მიიჩნევა ის, ვინც "აბუ ხაფს ალ-მასრის ბრიგადების" კომუნიკეს ამზადებს. ეს უკანასკნელი იტალიის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების განხორციელებას აპირებს.

ტექნიკის კარგი ცოდნის დემონსტრირების მიზნით, ტერორისტები ფორუმებს იყენებენ, ანუ ინერგებიან საიტებზე, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი, რამდენიმე ათეული დოლარის საფასურად, საკუთარ საიტებს ხსნიან, ორი-სამი დღის განმავლობაში ამუშავებენ და როდესაც ხელისუფლება მათ საიტებს ხურავს, ახალ საიტებს ამზადებენ.

ინტერნეტ-მეკობრეები უპირატესობას დასავლურ საიტებს ანიჭებენ. ბოლო დროს ჩატარებული გამოძიებების შედეგად დადგინდა, რომ ამ საიტების კვალი ვაშინგტონის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, არკანზასში, ტეხასში, იუტასა და კოლორადოში მიდის.

გაზაფხულზე ახალი დასახელების ორგანიზაციები გაჩნდა: აბუ დუჯანი ალ-აფგანი და აბუ დუჯანი ალ-ირაქი. პირველის შესახებ, მადრიდის ტერაქტების შემდეგ გახდა ცნობილი და მოგვიანებით, გაზეთ "Corriere della Sera"-ს რედაქციაში მაისის ბოლოს გაგზავნილ წერილშიც გაიჟღერა. წერილი, "აბუ ხაფსის ბრიგადების" მიერ გავრცელებული მუქარების მსგავსად, გარდაუვალი ტერაქტების სერიის შესახებ იუწყებოდა. მეორე დასახელების ორგანიზაცია - ალ-ირაქი, თავის მიმართვებში ერაყის კრიზისს ევროპაში შესაძლო აქციებს უკავშირებს. ერაყის თემა უპირატესად Ansanet-ში პრევალირებს. აღნიშნულ საიტზე მრავალი პროპაგანდისტული მასალა გამოქვეყნდა.

ამერიკელები დარწმუნებული არიან, რომ მიმართვების ავტორები რადიკალური ისლამისტური შეხედულებების მქონე პირები არიან, რომლებიც დასავლეთში ცხოვრობენ. ამერიკელ ექსპერტთა აზრით, მსგავსი სახის მიმართვები ახლო აღმოსავლეთში იშვიათად "იბადება". ალ-ქაიდას მთავარი ინტერნეტ-სპეციალისტის, პაკისტანელი მუჰამედ ნურ ხანის დაპატიმრების შემდეგ დაწყებული გამოძიების მსვლელობისას საკმაოდ საინტერესო დეტალები გამოირკვა. მისი რეფერენტი დიდ ბრიტანეთში, ე.წ. ბილალი, ერთდროულად ტერაქტების მომზადებას და ინტეგრალისტთა შორის ორი ყველაზე ცნობილი საიტის მუშაობას ხელმძღვანელობდა. ერთ-ერთი ასეთი საიტი Qoqaz გახლავთ, რომელიც ჩეჩნეთის ომს აშუქებს, ხოლო მეორე – Azzam, რომელიც ბინ ლადენის მოძღვარის სახელს ატარებს. საუბარია განვითარებულ ქსელსზე, რომელსაც ნორდ-ოსტზე განხორციელებულ ტერაქტში მონაწილე ჩეჩენ ტერორისტებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

# დიდ ბრიტანეთში ისლამური ბანკი გაიხსნება

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ 2 მილიონ მუსლიმს პირველად მიეცემა შესაძლებლობა, ფინანსური ოპერაციები თავისი რელიგიის პრინციპების შესაბამისად აწარმოოს. სექტემბრიდან დიდ ბრიტანეთში ფუნქციონირებას "ბრიტანეთის ისლამური ბანკი" დაიწყებს. მართალია, ისლამური აღმსარებლობის მქონე პირებს მათი რელიგიის შესაბამისად საბანკო მომსახურებას რამდენიმე ბანკი აქამდეც სთავაზობდა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც არ პასუხობდა ისლამურ პრინციპებს.

რაც შეეხება თავად ისლამური ბანკის ისტორიას, დასავლური მედიის თანახმად, თანამედროვე ფორმით საერთაშორისო ასპარეზზე იგი მხოლოდ ოციოდე წლის წინ გაჩნდა. ისლამური ბანკის დაარსების თარიღი ისლამური კალენდრის, ჰიჯრას 15 საუკუნის წლისთავს (გრიგორიანული კალენდრით 1976 წელი) დაემთხვა, რომელსაც მთელი ისლამური სამყარო აღნიშნავდა. რა თქმა უნდა, ფინანსური ოპერაციები ისლამურ სამყაროში ახალ ხილს არ წარმოადგენს, მაგრამ იგი თავისი სპეციფიკით ძლიერ განსხვავდება თანამედროვე საბანკო სისტემისაგან.

პირველი ბანკი გაიხსნება ლონდონში, შემდეგ უკვე ბირმინჰემსა და ლესტერში. შტაბ-ბინა კი ბირმინჰემში იქნება, სადაც მრავალრიცხოვანი მუსლიმი მოსახლეობაა.

ისლამური სამართლის (შარიათის) თანახმად, ფულის აღება ან გაცემა პროცენტით აკრძალულია. ახალი ისლამური ბანკის ხელშეწყობით ინვესტიციების განთავსება ეთიკური ნორმების სრული დაცვით მოხდება, კერძოდ, ინვესტიცია არ ჩაიდება ალკოჰოლური თუ თამბაქოს პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში. კრედიტის პროცენტით გაცემის ნაცვლად, ბანკი შეისყიდის უძრავ ქონებას და ფულს ლიზინგის მომსახურებისთვის აიღებს მანამდე, სანამ არ მოხდება საკუთრების ღირებულების მთლიანი დაფარვა. მომდევნო წლისთვის ბანკი უკვე აპირებს, შესთავაზოს კლიენტებს უძრავი ქონების შესასყიდად საკრედიტო მომსახურება და ინტერნეტის მეშვეობით საბანკო ანგარიშების შევსება-განაღდება. ბანკის მხრიდან ყველა მომსახურება შეთანხმებული იქნება სპეციალურ კომიტეტთან, რომელიც ისლამური სამართლის სპეციალისტებით დაკომპლექტდება. გარდა ზემოჩამოთვლილი პირობებისა, ისლამური ბანკის მომსახურების პაკეტი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ბრიტანულ სამართალთანაც, რომელიც ადგილობრივი საბანკო სექტორის საქმიანობას არეგულირებს.

*ბი ბი სი*

# ირანის წინააღმდეგ სპეცოპერაციის განხორციელება გამორიცხული არ არის

აშშ ირანის წინაღმდეგ საიდუმლო ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას არ გამორიცხავს. მიზეზი უკვე არაერთხელ გაჟღერებული ბირთვული პროგრამაა. სავარაუდოდ, თეთრი სახლი ყველა ზომებს მიმართავს, რათა არ დაუშვას ისლამური რესპუბლიკის მიერ ბირთვული პროგრამის წარმატებით განხორციელება. ასეთი მინიშნება კვირას აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნულ უშიშროების საკითხებში, კონდოლიზა რაისმა გააკეთა. "ჩვენ სხვადასხვა გზებს მივმართავთ ირანის ბირთვული პროგრამის რეალიზაციის ჩასაშლელად, - აღნიშნავს რაისი ტელეკომაპანია NBC-სთან ინტერვიუში, – პრეზიდენტი მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენების შესაძლებლობას განიხილავს".

"ჩვენ გარკვეულ წარმატებას მივაღწიეთ დიპლომატიურ ურთიერთობებში, - დასძინა ქალბატონმა რაისმა, – მაგრამ ირანის ბირთვული პრობლემა ძალიან სერიოზულია". აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლის აზრით, აშშ წლების განმავლობაში ერთადერთი იყო, ვინც ირანის მიერ ატომური იარაღის შექმნაზე ტეხდა განგაშს. "ახლა ჩვენ აქტიურად გვეხმარება მაგატე (ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო). სექტემბერში მაგატეს მხრიდან ძალიან მკვეთრი განცხადებაა მოსალოდნელი: ირანი ან დათანხმდება ბირთვულ პროგრამებზე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კონტროლს, ან იზოლაციაში მოექცევა," - აცხადებს კონდოლიზა რაისი.

თუმცა, იმავე დღეს CNN-ის ეთერში საუბრისას მან პირდაპირ არ უპასუხა ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას: მიმართავს თუ არა აშშ ცალმხრივ ქმედებებს, რათა არ დაუშვას ირანის ბირთვულ სახელმწიფოდ გახდომა? პირდაპირი პასუხის ნაცვლად ქალბატონმა მრჩეველმა უპასუხა, რომ იმის შესახებ, თუ რას მოიმოქმედებს აშშ მომავალში, ვარაუდების დონეზე ლაპარაკი, უბრალოდ, უხერხულია.

კვირას გაზეთ "ნიუ იორკ ტაიმს"-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა აშშ-ს დაზვერვის ოფიციალური პირების მოსაზრებები, სადაც აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანებში ირანმა "მნიშვნელოვან პროგრესს" მიაღწია ატომური იარაღის შექმნაში. სხვა ფაქტორებთან ერთად ამის ხელშემწყობი გახდა მუსლიმი მეცნიერის, პაკისტანის ბირთვული იარაღის შემქმნელის, აბდულ კადირ ხანის მიერ ტექნოლოგიების მიწოდება. სხვადასხვა ცნობით ირანი, თუ არაფერი შეუშლის ხელს, რამდენიმე წელში ბირთვული სახელმწიფო გახდება.

არც ის არის გამორიცხული, რომ სხვა პრობლემებთან ერთად, ამერიკელებს, შესაძლოა, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ჩავარდნილი სპეცოპერაციის მწარე მოგონებაც არ აძლევთ მკვეთრი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას. 1979 წელს ირანის ისლამური რევოლუციის მესვეურების წინააღმდეგ ცუდად დაგეგმილ ამერიკულ სპეცოპერაციას მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა.

*24 საათი*

# საპასპორტო სურათების საბჭოური სტანდარტები

მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს, რომ დიდ ბრიტანეთში ჩვენთვის უკვე კარგად დავიწყებული საბჭოური საპასპორტო სურათების მოდა შემოდის. ახალ პასპორტებზე, რომელთა გაცემაც 2005 წლის ბოლოდან დაიწყება, ალბიონის მკვიდრთ გაღიმება ეკრძალებათ. ტერორიზმთან ბრძოლის მიზეზით გაერთიანებული სამეფოს საპასპორტო სამსახურის წარმომადგენლები მოქალაქეებს ოფიციალური დოკუმენტებისთვის განკუთვნილ ფოტოებზე სახის ნეიტრალური გამომეტყველების შენარჩუნებას სთხოვენ. ფოტოზე ალბეჭდილ ემოციას, ხელისუფლების განცხადებით, განსაკუთრებული ტექნიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ღიმილის შემთხვევაში სპეციალური კომპიუტერული მიკროსქემის საშუალებით ნაკვთების ბიომეტრიული იდენტიფიცირება რთულდება. ასევე არარეკომენდირებულია მზერის ოდნავ ზემოთ მიმართვა და სურათის გადაღებამდე ულტრათანამედროვე ვარცხნილობის გაკეთება, რომელიც შუბლის ნაწილს დაფარავს. მათთვის, ვინც სათვალეს ატარებს, ნებადართულია სათვალით სურათის გადაღება იმ შემთხვევაში, თუკი ისინი სათვალეს ცხვირის წვერზე ჩამოიწევენ, რათა თვალები არ იყოს დაფარული. პასპორტზე დატანილი იქნება სპეციალური სქემა, რომელზეც ჩაწერილი იქნება მფლობელის ნაკვთები და დამატებითი ინფორმაცია მისი მონაცემების შესახებ. სავალდებულო არ იქნება ყველა მოქალაქის პასპორტის 2005 წელსვე გამოცვლა, თუ იდენტურობის დამადასტურებელ დოკუმენტს მოქმედების ვადა ჯერ კიდევ არ ექნება ამოწურული. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ბრიტანეთში მეტად პოპულარული იყო გამოთქმა: "თუკი თქვენ ცხოვრებაშიც ისევე გამოიყურებით, როგორც პასპორტის ფოტოზე, ე.ი. თქვენ ნამდვილად გჭირდებათ დასვენება". რეალურად კი, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე საკუთარი ფოტოსურათებით ბრიტანელების 90 პროცენტი მაინც უკმაყოფილო იყო. ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით, ბრიტანეთის ყოველი მეექვსე მოქალაქე უფრო დიდი სიამოვნებით გადაისხამდა ცხელ ყავას თავისივე ნებით, ვიდრე თავის ოფიციალურ ფოტოსურათს ნაცნობს აჩვენებდა.

ფსიქოლოგები ასეთ "არაფოტოგენურობას" თვით ბრიტანელების ქცევიდან გამომდინარე ხსნიან. ფრანგებისგან განსხვავებით, რომლებსაც იდეალური ფოტოსურათის მისაღებად დახარჯული საშუალოდ ერთი საათი არ ენანებათ, ბრიტანელები სულ ათ წუთს უთმობენ ამ საქმიანობას. არაფოტოგენურობისგან გამოწვეულ უხერხულობის განცდაში ბრიტანელებს ევროპაში მხოლოდ იტალიელები არ უდებდნენ ტოლს, რომლებიც უფრო მეტად ერიდებოდნენ საკუთარი საპასპორტო ფოტოსურათის ჩვენებას. თუმცა, როგორც ჩანს, მომავალი წლიდან აპენინების მკვიდრთ ლიდერობას ალბიონის მცხოვრებლები ჩამოართმევენ.

*24 საათი*

# არჩევნები და ტერაქტის საფრთხე

დღემდე გავრცელებულ მოსაზრებას, რომ აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებზე გადამწყვეტ მნიშვნელობას ჯორჯ ბუშის მიერ ტერორზმთან წარმოებული ბრძოლა და მისი შედეგიანობა-უშედეგობა განაპირობებს, გარკვეულწილად აქარწყლებს ჟურნალ "Time"-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები.

გამოკითხვების შედეგად ირკვევა, რომ ამერიკელი ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე მოქმედი მთავარი ფაქტორი მაინც ეკონომიკური მდგომარეობა რჩება (ამ აზრს მხარს უჭერს 27 პროცენტი) და არა დღეისათვის ასე აქტუალური ტერორიზმთან ბრძოლა (ასეთ პოზიციაზე 18 პროცენტი დგას).

ამერიკელთა თითქმის ორმოცი პროცენტი თვლის, რომ ბუშის ადმინისტრაცია მოსალოდნელი ტერაქტებით განზრახ აშინებს მოსახლეობას და ამ ფაქტორის პოლიტიკური მიზნებით, საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმების დასაგროველად გამოყენება სურს. თუმცა, სკეპტიკურად განწყობილ ამერიკელთა ასეთ მოსაზრებას გამოკითხულთა 54 პროცენტი არ იზიარებს.

რესპონდენტთა 66 პროცენტი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტერაქტი ამერიკის ტერიტორიაზე უშუალოდ არჩევნების წინ განხორციელდება, იგი გავლენას ვერ მოახდენს მათ არჩევანზე. აღსანიშნავია, რომ ტერაქტის შემთხვევაში ბუშისათვის მხარდაჭერა 15 პროცენტს აქვს გადაწყვეტილი, ხოლო 16 პროცენტი - კერის მისცემს ხმას.

ამერიკელთა 54 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბუშის ხელმეორედ არჩევა აღარ შეიძლება, მაშინ როცა 42 პროცენტი მისი პრეზიდენტობის გაგრძელების მომხრეა. იმან, თუ როგორ აწარმოებს აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი ტერორიზმთან ბრძოლას, გამოკითხულთა 56 პროცენტის დადებითი პასუხი გამოიწვია, და პირიქით - 41 პროცენტი ფიქრობს, რომ იგი ვერ ართმევს ამ ამოცანას თავს.

არჩევნები ახლავე რომ გაიმართოს, კერის 48 პროცენტიანი მხარდაჭერა ექნებოდა, ბუშის 43 პროცენტის საპირისპიროდ. თუ გავითვალისწინებთ გამოკითხვის 4 პროცენტიან ცდომილებას, ბუშსაც და კერისაც არჩევნების მოგების ერთნაირი შანსი აქვთ. გამოკითხვით დაფიქსირდა, რომ აშშ-ს ამომრჩევლის მხოლოდ სამ პროცენტს არ გადაუწყვეტია ჯერ, თუ ვის დაუჭერს მხარს.


## სს "თბილავიამშენის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების პასუხად

ბოლო პერიოდში ქართული მასმედიის საშუალებებით იმართება დისკუსია ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესებთან დაკავშირებით, მათ შორის განსაკუთრებით აქტუალურია "თბილავიამშენის" პრივატიზაციის საკითხი. ამას ჩვენც მივესალმებით, რადგან ყველა საწარმოს პრივატიზაცია აბსოლუტურად გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს და ინფორმაცია ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. "თბილავიამშენის" კოლექტივი მიესალმება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებსა და სამოქალაქო საზოგადოებისა და ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის გადადგმულ გაბედულ ნაბიჯებს. ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაწყებული პროცესი, რომელიც ამჟამად მტკივნეულად აღიქმება, საბოლოო ჯამში, ბევრად მეტი სარგებლის მომტანია, ვიდრე ნებისმიერი სახის სახელმწიფო მონოპოლია.

სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში ჩვენს საწარმოსაც, სხვა საწარმოების მსგავსად, უჭირდა განვითარება, რადგან საქმიანობის წარმართვა ბიუროკრატიულ პირობებში უწევდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, "თბილავიამშენმა" შეძლო ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერი და მსხვილი გადამხდელი გამხდარიყო. პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებულ მასალებში წარმოდგენილი ციფრები, ჩვენი საწარმოს მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის შესახებ, ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს. ჩვენს საწარმოში დასაქმებულია დაახლოებით 2300 თანამშრომელი, საშუალო ანაზღაურება კი 300 ლარს შეადგენს. საწარმოს ინტენსიური თანამშრომლობა აქვს წამყვან უცხოურ ავიაკომპანიებთან, რომლებთან ერთადაც, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დახმარებით, მუშავდება სამოქალაქო ავიაციასთან დაკავშირებული მეტად საინტერესო პროექტები. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ქართული სამხედრო თვითმფრინავი "სკორპიონი", რომელიც ისრაელელ პარტნიორებთან ერთად შეიქმნა, ერთ-ერთი საუკეთესო მოიერიშე თვითმფრინავია მთელს მსოფლიოში. გვჯერა, რომ ქართული სახელმწიფო, რომელიც აღორძინების გზას ადგას, უცილობლად გამოიყენებს ქართული ინტელექტუალური ბიზნესის მიერ შექმნილ პროდუქციას მშვიდობისა და დემოკრატიის დაცვის საქმეში.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდის ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს შორის ვაწყდებით რიგ დეზინფორმაციას, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. კერძოდ, როდესაც სტატიებში საუბარია "თბილავიამშენის" მიერ მხოლოდ ექვს თვეში გადახდილ 420 მილიონი ლარის დივიდენდზე, სიმართლეს არ შეესაბამება. თუკი საწარმოს მთლიანი შემოსავალი (რომელიც მოგება არ არის), ამავე სტატიების ინფორმაციით, 56 მილიონ დოლარს უდრის, მაშინ გაურკვეველია, როგორ უნდა იყოს დივიდენდი 420 მლნ. ლარი ანუ 210 მლნ. დოლარი. არასწორია ისიც, რომ ძთბილავიამშენი" თავისივე პროდუქციის ფასად გაიყიდა.

პრინციპულად მიუღებელია პრესაში მოყვანილი არგუმენტებიც, რომლებიც "თბილავიამშენის" ირანთან თანამშრომლობას ეხება - ესეც დეზინფორმაციაა, რადგან "თბილავიამშენს" ირანთან არანაირი ურთიერთობა არ აქვს.

პრესაში არასწორად მოწოდებულ მასალებს შორის ყურადღებას გავამახვილებთ ბატონ პანტიკო თორდიაზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტზეც, რომელსაც პოლიტიკური ელფერი ვერ მიეცემოდა, რადგან ამგვარი რამ ბატონმა პანტიკო თორდიამ პრესაში და ტელევიზიით გაკეთებული კომენტარით იმთავითვე გამორიცხა. იმედი გვაქვს, ეს უნებლიე შეცდომა ფაქტების არცოდნით იყო გამოწვეული.

აქვე გაცნობებთ, რომ "თბილავიამშენის" აუდიტორული შემოწმება ერთ-ერთი წამყვანი სააუდიტორო ფირმის მიერ უკვე ჩატარებულია და საწესდებო კაპიტალი 35 მლნ. აშშ დოლარადაა შეფასებული. ასე რომ, ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი ფასი, 67 მლნ. აშშ დოლარი, სახელმწიფოს ორმაგ მოგებას აძლევს. აღსანიშნავია ისიც, რომ **სტრატეგიულად გამართლებული გადაწყვეტილებაა "თბილავიამშენის" პოტენციალის გადაცემა ქართული მენეჯმენტისთვის, რომელიც, პირველ რიგში, დაემორჩილება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ ამოცანებს, რადგან ამ ქარხნის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საქმეში. ამ უაღრესად დადებით ფაქტზე ოპონენტები ყურადღებას, რატომღაც, არ ამახვილებენ და არ ითვალისწინებენ იმას, რომ უცხოელი ინვესტორის მფლობელობაში გადასვლისას საწარმო მსგავს მოთხოვნებს ვერანაირად დააკმაყოფილებდა. გვინდა დავარწმუნოთ საზოგადოება, რომ ძთბილავიამშენი" ყოველთვის აქტიურად ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან ეროვნული უსაფრთხოების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სტაბილური, დემოკრატიული ცხოვრების წესის დაცვისათვის. ასეა დღეს და ასე იქნება ხვალაც, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.**

დავამატებდით იმასაც, რომ "თბილავიამშენს" მადლობის მეტი არაფერი ეთქმის იმ ხელისუფლებისათვის, რომლის მეშვეობითაც ხდება ქართული ავიაციის ფლაგმანის შენარჩუნება და არავითარ დამადლებას ადგილი არასოდეს ჰქონია. ჩვენ პრინციპულად უარვყოფთ პრესაში გამოთქმულ ამგვარ ვარაუდს.

"თბილავიამშენს" ჩამოყალიბებული აქვს მეტად საინტერესო და პოზიტიური ურთიერთობა თანამედროვე ინდუსტრიის ისეთ გიგანტებთან, როგორიცაა კორპორაცია "ბოინგი" და "ნორთროპ გრუმანი". მათთან მოლაპარაკებები დღესაც გრძელდება და იმედი გვაქვს, პოზიტიურ შედეგს მივაღწევთ და საზოგადოება ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს.

გვინდა ერთხელ და სამუდამოდ ყველასათვის ნათელი გახდეს, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეხება "თბილავიამშენის" მენეჯმენტის კოლექტივს და არა პირადად ბატონ პანტიკო თორდიას. მენეჯმენტის ამ კოლექტივში გაერთიანებული არიან ქართული ავიაციის წამყვანი სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ ჩვენს ქვეყანას ეს დარგი შეუნარჩუნონ არა ფულის მეშვეობით არამედ საკუთარი ინტელექტუალური კაპიტალის წყალობით. თუ არ გვსურს ბანანის რესპუბლიკების კატეგორიას შევუერთდეთ, ხელი უნდა შევუწყოთ ინტელექტუალური ბიზნესის განვითარებასა და გაფართოებას, რადგანაც მომავალი სწორედ მას ეკუთვნის.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ მთლიანად ვიზიარებთ საქართველოს მთავრობის კურსს და ვფიქრობთ, სტრატეგიული ინტელექტუალური ობიექტი, რომელიც თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად მეტად მნიშვნელოვანია, უნდა დარჩეს ქართული პროფესიონალური მენეჯმენტის ხელში, თუმცა აქვე დავძენთ, რომ საწარმოს სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება ყველა შემთხვევაში წამგებიანი იქნებოდა მისი განვითარებისათვის.

მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის წევრებსა და ქართულ მასმედიას იმ ყურადღებისათვის, რაც ჩვენ დაგვითმეს. რა თქმა უნდა, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები გამჭვირვალედ შესწავლასა და ფაქტების დადგენას ითხოვს. ჩვენ მზად ვართ, შევხვდეთ ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის მასმედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მოვიწვიოთ "თბილავიამშენში", რათა ნახონ ყველა საჭირო დოკუმენტაცია - როგორც აუდიტორთა, ისე უცხოურ ფირმებთან ურთიერთობების დამადასტურებელი. "თბილავიამშენში" ვიწვევთ ყველა დაინტერესებულ ექსპერტსა და ოპონენტს, რომელთა აზრიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის. რა საჭიროა გადაუმოწმებელი ან მცდარი ფაქტების მიწოდება ხალხისათვის და რამდენად სჭირდება ეს დღეს გაჯანსაღების გზაზე მდგარ ჩვენს ქვეყანას? მართალი და მრავალჯერ გადამოწმებული ინფორმაცია ხელს შეუწყობს საზოგადოებას, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე საკუთარი, ობიექტური შეფასება შეიმუშავოს.

ამიტომაც ვაცხადებთ, რომ მზად ვართ ვუპასუხოთ ყველა კითხვას - "თბილავიამშენი" ღიაა მთელი საზოგადოებისთვის.

# ალპებიდან კავკასიაში - აქცია "დავასუფთაოთ"


გოგიტა ბახტაძის ფოტო
თამარ ლებანიძე.

მთის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია Mountain Wilderness საქართველოს მთამსვლელთა ორგანიზაციასთან, საქართველოს მთის ფედერაციასთან (GMF) თანამშრომლობითა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხარდაჭერით, 2004 წლის 8-20 აგვისტოს მართავს აქციას "დავასუფთაოთ". ამ აქციის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

### მთა ყაზბეგის დასუფთავების აქცია

2004 წლის 10-14 აგვისტოს ათეულობით ქართველი Mountain Wilderness-თან ერთად მოახდენს საექსპედიციო ნაგვის უტილიზაციას ეკოლოგიურად შესატყვის პირობებში.

### კოცონი კავკასიაში

2004 წლის 14 აგვისტოს დაინთება "კოცონი კავკასიაში". ეს აქცია ეწყობა პარალელურად აქციისა "კოცონი ალპებში", რაც მთიანი ქვეყნების სოლიდარობის გამომხატველია.

### მრგვალი მაგიდა

2004 წლის 18 აგვისტოს მოეწყობა "მრგვალი მაგიდა", სადაც ტურიზმის, სამთო და გარემოს დაცვის სფეროების წარმომადგენლებს შორის გაიმართება დისკუსია სტაბილურად განვითარებად ტურიზმთან დაკავშირებით თანამშრომლობის, პოტენციისა და შესაძლებლობების შესახებ.

### ხევის რაიონის გზამკვლევი

მკვლევარები დაასრულებენ მასალის მოკვლევას და საბოლოო სახეს მისცემენ ოთხენოვან გზამკვლევს.

**აქცია "დავასუფთაოთ" მიმდინარეობს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის თამარ ლებანიძის პატრონაჟით.**

**24 საათი**

# „ივერიის" მობინადრეებს ავეჯსაც ჩუქნიან

*თბილისის მთავრობა სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრებ დევნილთა გულის მოლბობას ახალ-ახალი დაპირებებით ცდილობს. გუშინ ქალაქის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე აფხაზეთიდან დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდა; გარკვეული შენიშვნებისა და პრეტენზიების მიუხედავად, შეხვედრა მშვიდობიანად დასრულდა. ორგანიზაციათა წარმომადგენლები პრემიერის კომენტარებმა დააკმაყოფილა.*

ნანა ქადაგიშვილი

საბოლოო ჯამში, დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პოზიცია ქალაქის მთავრობის პოზიციისგან დიდად არ განსხვავდებოდა, თუმცა შენიშვნა და პრეტენზია ბევრი ჰქონდათ. **"ივერიის" სასტუმროში ყოფნას საკუთარ ბინაში ცხოვრება, რა თქმა უნდა, ჯობს, მაგრამ ხალს ბევრი რამის ეშინია და ბევრი კითხვა უჩნდება. მოსახლეობა კარგად არ არის ინფორმირებული. ბევრმა ისიც არ იცის, რომ ინვესტორთან ხელშეკრულება უნდა გააფორმოს. ჯობდა, საინფორმაციო კამპანია უფრო ადრე დაწყებულიყო, რომ მოსახლეობა ამ აზრს შეჰგუებოდა. მოსახლეობასაც უნდა შეხვედროდით, ჯერ მათი აზრი გაგეგოთ. საკუთარი ბინა კი ექნებათ, მაგრამ ბევრი პრობლემა შეექმნებათ. დღეს, როგორც კომპაქტურად ჩასახლებულები, კომუნალური გადასახადებისგან თავისუფლდებიან. რამდენია მათ შორის მრავაშვილიანი მარტოხელა დედა, ისინი ხომ ელექტროენერგიისა და გაზის საფასურს ვერ გადაიხდიან,"** – არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ცდილობდნენ, "ივერიის" მობინადრეთა პრობლემები არ გამორჩენოდათ. ბრეგაძე კი მათ ყველა კითხვასა და შენიშვნაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს ეძებდა.

**"დღეიდან მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში ინვესტორსა და "ივერიაში" მცხოვრებთა შორის ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყება. ეს პროცესი 20 აგვისტომდე უნდა დასრულდეს. 18 აგვისტოდან კი ფულადი კომპენსაციების გაცემა დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ერთ ოთახზე 7 ათასი დოლარი გაიცემა, ორ ოთახზე – ორჯერ მეტი და ა. შ. ეს ყველაფერი ნოტარიულად გაფორმდება. იურიდიულ ხარჯებს ინვესტორი დაფარავს. გამგეობაში შეიქმნება მუშა ჯგუფი, რომელიც ყველაფერს გააკონტროლებს. ყველას ინტერესში შედის, რომ "ივერია", რაც შეიძლება, სწრაფად დაიცალოს. მოსახლეობას ტრანსპორტირების პრობლემასაც მოვუგვარებთ. მათ უფლება აქვთ, რომ "ივერიიდან" მათი კუთვნილი ავეჯი ახალ ბინაში გადაიტანონ. ამის გარდა, ინვესტორს მოველაპარაკებით, რომ "სასტუმროს" მშენებლობისას, უპირველესად, დევნილები დაასაქმოს,"** – შეჰპირდა "ივერიაში" მცხოვრებლებს პრემიერი.

რაც შეეხება კომუნალური გადასახადებისგან გათავისუფლებას, ქალაქის მთავრობამ გამოსავალი აქაც მოძებნა: არასამთავრობო ორგანიზაციებს მოველაპარაკებით და, ეგებ, დევნილთა დახმარების პროგრამები დააფინანსონ. თბილისის პრემიერი თანახმაა, რომ მასთან შეხვედრის მსურველ "ივერიის" მობინადრეებსაც შეხვდეს და აღნიშნული დაპირებები პირადად გაუმეოროს.

# კანონიერად დამტკიცებული უკანონო მშენებლობა

ნანა ყაველაშვილი

*12 აგვისტოს, 12 საათზე საოლქო სასამართლოში უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებული მორიგი სასამართლო პროცესია დანიშნული. მუხაძის ქუჩის მცხოვრებლები ფალიაშვილის ქ.N90 და N92-ში მიმდინარე მშენებლობის შეწყვეტას მოითხოვენ. მათი თქმით, მშენებლობა უკანონოა, რადგან პროექტებში დარღვეულია ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული მთელი რიგი ნორმები, ხოლო ამ პროექტებით აშენებული მრავალსართულიანი შენობები, იქ მცხოვრებლები და მათი ავტომობილები მომავალში მუხაძის ცალმხრივი ქუჩის მოსახლეობას საყოფაცხოვრებო პრობლემებს შეუქმნიან, ისედაც ვიწრო ქუჩის გადატვირთვას და სრულ პარალიზებას გამოიწვევენ. დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში მიმდინარე რვათვიანმა სასამართლო პროცესმა მუხაძის ქუჩის მოსახლეობას იმედები გაუცრუა. ისინი ახლა საოლქო სასამართლოში ეძებენ სამართალს.*


ბესო გულაშვილის ფოტო
*სადავო სახლი მაინც შენდება.*

2002 წლის 2 დეკემბერს თბილისის მაშინდელმა მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი ლოლაშვილმა ფალიაშვილის ქ.№92-ის ტერიტორიაზე მდებარე სახლის დანგრევა და მის ადგილზე ასაშენებელი მრავალსართულიანი სახლის პროექტი შეითანხმა. მშენებლობის დამკვეთი ვინმე ვ. გოზალიშვილი, ც. ჩხაიძე, ლ. კანდელაკი და გ. კანდელაკი იყვნენ. 2002 წლის 6 დეკემბერს თბილისის "არქმშენინსპექციამ" მშენებლობის წარმოების, ხოლო მთავარმა არქიტექტორმა – მშენებლობის ნებართვა გასცა. როცა მუხაძის ქუჩის მცხოვრებლებმა მშენებლობის შესახებ შეიტყვეს, გაარკვიეს, რომ მომავალი მშენებლობა მათ მშვიდ და ჩვეულ ცხოვრებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა. საქართველოში მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობით, ფალიაშვილის ქ.№90 და №92-ის ტერიტორიაზე დასაშვებია არაუმეტეს ოთხსართულიანი შენობის აგება, პროექტით კი ათსართულიანია შეთანხმებული. პროექტის მიხედვით, თავისი მოცულობებით, შენობები მთლიანად შეავსებენ ფალიაშვილისა და მუხაძის ქუჩას შორის არსებულ სივრცეს და გადმოვლენ მუხაძის ქუჩის წითელ ზოლზე, მათი ლიფტები და ჩასასვლელები გათვალისწინებულია მუხაძის ვიწრო, ცალმხრივი ქუჩის მხრიდან. მუხაძის ქუჩის მოსახლეობის თქმით, **"პროექტს რომ სამშენებლო კომპლექსური ექსპერტიზა არ გაევლო, მშენებლობის ჭკვიანმა და ნაკლებკეთილსინდისიერმა დამკვეთებმა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა ხელოვნურად შეამცირეს და ათსართულიანი შენობის მშენებლობა, რომლის აგებას ორი მილიონი მაინც დასჭირდება, 497 ათასი ლარით განსაზღვრეს. ახალი შენობები ძველ კომუნიკაციებზე შენდება, რაც მიწისძვრის დროს, შეიძლება, ქუჩაზე უბედური შემთხვევების წყარო გახდეს".**

მომავალი უკანონო მშენებლობით აღშფოთებულმა მუხაძის ქუჩის მოსახლეობამ დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მოითხოვა: სასამართლოს განეხილა და ბათილად ეცნო თბილისის მთავარი არქიტექტორის 2002 წლის 2 დეკემბრის ბრძანება ფალიაშვილის ქუჩაზე მშენებლობების არქიტექტურული პროექტების შეთანხმების შესახებ, "არქმშენინსპექციისა" და მთავარი არქიტექტორის ნებართვები მშენებლობების დაწყებისა და წარმოების შესახებ და ამასობაში უკვე დაწყებული მშენებლობების შეწყვეტა. ეს უკანასკნელი, მოსამართლის შესაბამისი განჩინების საფუძველზე, ისედაც უნდა მომხდარიყო, რადგან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სადავო სიტუაციებში, საქმის არსებით გარკვევამდე, სასამართლოს მოთხოვნით, უნდა მოხდეს სადავო აქტების და, შესაბამისად, მშენებლობის შეწყვეტა. მოსამართლე შოთა კვარაცხელიამ "სადავო აქტების" შეჩერება კი მოითხოვა, მაგრამ, მოსარჩელეთა თქმით, კონკრეტულად მშენებლობის შეწყვეტა - არა. სააღმსრულებლო ბიურომ და "არქმშენინსპექციამ" მოსამართლის განჩინების აღსრულება იმ მიზეზით არ მოისურვეს, რომ ის მათთვის გაუგებარი იყო. მოსარჩელეებმა მოსამართლეს დამატებითი განმარტება მოსთხოვეს, რაზეც მან უარი განაცხადა, რადგან მისი თქმით, 2004 წლის 16 თებერვლის განჩინებით, მან ერთხელ უკვე მოითხოვა იმ ადმინისტრაციული აქტების მოქმედების შეჩერება, რომლებიც ფალიაშვილის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობას ეხებოდა. რადგან მოსამართლემ განმარტება არ ისურვა, აღმასრულებელმაც მისი განჩინება აღუსრულებელი დატოვა. მშენებლობა გაგრძელდა. გაგრძელდა სასამართლო პროცესიც.

ამასობაში იმავე "არქმშენინსპექციამ", რომელმაც თავის დროზე მშენებლობის ნებართვა გასცა, 2004 წლის 16 თებერვლის "ფალიაშვილის ქუჩის №90 და №92 დაპროექტებული სახლების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის" დამდგენი წერილით მშენებლობა უკანონოდ ცნო: **"შენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს კანონის მოთხოვნებს"**. იგივე დაადასტურეს ექსპერტ-არქიტექტორებმა ვაჟა კუხიანიძემ და ვახტანგ ლეჟავამ თავიანთ დასკვნაში: **"პროექტი ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ შეთანხმებულია ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნათა გათვალისწინების გარეშე"**.

**"მიუხედავად იმისა, რომ დარღვევები აშკარად სახეზეა, მას მაინც ვერ (ან არ) ხედავენ იმ სამსახურების – მერია, ქალაქის არქიტექტურის სამსახური, "არქმშენინსპექცია" - ძველი და ახალი ჩინოვნიკები, რომლებიც ამ დარღვევების ავტორები ან დამცველები თვითონვე არიან. მათ არაფერი გააკეთეს პრობლემის მოსაგვარებლად, პირიქით, კიდევ უფრო გააფართოვეს დამნაშავეთა წრე და კორუფციის ძველი მეთოდებით მასში სასამართლო და იუსტიციის სამინისტროს ექსპერტებიც ჩართეს. სასამართლო რვა თვის განმავლობაში გრძელდებოდა. მოსამართლე შოთა კვარაცხელიამ ჩვენს წინააღმდეგ ყველა კანონიერი და უკანონო ხერხი გამოიყენა, რათა სასამართლო პროცესი უსასრულოდ გაჭიანურებულიყო და პრობლემა სხვა ასპექტში გადასულიყო. მოსამართლის გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვების შეჩერების შესახებ დღემდე არ შესრულებულა. მან ჩვენი კერძო საჩივარი საოლქო სასამართლოში კანონით განსაზღვრულ ვადაში არ გადააგზავნა. დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს დადგენილებაც ორი თვის დაგვიანებით ჩაგვბარდა. სამწუხაროდ, ისე, როგორც ადრე, სიმართლეს კვლავ ძველი მეთოდებით ებრძვიან. ჩვენი კოლექტიური განცხადებები შესასწავლად და განსახილველად, სათანადო დასკვნებისათვის კვლავ იმ სამსახურებს და ჩინოვნიკებს ეგზავნებოდათ, ვინც თვითონ არიან დამნაშავენი ამ საქმეში"**- ამბობს მუხაძის ქუჩის ერთ-ერთი მცხოვრები თემურ შუბითიძე.

უკანასკნელი დასკვნა, რომელიც აღნიშნული მშენებლობების უკანონობას აღიარებს, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2004 წლის 4 აგვისტოს მომზადებული დოკუმენტია, სადაც ნათქვამია - შენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს დასაშვებ ნორმებს!

**"იმედი გვაქვს, საოლქო სასამართლოში მაინც ვიპოვით სამართალს და დავიცავთ ჩვენს უფლებებს,"** - იმედოვნებს თემურ შუბითიძე.

# განათლების საწყისები ამომავალი მზის ქვეყანაში

*ამბობენ, იაპონელები ნიჭიერები არიანო. თუმცა, არც ქართველებს გვაკლია ნიჭიერება. განსხვავება ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით დროის ყადრი და არც ის ვიცით, რომ ნიჭს სათანადო გამოყენებაც უნდა. ჰოდა, მისი რეალიზაცია და ქვეყნისა და საკუთარი თავის სასიკეთოდ გამოყენების უნარი იაპონელებზე კარგად, მგონი, არც არავინ იცის. მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ტექნიკური მიღწევები მათ სახელს უკავშირდება. ამ ხალხის შრომისუნარიანობა, დისციპლინა, დროის რაციონალურად გამოყენების უნარი ბავშვობაში მიღებული საკმაოდ მკაცრად ორგანიზებული განათლების შედეგი უნდა იყოს.*

ნინო ტიკარაძე

უძველესი დროიდან, შუა საუკუნეების ჩათვლით, ამომავალი მზის ქვეყანაში სამმა რელიგიურმა მიმდინარეობამ: შინტომ, ბუდიზმმა და კონფუციანიზმმა გაიდგა ფესვები. დროთა განმავლობაში მათ ერთმანეთზე დიდი გავლენა მოახდინეს და ქვეყნის ფასეულობათა სისტემის დედაბოძად გადაიქცნენ. ხალხი სწავლისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებდა, მაგრამ ინტერესი ინტერესადვე რჩებოდა, რადგან, სამურაების თაოსნობით, ქვეყნის მასშტაბით გახსნილ სკოლებში სწავლა მხოლოდ მათ შვილებს შეეძლოთ, სწავლამოწყურებული ნაკლები ფინანსური შესაძლებლობის მქონე ბავშვები კი სკოლის მიღმა რჩებოდნენ. სიტუაცია შეიცვალა მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც იაპონიას იმპერატორი მეიჯი (Meiji) განაგებდა. მისი უშუალო მონდომებით ქვეყანაში დაინერგა ფრანგულ, გერმანულ და ამერიკულ მოდელებზე დამყარებული სწავლების ახალი სისტემა. დაწყებითი და საშუალო სკოლები, ასევე, უნივერსიტეტები იაპონიის ტერიტორიაზე 1872 წლიდან აღმოცენდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაციონალიზმზე აგებული სწავლების პრინციპები ამერიკელებმა ხავსმოკიდებულად ჩათვალეს და იაპონელები აიძულეს, სახელმძღვანელოები მშვიდობისა და დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით შეედგინათ. შედეგმაც არ დააყოვნა. იაპონური საგანმანათლებლო სისტემა დასავლური გზით წავიდა. იგი დღემდე წინ მიიწევს, ძლიერდება, ფართოვდება და ერთ-ერთი საუკეთესო და სამაგალითოცაა მსოფლიოში.

ბავშვის განათლება რომ ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს, ეს იაპონელებს არავისგან ესწავლებათ. ამ მნიშვნელოვანი საქმის სწორად წარმართვაში დედებს უამრავი წიგნი და სატელევიზიო შოუ ეხმარება. არსებობს, ასევე, განათლების სამინისტროს კონტროლის ქვეშ მყოფი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (yochien), რომლებიც, მართალია, არ წარმოადგენენ განათლების სისტემის ოფიციალურ ნაწილს, მაგრამ მაინც წამყვან როლს ასრულებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პირველადი უნარ-ჩვევების ფორმირებაში.

პირველიდან მეცხრე კლასამდე სწავლება სავალდებულო და ამავე დროს უფასოა. სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლის საფასურსაც განათლების სამინისტრო იხდის, საკმაოდ მცირე ზომისაა და არა ისეთი უზარმაზარი, მათი ყოველდღიური ჩანთით ტარება ქართველ ბავშვებს სწავლის ყოველგვარ ხალისს რომ უკარგავდა. აღარაფერს ვამბობ ჯანმრთელობასთან, კონკრეტულად, ხერხემალთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მადლობა ღმერთს, ეს საკითხი დღეისათვის უკვე მოგვარებულია.

იაპონელები სასტიკად ეწინააღმდეგებიან ბავშვების დაჯგუფებას ქართული სკოლებისთვის ასე დამახასიათებელი ნიშნით - შესაძლებლობების მიხედვით, რადგან, მათი რწმენით, მიწოდებული მასალის ათვისების უნარი ყველა ბავშვს აქვს, მსგავსი დიფერენციაცია კი თრგუნავს და საკუთარ შესაძლებლობებში აეჭვებს ბავშვს, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის მისი ნიჭის სათანადო რეალიზებას.

იაპონელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფიზიკურ აღზრდას. ამიტომაც, სკოლების უმრავლესობას ღია ცისქვეშა სპორტდარბაზი აქვს, გარეთ კი - სათამაშო მოედანი და საცურაო აუზი. იაპონიის სკოლებში მორალური აღზრდა ფიზიკური წვრთნის პარალელურად მიმდინარეობს. დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, იცვლება მისი შინაარსი და მეთოდიკა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარმა სოციალურმა და კულტურულმა ცვლილებებმა მასზე დიდი გავლენა მოახდინა. მორალური სწავლების ძირითადი მიზანი იაპონური ფასეულობების დაცვა და მომავალი თობებისთვის მათი გადაცემაა. საფუძველს იგი სამურაებიდან იღებს.

სამურაების მორალური კოდექსი ბუშიდო (Bushido) ემყარება კონფუციანიზმის იდეებს, რომელიც ხაზს უსვამს ლოიალობის, თვითდისციპლინის, დახვეწილი მანერების, სიწმინდის, მებრძოლი სულის, პატიოსნებისა და სხვა ფასეულობების ფორმირებას ადამიანში. იგი ყველაზე მეტად ორ ასპექტს - მებრძოლ სულსა და ღირსების დაცვას უსვამს ხაზს, თუმცა ეს არ გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებით სხვათა დამორჩილებას. ამ კოდექსის მიხედვით, სულიერი წვრთნა ადამიანს საკუთარი თავის დამორჩილებაში ეხმარება. მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შედეგადაა შესაძლებელი სხვათა მორჩილება.

ნელ-ნელა კონფუციანიზმზე დამყარებულმა მორალურმა განათლებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იაპონური განათლების მთლიან სისტემაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მას საფუძვლად დემოკრატიული პრინციპები დაუდეს.

მართალია, დაწყებითი განათლების მიღება იაპონიაში უფასოა, მაგრამ მშობლები იხდიან კვების, კერძო გაკვეთილებისა და დამატებითი წიგნების საფასურს. თითო კლასში ოცდაათამდე მოსწავლეა. მასწავლებლები, ძირითადად, მანდილოსნები არიან, დირექტორისა და დამრიგებლის პოსტი კი მამაკაცებს უკავიათ.

როგორც საერთოდაა მიღებული, იაპონიაშიც მასწავლებელი სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყანაში მის მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულება განსხვავებულია. იაპონელ ბავშვს გაცნობიერებული აქვს, რომ აუცილებელია დაიოკოს თავისი ბავშვური ცნობისმოყვარეობა და, რაც უნდა მნიშვნელოვანი კითხვა დაებადოს, გაკვეთილის ბოლომდე პედაგოგს საუბარი არ შეაწყვეტინოს, რადგან ეს მასწავლებლისადმი უპატივცემულობაში ჩაეთვლება. ფაქტია, გაკვეთილის ასეთი ფორმა მოსწავლეს ჩრდილში აყენებს, საკუთარი აზრის გამოხატვის სურვილს უხშობს და მასწავლებლის მონოლოგის ბოლომდე მოსმენას აიძულებს.

იაპონური სკოლები საგნების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ყველაზე დიდი მნიშვნელობა იაპონური ენის სწავლებას ენიჭება. ეს არც არის გასაკვირი - იაპონური ენა ერთ-ერთი ურთულესი ენაა მსოფლიო ენებს შორის. ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ არააკადემიურ საგნებს, როგორიცა ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე.

საერთოდ, განათლების იაპონური სისტემა იმდენად მკაცრადაა ფორმირებული, რომ ბავშვს არათუ დასვენების, არამედ ამოსუნთქვის საშუალებასაც არ აძლევს. სწავლების პროცესი, ოფიციალურად, 210 დღე გრძელდება, მაგრამ, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, სხვადასხვა სახის ღონისძიებას დამატებითი საათები ეთმობა.


## საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
## პროექტი "გამჭირვალე ბიუჯეტი"

**პროექტი ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam - ის საქართველოს წარმომადგენლობასთან პარტნიორობით**

***ახალი პროექტით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 234 მილიონი ლარით იზრდება***

საქართველოს მთავრობამ პარლამენტს "საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტი უკვე წარუდგინა. ახალი კანონპროექტით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 234 მილიონი ლარით (16 %-ით) იზრდება. ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები გაზრდილია 8 %-ით ანუ 57,9 მილიონი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები კი 128 - მილიონი ლარით. კაპიტალურ შემოსავლებში 61,1 მილიონიანი ზრდაა გათვალისწინებული, რაც ამჟამად არსებულის 401 %-ია. ასეთი მკვეთრი ზრდა ეკონომიკის სამინისტროს აქტიურ საპრივატიზაციო პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. უცხოური გრანტები შემცირებულია 41,7 მილიონი ლარით (26 %-ით). დეფიციტის დაფინანსების წყაროები მცირდება 36 მილიონი ლარით. მათ შორის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროები - 17,5 მილიონი ლარით. აღსანიშნავია, რომ წელს პირველად დიდი ხნის შემდეგ უცხოურ გრანტებსა და დეფიციტის დაფინანსების წყაროებთან შედარებით საკუთარ შემოსავლებს მეტი ყურადღება ექცევა. ახალი პროექტით გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდა 198 მილიონი ლარით, რომლიდანაც ძირითად პრიორიტეტად ძალოვანი სტრუქტურებია გამოყოფილი.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ექსპერტთა მოსაზრებით ახალი პროექტით საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ იმავდროულად სათუოა დამატებით 234 მილიონი ლარის მოძიება და თავმოყრა. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში არასაგადასახო შემოსავლებით მიღებულია 117,9 მილიონი ლარი, რაც უმნიშვნელოდ აღემატება არსებულ წლიურ პროგნოზს, მაგრამ ახალი მაჩვენებლით იგი 128 მილიონი ლარით იზრდება. ე.ი. წლის მეორე ნახევარში არასაგადასახადო შემოსავლებიდან უფრო მეტი უნდა იქნეს ამოღებული ვიდრე პირველ ექვს თვეში. აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ წლის პირველ ნახევარში არასაგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა კორუმპირებული ჩინოვნიკებისგან ამოღებული თანხები (სავარაუდოდ 50 მილიონ ლარზე მეტი). აქედან ჩანს, რომ ***წლის მეორე ნახევარში პროკურატურამ და "ნილბიანებმა" უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ და ჩინოვნიკების დაპატიმრებების სერია გააგრძელონ, რათა შესრულდეს ორჯერ მეტად გაზრდილი არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი.***

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2005 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც საგადასახადო განაკვეთების საკმაოდ მკვეთრი შემცირებაა გათვალისწინებული. ეს პროცესი გამოიწვევს საგადასახადო ბაზის ზრდას, როგორც ამას მთავრობა ასაბუთებს, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ პირველივე წელს გაუტოლდეს ძველი საგადასახადო განაკვეთებით ამოღებულ თანხებს. ასევე, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ბიუჯეტის შევსება მომავალ წელსაც განხორციელდეს პროკურატურის მიერ. შეუძლებელია ყოველწლიურად ახალ-ახალი ჩინოვნიკების დაპატიმრება და მათგან თანხების ამოღება შემდგომშიც გაგრძელდეს. აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთული მდგომარეობა შეიქმნება მომავალი წლისათვის, რადგან სავარაუდოდ წარმოდგენილ პროექტთან შედარებით 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯების შემცირება გახდება საჭირო, რაც მთავრობისათვის სახარბიელო ნამდვილად ვერ იქნება.

# გურამ დიდბარიძეს ყველა ხელისუფლება აპატიმრებს

*სოფლის მეურნეობის მინისტრის ყოფილი მოადგილე გურამ დიდბარიძე იმ იშვიათ თანამდებობის პირთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა დაპატიმრებასაც შევარდნაძის ხელისუფლებამაც კი ვერ აუარა გვერდი. თუმცა, პატიმრობას ძალიან მალე თავდაღწეულმა დიდბარიძემ კვლავაც შეძლო საკმაოდ მაღალი თანამდებობის დაკავება, მაგრამ ციხეში მოხვედრას ვერც ახალი ხელისუფლების პირობებში ასცდა.*

შევარდნაძისდროინდელი პატიმრობიდან გათავისუფლებული, სოფლის მეურნეობის მინისტრის ყოფილი მოადგილე გურამ დიდბარიძე, რომელსაც მაშინ სამართალდამცველებთან პრობლემები სამინისტროშივე განხორციელებული რიგი მაქინაციების გამო შეექმნა, მოგვიანებით, "საქგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილედ დაინიშნა და ახლაც, ხელმეორედ დაპატიმრებამდე ამ პოსტზე მუშაობდა. გენერალური პროკურატურა მას ამჯერად სწორედ ამ თანამდებობაზე ყოფნისას ჩადენილ დანაშაულს ედავება.

რამდენიმე დღის წინ გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარებული გურამ დიდბარიძე წინასწარი დაკავების საკანში დატოვეს. მისი ბედი გაიზიარა ასევე დაკითხვაზე მისულმა, "საქგაზის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა, უკანასკნელ ხანებში "საქგაზის" მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე მომუშავე მერაბ კაციტაძემ.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება ორივე მათგანს ბრალდებულად ცნობს დანაშაულის ჩადენაში იმ დროს, როდესაც "საქგაზს" კაციტაძე ხელმძღვანელობდა, დიდბარიძეს კი მისი მოადგილის პოსტი ეჭირა. სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – თანამდებობის ბოროტად გამოყენება, კონკრეტულად, მილიონნახევარი ლარის მითვისებას გულისხმობს. ჩვენი ინფორმაციით, საუბარია ხელფასების, სამივლინებო და სამეურნეო ხარჯების უკანონოდ გამოწერაზე, გამოტანასა და მითვისებაზე.

დიდბარიძესა და კაციტაძეს სასამართლომ უკვე შეუფარდა აღმკვეთი ღონისძიება – წინასწარი სამთვიანი პატიმრობა, ისინი უკვე გადაყვანილები არიან მე-5 საპყრობილეში.

სხვათა შორის, პროკურატურაში არ გამორიცხავენ, რომ სადავო თანხა გამოძიების პროცესში შეიძლება გაიზარდოს, გარდა ამისა, პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი სხვა თანამდებობის პირებიც. გარდა ამისა, შესაძლებელია გამოძიება დაინტერესდეს, როგორ დააღწია გურამ დიდბარიძემ თავი პატიმრობას შევარდნაძის მმართველობის პერიოდში.

*24 საათი*

# დავით მუმლაძეს „კანონიერი ქურდების" დამარცხების იმედი აქვს

გუშინწინ ქუთაისში მიკროავტობუსების მძღოლების გაფიცვას გუშინ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დავით მუმლაძის გამოხმაურება მოჰყვა. სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე მუმლაძემ ადგილობრივ სამართალდამცველებს იმ მოხელეთა საქმიანობის გამოძიება მოსთხოვა, ვინც ტრანსპორტის სფეროში კრიმინალებთან თანამშრომლობს.



"24 საათი" უკვე წერდა ქუთაისელ მძღოლთა პრეტენზიების შესახებ. საქმე ისაა, რომ უკვე ათი დღეა, ქუთაისში ყოველდღიურად აყაჩაღებენ მიკროავტობუსის მძღოლებსა და მგზავრებს. გახშირებულმა თავდასხმებმა კულმინაციას 3 დღის წინ მიაღწია, როდესაც ერთ დღეში დამნაშავეებმა ოთხი მიკროავტობუსი გაიტაცეს. როგორც მძღოლები აღნიშნავდნენ, უკვე დაკარგულია ათზე მეტი მიკროავტობუსი. არსებობს ვარაუდი, რომ მიკროავტობუსების გატაცების საქმეში იმ "კანონიერი ქურდების" ხელი ურევია, რომლებიც კარგა ხნის მანძილზე მიკროავტობუსების მძღოლების შემოსავლის წილში იყვნენ.

საუბარია იმაზე, რომ სატრანსპორტო სფერო ქუთაისში წლების განმავლობაში "კანონიერი ქურდების" მიერ კონტროლდებოდა. მათ კუთვნილებაში იყო რამდენიმე მომგებიანი სამარშრუტო ხაზი და კრიმინალების თანხმობის გარეშე, მძღოლებს ხაზზე მუშაობა არ შეეძლოთ. ამასთანავე, ქალაქში მომუშავე თითოეული მიკროავტობუსის მძღოლი დღეში 2 ლარს სწორედ მათ უხდიდა. სანაცვლოდ, "კანონიერი ქურდები" მათ დაცვას და, ავტომობილის მოპარვის შემთხვევაში, დაბრუნებას ჰპირდებოდნენ. როგორც ამბობენ, ბოლო პერიოდში მძღოლებმა აღნიშნული თანხის გადახდა ნელ-ნელა შეწყვიტეს, რის გამოც კრიმინალებმა ფულის ამოღების ახალი გზა მოძებნეს, მძღოლებს მიკროავტობუსებს ართმევენ და ფულს დაბრუნებაში ახდევინებენ.



*გუშინწინ ქუთაისში მიკროავტობუსების მძღოლების გაფიცვას გუშინ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დავით მუმლაძის გამოხმაურება მოჰყვა.*

მძღოლების უკმაყოფილებას განსაკუთრებით ის ფაქტი იწვევს, რომ ამ დანაშაულებზე არავითარი რეაგირება არ ხდება. გახშირებული ყაჩაღობის ფაქტზე პოლიციაში მხოლოდ ერთი საქმეა აღძრული.

ქუთაისის მერიაში კი მიაჩნიათ, რომ თვით ეს გაფიცვა იყო კრიმინალების მიერ ინსპირირებული და სამარშრუტო ხაზებზე გამოცხადებული ახალი ტენდერის ჩაშლას ისახავდა მიზნად. საქმე ისაა, რომ მერია სექტემბერში ახალი ტენდერის ჩატარებას და სამარშრუტო ხაზების კრიმინალებისაგან გაწმენდას გეგმავს.

თავად პრეზიდენტის რწმუნებული კი გუშინ ძალზე კატეგორიული იყო: "საქალაქო ტრანსპორტის სფეროში მომუშავე საწარმოს ხელმძღვანელობასა და "კანონიერ ქურდებს" შორის ბრძოლა მიმდინარეობს. ჩვენ აღარ დავუშვებთ, რომ მათ სახელმწიფო ფული ჩაიგდონ ხელში," - განაცხადა დავით მუმლაძემ გუშინდელ ბრიფინგზე.

მანვე აღნიშნა, რომ ფირმა "მორბენალი", რომელიც ქუთაისის სატრანსპორტო ხაზებს ფლობდა, ე.წ. "კანონიერ ქურდებს" - გიორგი მუკბანიანს, მეტსახელად "გიშაშოს" და ტარიელ ფოცხვერიას ეკუთვნოდათ და ახლა მათი გააქტიურება ამ სფეროში ტენდერის დანიშნვამ გამოიწვია.

**"ამ ბრძოლაში სახელმწიფო გაიმარჯვებს,"** - იმედი აქვს მუმლაძეს.

*24 საათი*

# მკვლელობა თელავში

*კახეთის რეგიონში კრიმინალური ვითარება იძაბება. გუშინწინ შუადღის ორ საათზე, თელავის უნივერსიტეტთან ახლოს, 20 წლის ვასიკო მოსიაშვილი მოკლეს. მკვლელობა ხალხის თანდასწრებით მოხდა. მკვლელების ვინაობა უკვე დადგენილია.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

დიდი მცდელობის მიუხედავად, კახეთის სამხარეო პოლიციის ახალი ხელმძღვანელები რეგიონში კრიმინალური ვითარების გამოსწორებას ვერ ახერხებენ. თელავი პატარა სიცილიას დაემსგავსა. შუადღისას იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე გზაზე მიმავალ 20 წლის ვასიკო მოსიაშვილს ქუჩაში წითელი ფერის "ვოლვოს" მარკის ავტომანქანა წამოეწია და მანქანაში მსხდომმა ორმა ახალგაზრდამ სამი გასროლით ვასიკო მოსიაშვილი ადგილზე მოკლა. ქუჩაში იმ დროს რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა **"გონს ვერ მოვსულვარ, ისეთი რამ მოხდა. მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე ვნახე ვასიკო, ბიჭი ძლივს მოდიოდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ნაცემი იყო. მოახლოებას აპირებდა ჩვენთან, რომ მას წითელი ფერის მანქანა წამოეწია და მანქანაში მყოფმა პირმა რამდენიმე გასროლით მოკლა,"** - ამბობს მკვლელობის თვითმხილველი. მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა უკვე გარკვეულია, ისინი თელავის სამედიცინო კოლეჯის რექტორის სულიკო ჟურულის შვილები - ბექა და გიორგი ჟურულები არიან.

გამოძიების ვერსიით, ახალგაზრდებს შორის კამათი თელავის უნივერსიტეტის შენობის ეზოში დაიწყო. წინასწარი გამოძიების შედეგად ისიც ირკვევა, რომ თავდაპირველად ვასიკო მოსიაშვილს, ძმებ ჟურულებსა და მათთან ერთად მყოფ ძმაკაცს მირიან ბინიბეგაშვილს შორის სიტყვიერი კამათი ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. როგორც რაიონის პოლიციის უფროსი ბაადურ გულიაშვილი აცხადებს, ვასიკო მოსიაშვილმა სამი თავდამსხმელის მოგერიება ჯიბის დანით მოახერხა, ბინიბეგაშვილს ჭრილობა მიაყენა და ამის შემდეგ თავდამსხმელებს ხელიდან დაუსხლტა. **"ჩვენი ვერსიით, ვასიკო მოსიაშვილი ბინიბეგაშვილისთვის მიყენებული ჭრილობის გამო შეშინდა და ამის შემდეგ მან "რაზბორკის" ადგილს თავი დააღწია,"** - ამბობს გულიაშვილი.

წინასწარი გამოძიების შედეგად ისიც ირკვევა, რომ მანქანიდან "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტით ვასიკო მოსიაშვილს გიორი ჟურულმა ესროლა. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჟურული 2003 წელს მომხდარი მკვლელობის - 23 წლის გიორგი ბუცხრიკიძის მკვლელობის თანამონაწილე იყო. თუმცა, რაიონულმა სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. ამ ფაქტს თელაველები იმით ხსნიდნენ, რომ გიორგი ჟურულს გავლენიანი მამა და სიმამრი ჰყავს.

ვასიკო მოსიაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოძიებას თელავის პროკურატურა აწარმოებს.

# პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილები შიმშილობის აქციას მართავენ

*პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ჩეჩენმა ლტოლვილებმა პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართეს და შიმშილობა დაიწყეს. აქციის დაწყების მიზეზად ისინი ერთი კვირის წინ უშიშროების სამინისტროს მიერ ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას ასახელებენ.*
*როგორც ჩეჩენი ლტოლვილები ირწმუნებიან, სპეცოპერაციის დროს ძალოვანებმა ჩეჩენ ქალებსაც, მათ შორის - ფეხმძიმესაც, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის შედეგადაც, რამდენიმე მანდილოსანი სერიოზულად დაშავდა.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

მართალია, მათ სამედიცინო მომსახურებაზე საერთაშორისო ორგანიზაცია "ტაგმა" იზრუნა, მაგრამ დაზარალებული ქალბატონები მათი უფლებების დარღვევის გამო ბოდიშის მოხდას საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვენ. **"სახლში ისე შემოცვივდნენ, თითქოს ჩემი მეუღლე საერთაშორისო ტერორისტი ყოფილიყო. როცა სპეცრაზმელებს ვკითხე, რას ითხოვდნენ ჩვენგან, მათ პასუხის ნიშნად თავში რამდენჯერმე ავტომატის კონდახი ჩამარტყეს, შემდეგ კი წიხლები უმოწყალოდ მირტყეს თირკმელებში. ისეთ დღეში ჩამაგდეს, რომ სამუდამოდ დამაავადმყოფეს,"** - ამბობს დაზარალებული მაქა იარღევი. ლტოლვილთა თქმით, ძალოვანებმა სპეცოპერაციის დროს განსაკუთრებით უმოწყალოდ იახა ბახარჩიევა სცემეს. **"მე რა შუაში ვიყავი, არ ვიცი, უბრალოდ, სპეცოპერაციას შემთხვევით შევესწარი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება და ძალოვანები თავიანთ შეცდომას მიხვდნენ, ბოდიში ჩვენთვის დღემდე არავის მოუხდია,"** - ამბობს ბახარჩიევა. ამ ყველაფერს პანკისელი ჩეჩნები იმით ხსნიან, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ იძულებულს ხდის, ხეობა დატოვონ. **"ჩვენ თანახმა ვართ, აქედან წავიდეთ, ოღონდ მესამე ქვეყანაში და არა რუსეთში, ანდა ჩეჩნეთში, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას ესეც არ სურს, რადგან მათ უნდათ, რომ რუსებს გადაგვცენ. ამის შესახებ მათ სპეცოპერაციის დროს გვითხრეს,"** - ამბობენ განაწყენებული ჩეჩენი ლტოლვილები.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციისას გამოვლენილი უხეშობა სალამო იახიევმა გაერო-ს ოფისში გააპროტესტა და საერთაშორისო ორგანიზაციას დახმარება სთხოვა.

ჩეჩენი ლტოლვილები შიმშილობის აქციის შეწყვეტას მანამდე არ აპირებენ, სანამ მათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები არ შეხვდებიან და ბოდიშს არ მოუხდიან.

რაც შეეხება ჩატარებული სპეცოპერაციების დროს დაკავებულ 20-მდე ჩეჩენ მამაკაცს, უშიშროების სამინისტრომ ზოგი იმავე დღეს, ზოგი კი - გუშინ გაათავისუფლა.

## მოკლედ

# ბულგარეთის ელჩის გურიაში სტუმრობა სროლით დასრულდა

ბულგარეთის ელჩის ვაულო ბრიზატოვის გურიაში ვიზიტის დროს მომხდარი ინციდენტი, შესაძლოა, საერთაშორისო სკანდალში გადაიზარდოს. გასულ შაბათ-კვირას ოზურგეთის რაიონის მაღალმთიანეთში, რესტორან "ჭყიმარტეში" ელჩის მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლეს.

ამის შესახებ "ინტერ-პრესს" უშიშროების ადგილობრივი განყოფილებიდან აცნობეს. უშიშროების წარმომადგენელთა განცხადებით, ელჩმა, რომელიც ურეკში ისვენებდა, გურიის მხარის უკეთ გაცნობის მიზნით, ოზურგეთი მოინახულა და გურიის გუბერნატორს ვახტანგ გოლიაძეს შეხვდა. გუბერნატორმა ელჩი რესტორან "ჭყიმარტეში" (აჭარა-გურიის საზღვარი, მდინარე აჭის სათავე) დაპატიჟა და მხარეში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე ესაუბრებოდა. ვახშმობის დროს გუბერნატორისა და ელჩის მიმართულებით გასროლა განხორციელდა. ისროდნენ მეზობელი მაგიდიდან, რომელთანაც ადგილობრივი პოლიციელები და ოზურგეთის გამგებლის ერთ-ერთი მოადგილე ისხდნენ. უშიშროებაში ამ პირთა ვინაობას არ აკონკრეტებენ.

თვითმხილველთა განცხადებით, ორივე მხარე ინციდენტის დროისათვის შეზარხოშებული იყო. სიტუაცია საქმეში უშიშროების თანამშრომლების ჩართვის შემდეგ განიმუხტა.

მომხდარით შეშფოთებულმა ბრიზატოვმა იმ წამსვე დატოვა რესტორანი, მოგვიანებით კი - ურეკიც. ინციდენტს უშიშროების ადგილობრივი განყოფილება იძიებს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთთქმულისა, ბულგარეთის საელჩოს პრესსამსახურის უფროსმა თამარ პაპალაშვილმა განაცხადა, რომ ელჩი გურიაში ვიზიტით და მისი შედეგებით ძალზე კმაყოფილია.

**"ამ ვიზიტის ფარგლებში ელჩმა ძალიან კარგი საქმიანი შეხვედრები გამართა და არანაირ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია,"** - აღნიშნა მან. აღნიშნულ ინციდენტს გურიის სამხარეო ადმინისტრაციაშიც უარყოფენ.

*ინტერ-პრესი*

# მოსკოვში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებმა მოსკოვში საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელსაც 5 კილოგრამი ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერება უპოვეს. რუსეთის შსს-ს ნარკოტიკული ნივთიერების ბრუნვის კონტროლის ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქემ არამართლზომიერად გამოიყენა კამჩატკის ოლქის ადმინისტრაციის ჯანდაცვის სამმართველოს საწარმო "ფარმაციის" მიერ ფარმაცევტულ საქმიანობაზე გაცემული ლიცენზია, ამავე საწარმოს ყალბი ბეჭედი და მინდობილობა და მოსკოვის ერთ-ერთ ფარმაცევტულ ორგანიზაციაში ძლიერმოქმედი ნივთიერების სოლიდური პარტია შეიძინა, რათა შემდგომ, ნარკოტიკული ნივთიერებები საქართველოში გადაეზიდა და გაესაღებინა. სამართალდამცველთა განცხადებით, გამოძიებას ყველა საფუძველი აქვს, ივარაუდოს, რომ ეს დაკავებულის საქმიანობის მხოლოდ ერთი ეპიზოდია, რადგან ის რუსეთის ტერიტორიაზე წელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში მოქმედებდა.

აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მოსკოველი სამართალდამცველები ამჟამად საგამოძიებო ღონისძიებებს ატარებენ იმ ადგილების დასადგენად, სადაც დაკავებული პირი ყალბი დოკუმენტებით ძლიერმოქმედ ნივთიერებებს იძენდა. რუსეთის შსს დაკავებულის ვინაობას ჯერჯერობით არ ახმაურებს.

*24 საათი*

# ბორჯომში მოსახლეობასა და პოლიციას შორის ინციდენტი მოხდა

ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბაწყურის მოსახლეობამ თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქცია გამართა და საავტომობილო გზა გადაკეტა. აქციაზე პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი მივიდა და მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა აქციის დაშლა დაიწყეს, მოსახლეობასა და ადგილობრივ სამართალდამცველებს შორის შეტაკება მოხდა.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, მოსახლეობასა და სამართალდამცველებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად, ორმა პოლიციელმა სხეულის დაზიანება მიიღო.

მოსახლეობის მხრიდან ქვებისა და სხვა საგნების სროლის შედეგად დაზიანდნენ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ჯემალ გიორგაძე და ბორჯომის შს სამმართველოს თანამშრომელი მანუჩარ ჭყოიძე. ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დაკავებულია N1 საპყრობილეს საკარანტინო კორპუსის უფროსი ზურაბ მახნიაშვილი, რომელსაც ნარკოტიკული ნივთიერება სუბოტექსის ფხვნილი აღმოაჩნდა. ამოღებული ნარკოტიკი რაოდენობის დასადგენად ექსპერტიზაზე გაიგზავნა. მახნიაშვილის ჩხრეკა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სასჯელაღსრულების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩაატარეს. მას ნარკოტიკი შარვლის ჯიბეში აღმოაჩნდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე სასჯელაღსრულების ადგილებში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის თბილისის პროკურატურამ აღძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ჭიათურა.** იმერეთის ფინანსური პოლიცია ჭიათურის გამგებლის მოადგილის ლევან ხვედელიძის კაბინეტსა და საცხოვრებელ სახლს გაჩხრეკს და, სავარაუდოდ, მის ქონებასაც დააყადაღებს. ლევან ხვედელიძეს 2003 წელს "ჭიათურმანგანუმის" კომერციულ დირექტორად მუშაობისას 238 ათასი ლარის გაფლანგვა ედება ბრალად. სამართალდამცავებმა ხვედელიძის მოუწოდეს, შესაბამის უწყებაში გამოცხადდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე ძებნა გამოცხადდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა თბილისში "დიდუბის" ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს იმავე რაიონში მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფების აქტიური წევრები, დუშეთის რაიონში მცხოვრები, ნასამართლევი, 34 წლის ზვიად კუსრაშვილი და მცხეთის რაიონში მცხოვრები, ნასამართლევი, 27 წლის სოფიკო ქენქაძე, რომლებმაც სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეს, დროებით ბეჟანიშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ალექსანდრე მანელიანს 300 აშშ დოლარი და პირადი ნივთები გასტაცეს. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ასტრახანი.** ძებნის სამსახურის თანამშრომლებმა ქალაქ ასტრახანში (რუსეთი) დააკავეს წყალტუბოს შს განყოფილების მიერ იარაღის უკანონო შენახვისათვის ძებნილი, ე. წ. კანონიერი ქურდი, 66 წლის კონსტანტინე ბობოხიძე. მზადდება მასალები მისი საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**დედოფლისწყარო.** დააკავეს სოფელ ფიროსმანში მცხოვრები, 26 წლის მერაბ ქამაშაძე, რომელიც სოფ. არხილოსკალოში მცხოვრებ სოსო გილიგაშვილის კუთვნილ ფერმაში მწყემსად მუშაობდა. მისი დროებითი საცხოვრებელი ოთახიდან ამოიღეს ხელყუმბარა "ფ-1" ფალიით. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის დედოფლისწყაროს ქვეგანყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ახალქალაქი.** ამხილეს ახალქალაქში მცხოვრები, 20 წლის ლევონ მამველიანი და 20 წლის გევორქ გორანიანი, რომლებმაც 7 აგვისტოს რუსეთის სამხედრო ბაზის რიგითს, 20 წლის ედგარ ზახრაპიანს მოტყუებით გასტაცეს მობილური ტელეფონი. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**საგარეჯო.** უშიშროების სამინისტროს საგარეჯო-გურჯაანის განყოფილების თანამშრომლებმა "ყარადულის" მინდვრებზე დააკავეს ორი ავტომანქანა, რომლის მძღოლებს საგარეჯოში მცხოვრებ, 44 წლის ზაქრო მღებრიშვილსა და 32 წლის კახა ჭიაბერაშვილს, აზერბაიჯანიდან საქართველოს საბაჟოს გვერდის ავლით, შემოჰქონდათ 600-600 ლიტრი დიზელის საწვავი. მოკვლეული მასალები საფინანსო პოლიციას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გარდაბანი.** გარდაბნის სასაზღვრო საგუშაგო "ჭანარის" განწესმა დააკავა გარდაბნის რაიონის სოფ. გაჩიანში მცხოვრებნი, 46 წლის მუსა მამედოვი, 48 წლის ვაგიფ გასანოვი, 32 წლის ელმან ორუჯოვი და თბილისში მცხოვრები, 43 წლის დილანჩი გასანოვი, რომლებსაც აღნიშნული საგუშაგოს შემოვლითი გზით, მისაბმელიანი ტრაქტორით გადაჰქონდათ 10 ათასი ლარის ღირებულების განუბაჟებელი 21 ფუთა ტანსაცმელი. მოკვლეული მასალები ქვემო ქართლის რეგიონულ საფინანსო პოლიციას გადაეცა. **მედია-ნიუსი**

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

მოსწავლეთა შეკითხვებს პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია:

## სახელმძღვანელოები

**ვისთვის და რა შეღავათები იქნება წელს სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით?**
**გამოვიყენებთ თუ ვერა წინა წლის ნათესავის სახელმძღვანელოს?**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ უკვე დაიწყო კომპლექსური პროგრამების განხორციელება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით აღჭურვისათვის. კერძოდ, ცხინვალის რეგიონის სოფლებს, ზემო არცევის, თამარაშენის, ქურთისა და ავნევის სკოლებს უკვე მიეწოდა 2100 სასკოლო სახელმძღვანელო, 50-მდე დასახელების სხვადასხვა სასკოლო თვალსაჩინოება, თითოეულ სკოლას სასკოლო საკანცელარიო ნივთები. დახმარების მოცულობამ 30 000 ლარი შეადგინა და იგი მთლიანად სამინისტროს ბიუჯეტიდან დაფინანსდა. მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე ცხინვალის რეგიონის 16 ქართული და შერეული სკოლები სასკოლო სახელმძღვანელოებით, სასკოლო თვალსაჩინოებებით, სასკოლო საკანცელარიო ნივთებით სრულად მომარაგდება, მსგავსი პროგრამა უკვე განხორციელდა საინგილოს ქართულენოვანი სკოლებისთვისაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა სახელმძღვანელოების შესყიდვა, რისთვისაც გამოყოფილი იყო 53 000 ლარი და მიმდინარე წლის 19 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაცია ბელაქანის, ზაქათალის და კახის რაიონებს ეწვია და 15 000-მდე სასკოლო სახელმძღვანელო 12-ვე ქართულენოვან სკოლას გადასცა. ამ ნაბიჯით საინგილოს ყველა სკოლის მოსწავლე ძირითადი სახელმძღვანელოებით 100% დაკმაყოფილდა.

გარდა ამისა 2004-2005 სასწავლო წლის დასაწყისისთვის საქართველოში თითოეული პირველკლასელი უფასოდ მიიღებს საქართველოს პრეზიდენტის საჩუქარს, სასკოლო სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს და ლამაზ სასკოლო ჩანთას.

რაც შეეხება კითხვას ნათესავის სახელმძღვანელოს გამოყენების შესახებ, გაცნობებთ, რომ 2004-2005 წელს სამინისტროს მიერ რეკომენდებული ნუსხა გამოქვეყნდა პრესაში და დაეგზავნა ყველა სკოლას. თუ გაქვთ გასული წლების იმავე დასახელების ნათესავის ნაქონი სახელმძღვანელო, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ გამოიყენოთ.

## ქართული ენა, ლიტერატურა და რელიგია

**შემცირდება თუ არა ქართული ენის საათები ?**
**როგორ ისწავლება ჰაგიოგრაფია ?**
**რელიგიის სწავლებას რა ბედი ელის ?**

მომდევნო სასწავლო წელს სასწავლო პროგრამის შინაარსი და მოცულობა არ იცვლება, მათ შორის ქართული ენის..

შემოდგომაზე გამოქვეყნდება ახალი სასწავლო გეგმების პროექტი, რომელიც ფართო განხილვის შემდეგ მიიღებს ოფიციალურ სტატუსს.

მოსწავლეების, მშობლების, პედაგოგებისა და ზოგადად საზოგადოების უმრავლესობის აზრით, ნებისმიერი რთული მასალა, მათ შიორის, ბუნებრივია, ლიტერატურული ტექსტები უნდა ისწავლებოდეს მოზარდის ასაკისათვის შესაფერისი მოცულობითა და ფორმით. ამ ამოცანაზე იმუშავებენ პედაგოგები, ფსიქოლოგები, დარგის სხვა სპეციალისტები და მათი დახმარებით აუცილებლად ვიპოვით სწავლების იმ თანამედროვე ოპტიმალურ ფორმებს, რომელთა მეშვეობითაც ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი ნიმუშები თქვენი ცხოვრების საყვარელი და ბრძენი მეგზურები გახდებიან.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რელიგია, როგორც სავალდებულო საგანი, არ ისწავლება სასკოლო პროგრამის ფარგლებში. რელიგიის ისტორიისა და კულტურის საგანი ისწავლება საქართველოს პრაქტიკულად ყველა სკოლაში.

## სკოლის გარემო

**როგორ გაკონტროლდება სკოლაში არის თუ არა საქმიანი და მეგობრული გარემო, სადაც არ დაირღვევა მოსწავლის, მასწავლებლის უფლებები.**

საქართველოში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ კრიტერიუმებს. სკოლებს უახლოეს მომავალში ავტონომია მიენიჭებათ, აირჩევა სამეურვეო საბჭოები, რომელიც იქნება უმაღლესი მმართველობითი ორგანო და, ამავე დროს, სკოლის, საზოგადოების, მასწავლებლების, მშობლების და ბავშვების ინტერესების დამცველი. სამეურვეო საბჭოები აირჩევენ შემდეგ დირექტორებს. შეიქმნება აგრეთვე სათათბირო ორგანოები, სამეურვეო საბჭოებში ბავშვებს ექნებათ სათათბირო ხმის უფლება, თითოეულმა ამ ორგანომ ურთიერთთანამშრომლობის და პარტნიორობის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს მეგობრული გარემოს შექმნა და დაიცვას მოსწავლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და მშობლის ინტერესები სკოლაში.

## გამოცდები

**როგორ შეიცვლება დამამთავრებელი და მისაღები გამოცდები?**
**გაგრძელდება თუ არა "უგამოცდობა" მეექვსე და მეცხრე კლასებში?**
**აქვს თუ არა უფლება სკოლას, რომ დანიშნოს შიდა გამოცდები და რა პირობით?**

2005 წლიდან მისაღები გამოცდები ცენტრალიზებული წესით ჩატარდება და მას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი წარმართავს. მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნება 15 საგამოცდო ცენტრი, რაც უზრუნველყოფს გამოცდების მაქსიმალური ობიექტურობით ჩატარებას. ტექნიკურ ფაკულტეტებზე შემსვლელები ოთხ საგანს - მათემატიკას, ქართულს, უცხო ენასა და ზოგადი უნარების ტესტს ჩააბარებენ, ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე კი ამ ჩამონათვალს აკლდება მათემატიკა. ზოგადი უნარების ტესტი გახლავთ ის ერთ-ერთი სიახლე, რომელიც ამ მოდელის ფარგლებში ინერგება. ეს ტესტი აბიტურიენტის პოტენციალს, ლოგიკურ აზროვნებას და სწავლის უნარს ზომავს.

რაც შეეხება კლასიდან კლასში გადასაყვან გამოცდებს, წელს მდგომარეობა იმით შეიცვალა, რომ მინისტრის ბრძანების შესაბამისად გაუქმდა საყოველთაო სახელმწიფო ტესტური გამოცდები მე-9 კლასში და, ასევე, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები, ამით გაიზარდა მოსწავლეთა წლიური შეფასების, ანუ მთლიანად სასწავლო პროცესის მნიშვნელობა. მოისპო გადასაყვანი გამოცდების დროს კორუფციული დაინტერესების შესაძლებლობა. სკოლებს და პედაგოგებს სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლიათ ჩაატარონ შესამოწმებელი გამოცდები, როგორც თვითშეფესაბის ინსტრუმენტი. ამ გამოცდებზე მიღებულ ნიშანს არ ექნება ზეგავლენა წლიურ შეფასებაზე.



ვახო ბესელიას ფოტო

**ვინც წარმატებით დაამთავრებს სკოლას, რა ელის?**

წარმატებით სკოლის დასრულების შემდეგ მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისად მოზარდს ეძლევა შესაძლებლობა, მაგალითად - გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში და მიიღოს ისეთი ცოდნა, რომელიც მასზე როგორც პროფესიონალზე, მოთხოვნას გაზრდის ისე, როგორც ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე შრომის საერთაშორისო ბაზარზეც. შეფასების ეროვნულ ცენტრთან ერთად სამინისტრომ შეიმუშავა საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდების კონცეფცია და ადმინისტრირების ისეთი სქემა, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს კორუფციასა და პროტექციონიზმს, მისაღები გამოცდები მომავალი წლიდან ობიექტურად და სამართლიანად ჩატარდება. უახლოეს მომავალში მოხდება აღნიშნული სქემის წარდგენა საზოგადოებისათვის.

**რატომ სჭარბობს სამეურვეო საბჭოში მშობელთა რაოდენობა მასწავლებლის რაოდენობას?**

ცოტა გასაკვირია, რომ ამ შეკითხვას მოსწავლე სვამს, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ჩვენი კანონპროექტის თანახმად, სამეურვეო საბჭო შედგება სათათბიროსა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული 6 ან 12 წარმომადგენლობისგან. სათათბიროდან არჩეული წევრები თანაბრად უნდა წარმოადგენდნენ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებს. სამეურვეო საბჭოს წევრების რაოდენობა განისაზღვრება სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით: თუ სკოლაში 500 მოსწავლემდეა, სამეურვეო საბჭო 6 წევრით განისაზღვრება, თუ 500 მოსწავლეზე მეტია, მაშინ - 12 წევრით. მასწავლებელთა და მშობელთა რაოდენობა თანაბარი იქნება. სამეურვეო საბჭოს შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ზოგადი განათლების კანონპროექტში, რომელსაც შეგიძლიათ გაეცნოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე მისამართი: **mes.gov.ge**

**რა მექანიზმები არსებობს იმ ახალგაზრდის დასაქმების უზრუნველსაყოფად, რომელმაც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა?**

ბუნებრივია, ქვეყანაში დასაქმების პრობლემას მხოლოდ ჩვენი სამინისტრო ვერ გადაჭრის, ეს ეკონომიკურ ზრდას უკავშირდება. "ჩვენს" ნაწილს რაც შეეხება, ეს არის, განათლების დონე.




**დღესდღეისობით, საქართველოში არსებობს მრავალი ფასიანი სასწავლებელი, სადაც სწავლის დაბალი დონეა. რა მეთოდით აპირებთ ამგვარ სასწავლებლებში სწავლის ხარისხის ამაღლებას?**

საქართველოში, მართლაც, ბევრი კერძო უმაღლესი სასწავლებელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წელს დაიწყება მათი აკრედიტირება, რაც ერთდროულად გაფილტრვის საშუალებაცაა და სწავლების დონის ამაღლების ინსტრუმენტიც. უმაღლესი სასწავლებლები აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ ინსტიტუციურ და პროგრამულ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი არსებობა ყოვლად დაუშვებელია.

**მიაქცევს თუ არა განათლების სამინისტრო ქართული ენის სიწმინდის დაცვას ტელევიზიასა და მასმედიაში?**

სამაუწყებლო და ბეჭდვითი მედია უპირველესად თვითონ არის დაინტერესებული იმაში, რომ ჟურნალისტების გამართული მეტყველების ხარჯზე მეტი მაყურებელი, მსმენელი ან მკითხველი მიიზიდოს. ზოგადად, კი სახელმწიფოში ენის სალიტერატურო ნორმების შემუშავება და დაცვა აუცილებელი საქმეა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე.

**იქნება თუ არა განსხვავებული პრივილეგიები სამუშაოს დაწყების დროს, მაგალითად, გორისა და თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის?**

საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს პრესტიჟი და ფუნქციონირება განაგრძოს მხოლოდ იმ სასწავლებლებმა, რომლებიც აკრედიტაციის დროს ყველა კრიტერიუმებს და მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. აკრედიტაცია წარმოადგენს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩვენი სისტემის ინტეგრირების აუცილებელ პირობას. ამდენად, სასწავლებლის რეალურ პრესტიჟს, და, შესაბამისად, მის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას, განსაზღვრავს არა ადგილმდებარეობა, არამედ განათლების ხარისხი.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

**შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ის, რომ ფრიადოსანი ბავშვები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში?**

წელს, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ასეთი მიდგომა წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს არ გამოუყენებიათ. მომავალი წლიდან, კი, როგორც მოგახსენეთ, ყველა აბიტურიენტი მიიღებს მონაწილეობას ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

**საერთოდ, საზღვარგარეთ დამთავრებულ ადამიანს დიდი პრივილეგია აქვს. უნდა ველოდოთ თუ არა იმ დროს, როცა მრავალ გაჭირვებულ მოსწავლეს აღარ დასჭირდება საზღვარგარეთ წასვლა და საქართველოშიც შესაბამის განათლებას მიიღებს?**
**მიაღწევს თუ არა საქართველოში განათლება ისეთ დონეს, როგორც სხვა ქვეყნებშია და როდის?**

ჩვენ ბრწყინვალე საგანმანათლებლო ტრადიციები გვაქვს. საუბარია იმაზე, რომ განათლების ის სისტემა, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო საბჭოთა კავშირიდან (ისევე, როგორც მართვის სისტემა) აღარ პასუხობს არც დამოუკიდებელი საქართველოს, არც საერთაშორისო გამოწვევებს და მოთხოვნებს. ამას გეტყვიან უამრავ სკოლასა და ქართულ ოჯახში. ამასწინანდელი გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ განათლების არსებული სისტემის ფუნდამენტურ ცვლილებას მოითხოვს მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი. ზოგადსაგანამანათლებლო თუ უმაღლესი განათლების სისტემაში დაწყებული ცვლილებების მიზანია მოზარდისთვის ისეთი ცოდნის მიცემა და ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომ მასზე, როგორც პროფესიონალზე მოთხოვნა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ შრომის საერთაშორისო ბაზარზეც იყოს. ვფიქრობ, შესაბამისი კანონპროექტებისა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გაცნობის შემდგომ თქვენ დარწმუნდებით, რომ რეფორმა ზოგადსაგანმანათლებლო თუ უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასაც გულისხმობს.

**როგორ უნდა ასწავლოს ერთმა პედაგოგმა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია?**

ერთი მასწავლებელი ასწავლის ფიზიკას, ქიმიას და ბიოლოგიას მაშინ, თუ სკოლა აირჩევს გაერთიანებულ, ანუ ინტეგრირებულ საგანს, რომელსაც სავარაუდოდ „ბუნება" ერქმევა. თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ ამ ერთ საგანს აუცილებლად ერთი მასწავლებელი ასწავლიდეს. არსებობს სწავლების მოხდენილი მეთოდები, რომლებიც თითოეული გაკვეთილის განმავლობაში კლასში ერთზე მეტი მასწავლებლის ყოფნის საშუალებას იძლევა. გამუდმებით გამოითქმება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ მოსაზრება, რომ საბუნებისმეტყველო საგნები დღეს ზედმეტად რთულად ისწავლება და ასაკთან შეუსაბამო ინფორმაციითაა გადატვირთული. ამიტომ ისინი ითხოვენ, რომ ეს საგნები გამარტივდეს. თუ ჩვენ ამგვარ მოთხოვნებს გავითვალისწინებთ და მართლაც გავამარტივებთ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის პროგრამებს და გავითვალისწინებთ ჩვენი მასწავლებლების პროფესიონალიზმს, მაშინ აქ პრობლემა მასწავლებლისთვის არ დადგება: შეუძლია თუ არა მას ამ საგნის სწავლება. თუ მე-7–9 კლასების ფიზიკის პროგრამას 11–13 წლის ბეჯითი მოსწავლე ძლევს, მაშინ ჩვენს მასწავლებლებსაც არ უნდა გაუჭირდეთ მათი სწავლება.

თუ მასწავლებლები არ არიან სათანადოდ დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, რომ სამი საბუნებისმეტყველო საგნის მომცველი გაკვეთილების ჩატარებას შეძლებენ, სკოლას ექნება არჩევანი ეს საგნები ცალ-ცალკე ასწავლოს.

**რამდენად რთულია თქვენი ახალი სასწავლო პროგრამა?**

ახალი სასწავლო გეგმების ფართო განხილვა შემოდგომაზე დაიწყება. ერთი რამ ნათელია, სასწავლო პროგრამა ისე უნდა შედგეს, რომ თითოეული საგანი გასაგები, მიმზიდველი, საყვარელი და საჭირო გახდეს მოზარდისთვის. ეს ნამდვილად არის ის ამოცანა, რომელიც გააერთიანებს მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და დარგის ყველა სპეციალისტს.

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

შემდეგი გვერდი გამოვა 24 აგვისტოს

ამ ხალხს ცეკვა სისხლში აქვს



"სუხიშვილები" ჩამოვიდნენ

B4

ბილწსიტყვაობა სენატში

იმის შესახებ, თუ როგორ აგინა ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ სენატორ ლიხის და რა გამოძახილი ჰქონდა ამ გინებას



B3

ბუნებრივი და თვალწარმტაცი

ტოპ-მოდელი ნადია აუერმანი დარწმუნებულია, რომ ყველაზე კარგად მაშინ გამოიყურება, როცა ზედმეტი არაფერი სცხია.



B7

დღესასწაული

# „შეგეწიოსთ და გწყალობდესთ...“

## ხევსურული ათენგენობა









მადი სერებრიაკოვა

“შეგეწიოსთ და გწყალობდესთ!” – ამ სიტყვებით ესალმებიან ხევსურები და მათი სტუმრები ერთმანეთს ათენგენობის დღესასწაულზე. აღდგომიდან 98-ე დღეს ქალთა მოდგმისთვის აკრძალულ ხატ-სალოცავში სისხლიანი მსხვერპლითა და უჩვეულო წირვით მთიელები ღმერთსა და ანგელოზებს ახსენებენ. III – IV საუკუნეების მიჯნაზე წამებული ბერძენი მღვდლის, ათინოგენ სებასტიელის მოსახსენიებლად დაწესებული მოძრავი დღესასწაული საქართველოსა და სომხეთში “დღესა ვარდობისა” აღნიშნებოდა. თუმცა ხევსურეთსა, თუშეთში თუ ხევში ქრისტიანულ დღესასწაულს ჯერაც წარუშლელი არქაული, წარმართული ტრადიციები შეერია. ათინოგენ, იგივე ათენეგენე სებასტიელის შესახებ, დღეს ხატობაში მისულებს ცოტა რამ თუ ახსოვთ. სამაგიეროდ, ყველას სჯერა, რომ ბატკნისა და ქადების შეწირვის, სანთლის ანთებისა და წინაპართა სულების მოხსენიების შემდეგ, მათ მხარეს მშვიდობა და უხვი მოსავალი არ მოაკლდება.

ათენგენობის დღესასწაულს ჯუთაში დავესწარით. ჯუთა ხევსურების სოფელია, თუმცა ყაზბეგისკენ, ხევში მდებარეობს. მთებით შემოჯარული არაბულების პატარა დასახლება უკანასკნელი სოფელია საქართველოს საზღვართან და უშგულის შემდეგ ყველაზე მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან. ჯუთადან ჭაუხამდე **“ათ წუთს მოუნდებითო”** – ამბობენ ჯუთელები. თუმცა დრო და სივრცე მათთვის სხვა საზომით იზომება. მათი “ათი წუთი” სინამდვილეში 2-3 საათის სავალია ალპური ყვავილებითა და დაუდნობელი ზვავებით მოფენილ ხეობაში.

ჯუთას ისტორია და იქ ხევსურების ჩამოსახლებაც თავისებურად ახსოვთ არაბულებს. **“ეს ქისტების ნაცხოვრალია და ხევსურების ხმლით აღებული მიწაა”** – იხსენებს ჯუთას ძირძველი მკვიდრი ირაკლი არაბული. მე-14-15 საუკუნეში ხევსურებს იქ მოსახლე ქისტებთან უომიათ და მათთვის ჯუთა წაურთმევიათ. ჯუთელების ისტორიულ მეხსიერებაში ათენგენობა ყოველთვის არსებობდა. აღდგომის შემდეგ, მათთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი დღესასწაულია. თავის დროზე, იგი მეტი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა. ხატობაში ჯვრები და დროშები გამოჰქონდათ, ხუცესი წირვას ატარებდა და მსხვერპლს სწირავდა. ამჟამად ხევსურების სიწმინდეებს ხელს უკვე არავინ ახლებს. ახალციხეს, ართხმოსა და ჯუთას თემებს საერთო დროშა ჰქონდათ. ამჟამად იგი ახალციხეშია დაცული, როგორც ისტორიული და კულტურული რელიქვია. ხატობაში ის უკვე აღარ გამოაქვთ, რადგან ნაკურთხი, კანონიერი ხუცესი აღარ ყავთ. მის მოვალეობას კი დეკანოზი ასრულებს. ეს უკანასკნელი სოფლის უხუცესია. დღესასწაულამდე იგი 40 დღიან მარხვას იცავს, ყველა ლოცვას აღასრულებს და მსხვერპლშეწირვისა და “სისხლით ნათლობის” ტრადიციებს წარმართავს. ხევსურთა დეკანოზი არ არის ქრისტიანული გაგებით სასულიერო პირი. დეკანოზი არის ის, “ვისაც შეუგავ” – ანუ, ვისაც ქადაგების ნიჭი და უნარი გააჩნია.

ჯუთელები თავს ქრისტიანებად თვლიან და არ უყვართ, როდესაც მათ რელიგიურ დღესასწაულებში წარმართულ ელემენტებს ხედავენ. თუმცა ამას მაინც ვერსად წაუვალთ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა კულტურა და ისტორია წარმართული და ქრისტინული საწყისების ჭიდილსა თუ შეყრას ეფუძნება და სწორედ ამით არის განსაკუთრებული. ათენგენობას მთაში ბევრგან აღნიშნავენ: თუშები, ხევსურები, მოხევეები მას სხვადასხვა დღეს (ძირითადად ივლისის ბოლო კვირას) ზეიმობენ. ამ დროს ხატობაში ბევრი ამოდის ბარიდან: ისინი, ვინც სოფლიდან დიდი ხნის წინათ წავიდა, მაგრამ მამა-პაპათა ტრადიციის რწმენა წელიწადში ერთხელ მაინც ეძახის ნასახლარისკენ; და ისინიც, ვინც თავს სოფლის მკვიდრად თვლის და სტუმართა მასპინძლობასა და რიტუალების აღსრულებას უწმინდეს მოვალეობად მიიჩნევს. ჯუთელებს ერთგვარი მორიგეობა აქვთ დაწესებული. ყოველწლიურად, ათენგენობას ჯუთაში ოთხი ოჯახი მასპინძლობს. მათ “დასტურებს” ეძახიან. “დასტურები” ხატს ბატკანსა თუ ხბოს სწირავენ და სადღესასწაულო სუფრას შლიან.

მსხვერპლშეწირვა ათენგენობის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. სახატე მიწა, სადაც დედაკაცს ფეხი არ დაედგმება, ამ დროს შესაწირი პირუტყვის სისხლით უხვად ირწყვება, სახელდახელოდ ცხვება ქადები და ინთება სანთლები. ქადა და შეწირული პირუტყვის ხორცი ათენგენობის სუფრის ძირითადი კერძებია. მამაკაცებისთვის სუფრა ხატის მიწაზე იშლება. ხელსაქმით განთქმული თამამი ხევსურის ქალები კი ცალკე სხდებიან. ერთი ჭიქის დალევაზე აქ უარს ვერავინ იტყვის, უარის მთქმელს კი “ძალადაც შაგასმევენ”. ადრე აქ ფერხულიც იცოდნენ და კეჭნაობითაც იყვენენ ცნობილები. კეჭნაობის დროს ვაჟები ხმლით ორთაბრძოლაში ეჯიბრებოდნენ. მათ მოწინაალმდეგისთვის მხოლოდ ნაკაწრის, მსუბუქი ჭრილობის მიყენების უფლება ჰქონდათ: **“მშიშარა მეტად იქნევს ხმალს”** – თვლიან სიტყვაძუნწი ხევსურები და თავშეკავებას აქაც ყველაზე ძვირად აფასებენ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

მსხვერპლშეწირვასთან ერთად ათენგენობაზე სისხლით ნათლობაც იმართება. ახალშობილებსა და მცირეწლოვან ვაჟებს ისინი “ხატს აბარებენ” და შეწირული პირუტყვის სისხლით შუბლსა და ხელებზე ჯვარს გამოუსახავენ. ადრე ჯუთაში პირველ ვაჟს ხშირად “ხატს სწირავდნენ”. მას ხატის დაცვა და სამსახური ევალებოდა, სამაგიეროდ კურთხეული და დალოცვილი იყო მისი მონაგარი.

ჯუთა ზამთარში თითქმის ცარიელია. აქ მხოლოდ რამდენიმე ოჯახი, უფრო მეტად ხნიერები რჩებიან. ზამთარში ჯუთა სრულიად იზოლირებულია დანარჩენი სამყაროსგან: იკეტება გზა, არ არსებობს სატელეფონო კომუნიკაცია. სამაგიეროდ, ეს მსოფლიოში ერთ-ერთი იშვიათი ადგილია, სადაც “ჰელი სკი” - ექსტრემელური სათხილამურო სპორტია ნებადართული. ჯუთელი არაბულები საკუთარ სოფელში გაზაფხულობით ბრუნდებიან. ადრე ისინი ქერს თესდნენ, ლუდსა და ჟიპიტაურს (ერთნახად ხილის არაყს) ხდიდნენ. ცალკე იხდებობა განსაკუთრებული სახატე ლუდი. დღეს აქ ბევრი რამ შეიცვალა. ლუდს ქალაქში ყიდულობენ და ღვინოც კახეთიდან ჩამოაქვთ. თუმცა მამა-პაპათა დღესასწაულისა და ხატობის ტრადიციებისადმი რიდი და მოწიწება არ შეცვლილა. ჯუთაში თბილისიდან ამოსული ხევსურებიც კი ცოტა ხნით სხვანაირად ცხოვრობენ და ძველებურ კილოზე უქცევენ - **“შეგეწიოსთ და გწყალობდესთ!”**









მოკლედ

## პანტომიმის თეატრს ახალი მთავარი რეჟისორი ჰყავს

ახალი თეატრალური სეზონის დაწყებისთანავე საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრში მთავარი რეჟისორის თანამდებობას ამირან შალიკაშვილის (უფროსი) ვაჟი, 25 წლის დავით შალიკაშვილი დაიკავებს. 15 სექტემბერს კი თეატრალური სეზონი "დონ ჟუანით" გაიხსნება და მასში მთავარ როლს ამირან შალიკაშვილი (უმცროსი) შეასრულებს.

ამჟამად დასი ბათუმში გამართავს თეატრალიზებულ აქციას, რომლის სახელწოდებაა "გამარჯვებულ ბათუმს მიესალმება ევროპის ოთხი გრანპრის მფლობელი თეატრი".

რეპერტუარში ხუთი სპექტაკლია: "დონ ჟუანი", "კრიმანჭული", "სტუმარ-მასპინძელი", "ფიროსმანი", "კიდევაც დაიზრდებიან". თეატრი რიგით მეორმოცე თეატრალურ სეზონს ძველი პრობლემებით ხვდება.

"მიუხედავად იმისა, რომ გასული თეატრალური სეზონის დასასრულს საგანგებო ბრიფინგი გავმართე და ქვეყნის ხელისუფლებას დახმარებისკენ მოვუწოდე, მაინც არაფერი შეცვლილა. თხოვნის წერილები ორი კვირის წინათ ხელმეორედ გავუგზავნე პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და კულტურის მინისტრს, თუმცა პასუხი კვლავ არ მიმიღია. ნახევარი მილიონი ლარის ნაცვლად, ამჯერად 4 ათას ლარს ვთხოვ, რათა სარემონტო სამუშაოები სარეპეტიცო დარბაზში, მსახიობთა გასახდელში, ფოიესა და საპირფარეშოში მაინც ჩავატაროთ", - თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ამირან შალიკაშვილი.

ცნობისთვის: პანტომიმის თეატრს 2005 წლის 13 მაისს დაარსებიდან 40 წელი უსრულდება.

*მედია-ნიუსი*

## ზურაბ წერეთელი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს ქმნის

რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი სანკტ-პეტერბურგში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შექმნას აპირებს. ამ მიზნით, ცნობილი არქიტექტორი სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაბამის შენობას უკვე არჩევს.

"მოსკოვში სამი მუზეუმი შევქმენი, მსგავსი ინიციატივის განხორციელებას სანკტ-პეტერბურგშიც ვაპირებ", - განაცხადა წერეთელმა. მისივე თქმით, მუზეუმში წარმოდგენილი იქნება რუსული ავანგარდის ცნობილი ოსტატების ნამუშევრები.

*მედია-ნიუსი*

## კიდევ ერთი ვარსკვლავი



იხვი დონალდი ჰოლივუდის ბულვარზე საკუთარი ვარსკვლავის მფლობელი გახდა. დღეს ვარსკვლავი დისნეის სავაჭრო ცენტრის წინ გაიხსნა.

იხვი, რომელიც უკვე 70 წელია, ბავშვებს და მოზრდილებს თანაბრად ახარებს, პირველი ნახატი გმირი როდია, ვისაც ასეთი დიდი პატივი ხვდა წილად. 2256 "ვარსკვლავოსანს" შორის სხვა ანიმაციური გმირებიც არიან: მიკი მაუსი, ყურცქვიტა ბაგსი და სიმფსონებიც.

## კონკურენტი ვაშლები

როდესაც ვამბობთ Real Networks-ს, იგულისხმება კომპანია, რომელიც ციფრული მუსიკალური ფორმატების ბაზარზე კონკურენციას უწევს "მაიკროსოფტს"; Apple Computer-ის შემთხვევაში კი ესაა კომპანია, რომლის დისკ-პლეირებმა მინიატურული ციფრული მოწყობილობების 50 პროცენტზე მეტი დაიპყრო და "მაიკროსოფტის" კონკურენტია თითქმის ყველა სფეროში.

გასულ კვირას კომპანიებმა, რომლებიც კარგა ხანს გაერთიანებულნი იყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ერთმანეთს დაუწყეს ქიშპობა და სასამართლო სარჩელებით (საკმაოდ მაღალი მატერიალური ჯარიმის საშიშროებით) დამუქრება.

კომპანია Apple-მა თავისი პოპულარული მუსიკალური პლეირის გარდა მრავალ მელომანს ციფრული მუსიკის მაღაზია Apple iTunes-ითაც დაამახსოვრა თავი. ამ მაღაზიაში ცალკეული ჩანაწერები AAC ფორმატშია მოცემული გასაყიდად; თვითონ ეს ფორმატი კი Apple Computer-ის საკუთრებაა. ამგვარად დაცული კომპოზიციების მოსმენა შესაძლებელია Apple-ის წარმოებულ iPod-ის პლეირზე, ასევე სხვადასხვა, AAC-ის მხარდამჭერ პლეირებზე (არჩევანი არცთუ მრავალფეროვანია).

არც ისე დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, Real Networks-შიც გადაწყვიტეს ონლაინში მუსიკით ვაჭრობა და ქსელში გაუშვეს ონლაინ-მაღაზიის საკუთარი ვერსია, რომლის პროდუქცია სრულიად გამოსადეგია Apple iPod-ის პლეერისთვის. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ Apple-სთვის პრესით მიღებული ეს ცნობა მოულოდნელი აღმოჩნდა. კომპანიაში მიხვდნენ, რომ მათ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ. მეტიც, Apple-ში მიაჩნიათ, რომ კონკურენტებმა მათი დიზაინი და დაცვის მექანიზმი გატეხეს.

Real Networks-ში არ უარყოფენ, რომ მათ სურდათ თანამშრომლობა და მოლაპარაკებების დაწყება Apple-თან. ისინი ირწმუნებიან რომ ონლაინ-მაღაზიის ახალი ვერსია - Harmony სულაც არ არღვევს ამერიკულ კანონმდებლობას და არ მიიჩნევა არალეგალურად. Real Networks-ის გაგებით, მისი პროდუქტი iPod-ის ფორმატს შეავსებს; ის, რომ Real Networks-ში ნაყიდი პროდუქცია ამიერიდან თავისუფლად გამოიყენება კიდევ ერთ პლეირში, სულაც არ ნიშნავს, თითქოს ამით რომელიმე კომპანია კარგავს დაცვის მექანიზმს, რომელიც Apple iTunes-ის მაღაზიაშია ნაყიდი. რაც შეეხება "დაზარალებულს", ამ ეტაპზე Apple iTunes-ის წარმომადგენლებმა ერთი რამ მოიფიქრეს - მათ გააფრთხილეს Real Networks-ის კლიენტები, რომ ამიერიდან როდესაც iPod-ისთვის Real Networks ახალ პროდუქციას გამოუშვებს, შესაძლოა, არ გამოდგეს.

მოკლედ

# ამ ხალხს ცეკვა სისხლში აქვს

"სუხიშვილები" ჩამოვიდნენ






ნანა ბასილაშვილი

*"ახლა კი გვჯერა, რომ ბალანჩინი ნამდვილად ქართველი იყო, რადგან ამ ხალხს ცეკვა სისხლში აქვს...", - ასე გამოეხმაურა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის ივნისის გასტროლებს გაზეთი "ნიუ იორკ ტაიმსი". "ნიუ იორკ სიტი ბალეტის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების მიხედვით, ამერიკაში ჯორჯ ბალანჩინის 100 წლისადმი მიძღვნილი ერთწლიანი საიუბილეო ღონისძიებები 27 ივნისს, ორგანყოფილებიანი კონცერტით, სწორედ ქართულმა ანსამბლმა - "სუხიშვილებმა" დახურა. კონცერტის წინ ანსამბლის დირექტორმა თენგიზ სუხიშვილმა საქართველოს სახელით ჯორჯ ბალანჩინის ფონდსა და "ნიუ იორკ სიტი ბალეტის" ხელმძღვანელობას შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია გადასცა. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო, რადგანაც ამ პრემიით გარდაცვლილი ხელოვანი პირველად დაჯილდოვდა.*

ნიუ იორკში ჯორჯ ბალანჩინისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე, საპატიო სტუმრების სტატუსით მიწვეული ქართული ანსამბლი სამდღიანი პროგრამით წარდგა. 25, 26 ივნისს, ანსამბლის 50-კაციანი დასი ამერიკელი მაყურებლის წინაშე ჯორჯ ბალანჩინის მიერ დაარსებულ "ნიუ იორკ სიტი ბალეტთან" და მსოფლიო კულტურის სხვა ცნობილ წარმომადგენლებთან ერთად, 30-წუთიანი პროგრამით გამოვიდა. "პირველი-ორი განყოფილება დაეთმო ერთაქტიან სპექტაკლებს, რომელიც ჯერ კიდევ ბალანჩინის დროს იყო დადგმული და შემდგომში აღდგენილი და განახლებული. ბოლო, ანუ მესამე აქტი იყო ჩვენი 30 წუთიანი პროგრამა. ნახევარი საათის განმავლობაში ძველი და ახალი პროგრამიდან რამდენიმე ცეკვა შევასრულეთ; დავიწყეთ ჩვენი ანსამბლის სავიზიტო ბარათით - ცეკვა "ხორუმით", რომელიც შემდეგ პირდაპირ გაგრძელდა ცეკვა "სამანით" (ქალთა ხორუმის ახალი ვერსია), შემდეგ იყო "სვანური", "ყაზბეგური", "სამაია", "ხევსურული", "სიმდი" (ესეც ჩვენი, ასე ვთქვათ, საამაყო საცეკვაო ნომერია), "ილოური", რომელიც ეძღვნება ჩვენს დამაარსებლებს, ჯორჯ ბალანჩინის დიდ მეგობრებს, ნინოს და ილიკოს ხსოვნას. ჩვენს პროგრამაში სრულიად ახალი ცეკვა "ხანჯლურის" ახალი ვერსია წარმოვადგინეთ, რომელიც ამერიკაში წასვლამდე სულ ცოტა ხნის წინათ დაიდგა და ქართველ მაყურებელს ჯერ არ უნახავს. გამოსვლა ცეკვა "ჯუთას" განახლებული ვერსიით დავასრულეთ. ძალიან დიდი წარმატება გვხვდა წილად, ანსამბლის შემოქმედებითი დონით თავად "ნიუ იორკ სიტი ბალეტის" მოცეკვავეები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ, რომლებიც ჩვენს კონცერტს კულისებიდან ადევნებდნენ თვალს", - ნინო სუხიშვილმა გასტროლების შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

27 ივნისს მეტროპოლიტენ ოპერის ლინკოლნ ცენტრში, ჯორჯ ბალანჩინის ერთწლიანი საიუბილეო ღონისძიებების ფინალურ კონცერტზე, "სუხიშვილებმა" ორ განყოფილებად ძველი და ახალი პროგრამა წარმოადგინეს.

დიდი ტრიუმფის შემდეგ ნიუ იორკიდან "ქართული ნაციონალური ბალეტი" იტალიაში გაემგზავრა. ამ ქვეყანაში ანსამბლი უკვე მეთოთხმეტე გასტროლზე იმყოფებოდა. ამჯერად "სუხიშვილები" სხვადასხვა ფესტივალის სტუმრები იყვნენ; შუა საუკუნეების ხელოვნების ფესტივალი, თეატრის ფესტივალი, ბალეტის ფესტივალი და ხალხური შემოქმედების ფესტივალი. ეს კი ხაზს უსვამს იმას, რომ ლეგენდარული ანსამბლი თავისი ფართო შემოქმედებითი სპექტრით, ყველა შინაარსის ფესტივალს ეხმიანება. ქართული ანსამბლის წარმატებულ გამოსვლებზე იტალიური პრესაც იუწყებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს 1967 წელს ქართული ცეკვის ჯადოქრების რეკორდი, როდესაც ლა სკალას თეატრში მათი კონცერტის დასრულების შემდეგ 14-ჯერ აიხადა ფარდა.

ზაფხულის გასტროლი ანსამბლისთვის ორმაგად სასიამოვნო აღმოჩნდა. იტალიელმა იმპრესარიომ, რომელთანაც ანსამბლი უკვე 25 წელიწადია თანამშრომლობს, სამუშაო პროგრამასთან ერთად "სუხიშვილების" დასვენებაზეც იზრუნა. "ეს ჩვენთვის საკმაოდ უჩვეულო გასტროლი იყო. ვინაიდან სულ 10 კონცერტი გვქონდა, რაც ჩვენთვის ძალიან ცოტაა, მაშინ როდესაც თვეში სულ ცოტა 25 კონცერტს ვმართავთ. ჩვენმა იმპრესარიომ დიდი საჩუქარი გაგვიკეთა, 2 კვირის განმავლობაში მთელი ანსამბლი იტალიის ზღვისპირეთში დაგვასვენა. ანსამბლის ცხოვრებაში ეს დიდი იშვიათობაა, პირადად მე, ალბათ, 15 წელია არ დამისვენია", - ამბობს ნინო სუხიშვილი.

"ვალმოხდილი" და დასვენებული ანსამბლი სამშობლოში დაბრუნებისთანავე კვლავ აქტიურ მუშაობას შეუდგა. 11 აგვისტოს ოპერისა და ბალეტის თეატრში, ექვსი ნომრით, ალექსანდრე კორსანტიასთან, ანსამბლ "ლაშართან" ერთად სამთავრობო კონცერტზე გამოვა. შემდეგ აჭარაში "ასსა პროექტით" "პონტოს" ფესტივალს დაასრულებს. ამავე პროექტით თვის ბოლოს ანსამბლი მოსკოვში თანამედროვე ელექტრონული მუსიკის ფესტივალზე მიემგზავრება. სექტემბერში ერთი კვირით კუნძულ კვიპროსზე, ოქტომბრის 12-დან კი ჩინეთში საერთაშორისო ფესტივალს ესტუმრება. პარალელურად ანსამბლის ნაწილი, 30 კაცის შემადგენლობით, ლათინურ ამერიკაში იმყოფება და საქართველოს ხელოვნებას ჩილეში, ნიკარაგუასა და გვატემალაშიც წარმოადგენს.

## ჩვენს გაჭირვებას უჭირს

კახა ცერცვაძე



იუარი ლობოდინის ფოტო

*ეს ის ადგილია, რომელსაც უცხოელი ტურისტები ყველაზე მეტად სტუმრობენ.*

დღეს ყველა პრობლემის სოციალურ ჭრილში განხილვა ძალზე პოპულარულია. ყველაფერს ვამართლებთ იმით, რომ ვიღაცას უჭირს - ისინი გაჭირვებამ აიძულა იცხოვრონ ამ პირობებში, ისინი გაჭირვებამ გამოიყვანა ქუჩაში და ასე შემდეგ. მე მინდა გითხრათ, რომ გაჭირვებაა ის, რაც ადამიანს აიძულებს იქურდოს, იყაჩაღოს, ქრთამი აიღოს. ვიღაცას ის უჭირს, რომ საკუთარი თვითმფრინავი არ აქვს, ამიტომ ქრთამს იღებს, ვიღაცას შია და ამიტომ მაღაზიას ძარცვავს. ვიღაც ლტოლვილი საქართველოს ერთ-ერთ მიყრუებულ კუთხეში ცხოვრობს - უჭირს. ვიღაც ლტოლვილი თბილისის ცენტრში ცხოვრობს - იმასაც უჭირს, 7 ათას დოლარს თუ აჩუქებენ, მაინც გაჭირვებული იქნება. ზოგი სულ არ არის ლტოლვილი და მაინც უჭირს. ყველაზე მეტად ჩვენს აზროვნებას უჭირს.

აზრი ცოცხალი დინებაა და როცა უჭირს, ყველაზე ლამაზი ფორმები გამოჰყავს, როგორც მდინარეს. ყველაზე ლამაზი მდინარის ხეობები იქ არის, სადაც მთებია, კლდეებია, რაზედაც ვაჟა ამბობს: "საამურია საცქერლად, დიაცის უბესავითა"-ო.

ყველაზე ლამაზი თბილისში ის ადგილია, სადაც მტკვარს კლდესთან ჭიდილი მოუხდა. აქ აიგო ქალაქი. აქ ტრიალებს პროფესიონალ თუ თვითნასწავლ მხატვართა მუზა. ამ პეიზაჟებს მოითხოვს ჩვენი ხელოვნების ბაზარიც, რომლის ძირითად სეგმენტს უცხოელი ტურისტები წარმოადგენენ. მშრალი ხიდის თუ რუსთაველის ქუჩის მხატვართა გამოფენებზე ეს თემა ჭარბობს - ძირითადად XIX საუკუნის, ან უფრო ძველი, იშვიათად - ახალი თბილისი.

XXI საუკუნის მხატვართა ნამუშევრებში მითებად თუ სურვილებად ცოცხლობს ძველი თბილისი - თითოეულ აივანში აზრის წვალებაა და ამისგან წარმოქმნილი ფერთა გამა, თითქოს მტკვრისგან გამოკვეთილი კლდის გაგრძელებაა, ან დასრულება, გვირგვინი. თითქოს ამომავალი მზის დარი თვალებით, წარბაწეული, ბავშვის მიამიტური, გაოცებული ღიმილით გადმოსცქერიან მტკვარში თავიანთ თავს ეს აივნები და ამ მზერაში ამაყობენ ტივზე მოქეიფე ყარაჩოღელები თუ პოეტები. დროსა და სივრცეში განულაგებიათ მხატვრებს ასევე - მოსეირნე ქოლგებმოჩრდილული ქალბატონები, კავალრებთან ერთად. აქ ფაეტონით მიჰქრიან ვიღაც ჩინოსნები, მიკიტნები და მათი მოსამსახურეები კასრებს მოაგორებენ, მედუქნეები დახლებს ალამაზებენ, მეპურეები პურს აცხობენ, კინტოები კი ხილბოსტნეულით დაზვინული ხონჩებით ყველას მოძრაობის ტრაექტორიას გადაჰკვეთენ კომეტებივით.

ეს ის ფორმებია, ფერები, რომლებიც გაჭირვებაში, აზრის ჭიდილით შექმნა იმ საუკუნემ. ეს ის პეიზაჟია, რომელსაც მხატვრები ხატავენ, ეს ის ადგილია, რომელსაც უცხოელი ტურისტები ყველაზე მეტად სტუმრობენ.

დღევანდელი გაჭირვება უფრო გაქცევისკენ, მათხოვრობისკენ ქურდობისკენ გვიბიძგებს. რომ არ გაგვიჭირდეს, გავრბივართ, ვქურდობთ, ვმათხოვრობთ, ან უბრალოდ, ყველაფერს ვეგუებით. შეგუებაა, როცა პოლიეთილენით და ქაღალდის "კარდონებით" ვთბუნავთ საცხოვრისს, არც პოლიეთილენი არც ქაღალდი ჩვენი მოგონილი არაა, ის უკვე კარგა ხანია, მოიგონეს სხვებმა სათბურებისთვის თუ სხვა რაღაცებისთვის, ჩვენ, უბრალოდ, ჩვენი შეგუებადობის წყალობით აღმოვაჩინეთ, რომ ასეთ პირობებში ცხოვრება შეიძლება. ჩვენ გაჭირვებას გავურბივართ, ამიტომ ჩვენს გაჭირვებას უფრო უჭირს ვიდრე ჩვენ. გაჭირვება მოგვდევს, უნდა რამე შეცვალოს ჩვენს აზროვნებაში, ჩვენ გავრბივართ. ხანდახან ვქურდობთ, ხანდახან ვმათხოვრობთ. ერთი სიტყვით, არ ვემორჩილებით.

ჩვენ გვგონია, რომ "ივერია" ჩვენი გაჭირვების სიმბოლოა, სინამდვილეში ეს ჩვენი შეგუების სიმბოლოა. ჩვენ შევეგუეთ იმასაც, რომ უამრავი მოპარული არქიტექტურით მახინჯდება ჩვენი თბილისი. შევეგუეთ იმასაც, რომ ჩვენი გამასხარავებული შოუბიზნესის წარმომადგენლების მოპარულ სიმღერებს უნდა მოვუსმინოთ. ჩვენ ვუგებთ მათ. მათაც ხომ იმიტომ მოიპარეს, რომ გაჭირვებას გაქცეოდნენ. ამიტომ უნდა წამოვწვეთ ჩვენს ევრორემონტიან სახლებში (ვისაც აქვს) და მოვუსმინოთ მათ ცუმპა-ცუმპა მუსიკებს და ვღვაროთ ცრემლები იმაზე, თუ რა უსამართლოა ღმერთი. რატომ უჭირს ამდენ ადამიანს. მოდი, ავუგოთ ამ გაჭირვებულებს, და საერთოდ ჩვენს გაჭირვებას, უფრო სწორად ჩვენს გაჭირვებისგან გაქცევას, შეგუების მონუმენტი და ეს მონუმენტი იქნება, ალბათ, "ივერია" შეფუთული ცელოფნებითა და ქაღალდის კარდონებით.

# ბილწსიტყვაობა სენატში

## იმის შესახებ, თუ როგორ აგინა ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ სენატორ ლიხის და რა გამოძახილი ჰქონდა ამ გინებას

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ





შეერთებული შტატების სენატში ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ სენატორ-დემოკრატ პატრიკ ლიხის უწმაწურად შეაგინა.

"არკანზას დემოკრატ-გაზეთმა" შემდეგი შინაარსის კარიკატურა გამოაქვეყნა: დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა ბიჭი იმისთვის დასაჯა, რომ დედა შეიგინა. სასჯელი იმაში მდგომარეობს, რომ ბიჭმა მთელი დაფა ერთი წინადადებით უნდა შეავსოს: "მე არ მოვახდენ ვიცე-პრეზიდენტის ციტირებას სათამაშო მოედანზე". სკამზე აბობლებული ბუთხუზა ბიჭი ხვნეშა-ხვნეშით წერს ამ ფრაზას.

მათთვის, ვინც ვაშინგტონის პოლიტიკურ ცხოვრებას თვალს ადევნებს, კარიკატურა სავსებით გასაგებია. ეს იმ სკანდალის გამოძახილია, რომელიც შეერთებული შტატების სენატში მოხდა, როცა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ სენატორ-დემოკრატ პატრიკ ლიხის უწმაწურად შეაგინა.

როგორც ამბობენ, სიტუაცია აღვადგინოთ. ორივე პარტიის სენატორები სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ, რომ კოლექტიური ფოტოსურათი გადაეღოთ. ტრადიციისამებრ, ეს რიტუალი ყოველწლიურად საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე ტარდება. ვინაიდან ვიცე-პრეზიდენტი, კონსტიტუციის თანახმად, იმავდროულად სენატის თავმჯდომარეცაა, ჩეინიც ფოტოგადაღების ცერემონიაზე იყო მიწვეული. იმის შემდეგ, რაც ობიექტივიდან "ჩიტი გამოფრინდა", კამერის გამო გაერთიანებული სენატორები პალატაში კვლავ თავიანთი პოლიტიკური მიკუთვნილების მიხედვით დანაწილდნენ, ზოგი მარჯვნივ წავიდა, ზოგი - მარცხნივ. ვერმონტის შტატის დემოკრატი სენატორი ლიხი რატომღაც რესპუბლიკელთა შორის აღმოჩნდა. ალბათ, გზა აებნა. უცებ ლიხიმ ვიცე-პრეზიდენტი დაინახა. ის მასთან მივიდა და პირდაპირ ჰკითხა: "მაშ, დემოკრატებთან საუბარი არ გსურთ?" საქმე ისაა, რომ მისკენ მიმავალი სენატორის დანახვაზე ჩეინი განზე გახტა, თითქოს გველი დაენახოს.

ვიცე-პრეზიდენტმა უპასუხა, რომ სენატორის ასეთი პირადი თავდასხმები არ მოსწონს. ლიხიმ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ისიც არ გიჟდება ჩეინიზე, რომელიც მას "ცუდს" და "ანტიკათოლიკესაც" კი უწოდებს (ლიხი სენატის იურიდიული კომიტეტის წევრია. მან ფედერალური მოსამართლის თანამდებობაზე ბუშის კანდიდატურისთვის, ვილიამ პრაიორისთვის ხმის მიცემაზე უარი განაცხადა, ვინაიდან ის ქალთა აბორტების უფლების წინააღმდეგ გამოდის - მ.ს.). სენატორმა ვიცე-პრეზიდენტს ისიც გაახსენა, რომ ის ერაყში თავისი ყოფილი კომპანიისთვის, "ჰელიბარტონისთვის" "მსუქანი" კონტრაქტების მოსაპოვებლად იღწვოდა. მოკლედ, ილაპარაკეს, ილაპარაკეს, და უცებ გაცოფებულმა ჩეინიმ ლიხის უთხრა, შენი ისე და ასეო, გატრიალდა და წავიდა.

თვითმხილველთა თქმით, ამ "აზრთა გაცვლა-გამოცვლის" დამსწრე სენატორები დიდად შოკირებულნი არ ყოფილან, რადგან დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს უკვე რა ხანია, ჯენტლმენური ურთიერთობა აღარ აქვთ. თითქოს საგანგებოდ, იმ დღეს, დილით, სენატში დემოკრატიული უმცირესობის ლიდერმა ტომ დესლმა წინადადება შეიტანა ორივე პარტიის სენატორთა ოჯახების წევრების ერთობლივი პიკნიკის მოწყობის თაობაზე, რომ ბუნების სასიკეთო გავლენით "ბოლო მოეღოს კონფრონტაციული ურთიერთობების ციკლს". მაგრამ შერიგების ნაცვლად ჩეინიმ ლიხის აგინა.

მაშასადამე, აშშ-ს კონგრესის არსებობის ისტორიაში პირველად, კაპიტოლიუმის თაღებქვეშ ოთხასოიანი სიტყვა გაისმა - Fuck. ეს ამბავი ჯერ მთელ კონგრესს მოედო, შემდეგ კი ოპერატიულ პოლიტიკურ სივრცეებში გაიჭრა. სიტყვიერ ორთაბრძოლებში გამოწვრთნილ სენატორთაგან განსხვავებით, საზოგადოებრიობა შოკირებული იყო. არა იმდენად ოთხასოიანი სიტყვით, რამდენადაც იმით, რომ ის ქვეყნის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში, წმინდათა წმინდა ადგილას იყო წარმოთქმული.

ჯერ კიდევ ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა, ჯორჯ ვაშინგტონმა წესიერი მოქცევის ნიმუშად XVI საუკუნეში ვიღაც იეზუიტი ბერის მიერ ჩამოყალიბებული კოდექსი გამოიყენა. ამ კოდექსის 49-ე პუნქტში ნათქვამია: "ვინმესთან მიმართებაში ცუდ სიტყვებს ნუ იხმარ, ნუ შეაგინებ და ნუ დაწყევლი". ქაღალდზე ყველაფერი კარგად გამოვიდა, მაგრამ გინება და წყევლა-კრულვა ვაშინგტონის ელიტის პოლიტიკურ ლექსიკონში მტკიცედაა გამაგრებული. იგინებოდა პრეზიდენტი კენედი, თუმცა ეს მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გავიგეთ. ლეგენდარულად ბილწსიტყვაობდა პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი. თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მაგნიტოფონზე ჩაწერილ პრეზიდენტ ნიქსონის საუბარში ყოველი მეორე სიტყვა Fuck-ია. როცა ეს ჩანაწერები გაშიფრეს და გამოაქვეყნეს, ყოველ გვერდზე ნახავდით წარწერას: expletive deleted ანუ "უცენზურო სიტყვები გამოტოვებულია". მას შემდეგ გამოთქმა expletive deleted ლამის განსაზღვრებად იქცა. დაბოლოს, სულ ცოტა ხნის წინათ სენატორმა ჯონ კერიმ, აშშ-ს პრეზიდენტის თანამდებობაზე დემოკრატთა კანდიდატმა, ოთხასოიანი სიტყვა ბუშის მიერ ერაყში წარმოებული ომის დასახასიათებლად გამოიყენა. ამის ფონზე მათ, ვინც საქმეში არ არიან ჩახედული, კითხვა უჩნდებათ: რალა ჩეინის fuck-მა გამოიწვია ასეთი მძაფრი რეაქცია? ამაზე პასუხს კეტლინ ჰოლ-ჯემისონი იძლევა, ანენბერგის სახელობის საზოგადოებრივი პოლიტიკის ცენტრის დირექტორი. "იგულისხმება, რომ "კერძო სიტყვებისთვის" სათანადო ადგილები არსებობს," - ამბობს ის. "ამერიკელები დემოკრატიის წმინდა ადგილების მიმართ პატივისცემას მოითხოვენ". სენატის სხდომათა დარბაზი "კერძო სიტყვებისთვის" არაა განკუთვნილი. მათთვის არც თეთრი სახლის ოვალური კაბინეტი არსებობს. ამიტომაც მოუწია ნიქსონს თავისი expletive-ს გამო ბოდიშის მოხდა. მართალია, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ოვალურ კაბინეტში სხვა პრეზიდენტების მიერ წარმოთქმული "მიწიერი სიტყვები" უხვად სმენია, უბრალოდ, მათგან არც ერთი არ გაბრიყვებულა და ისინი ფირზე არ ჩაუწერია". მეორე მხრივ, დემოკრატების მედია-კონსულტანტის, სტივ დემიკოს თქმით, "არ არსებობს იმის მაგალითი, რომ რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს ბილწი ენა კარიერის ფასად დასჯდომოდა. ასეთი ბილწსიტყვაობა მხოლოდ მის ტემპერამენტზე მეტყველებს" (ნიქსონი გინების გამო არ დაუწუნიათ - მ.ს.).

ნიქსონისგან განსხვავებით, ჩეინის ბოდიში არ მოუხდია, არც ლიხისა და არც თავისი ქვეყნის წინაშე. ულტრაკონსერვატიულ ტელეარხზე გამოსვლის დროს, რომლის სახელწოდება ასევე საკრამენტული ასო F-ით იწყება - Fox, ვიცე-პრეზიდენტმა თქვა: "დავუშვათ, ზედმეტი მომივიდა. მაგრამ ამის გაკეთების შემდეგ თავს შეუდარებლად უკეთ ვგრძნობ". ჩეინიმ დასძინა, რომ "ამერიკის სენატის პარკეტზე გამართული პატარა დებატების" დროს ის ვერ დაეთანხმა ლიხის აზრს, რომ ყველაფერი მხოლოდ "ატამი და ნაღებია", თუმცა ლიხი ატამსა და ნაღებზე კი არა, ნავთობსა და "ჰალიბერტონზე" ლაპარაკობდა, როგორც ვიცე-პრეზიდენტისთვის ატმისა და ნაღების წყაროზე. "ფოქსისთვის" მიცემული ინტერვიუს თანახმად, მის მიერ სენატორის "გაკიცხვა" სუსტი დემოკრატის წინაშე ძალის გამოვლინება იყო. "მე მგონი, მრავალი ჩემი კოლეგა თვლის, რომ ზუსტად ის ვთქვი, რაც აუცილებლად უნდა მეთქვა, ის, რაც დიდი ხნის წინ უნდა თქმულიყო," - მოახსენა ვიცე-პრეზიდენტმა მთელ ამერიკას, ატლანტიკიდან წყნარ ოკეანემდე.

ჩეინის თავისი კოლეგების აზრი არ შეშლია. ისინი თავიანთი ვიცეს დასაცავად აღიმართნენ. "ასეთ მდგომარეობამდე დემოკრატებმა მიიყვანეს. ის, რაც მათ უთხრა, მისი ხასიათის სიძლიერეზე მეტყველებს, იმაზე, რომ მას მტკიცე მრწამსი აქვს. დიკ ჩეინი რეალური კაცია (ანუ ნამდვილი მამაკაცი - მ.ს.). მის ნათქვამში დაფარული არაფერი იყო," - ამბობს ჩეინის მშობლიური შტატის, ვაიომინგის წარმომადგენელი სენატორი ალენ სიმფსონი. სხვათა შორის, თავად სიმფსონიც ცუდი სიტყვების მოყვარული ბრძანდება. "საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის დროს ამას ჩემთვის ზიანი არასოდეს მოუტანია, მეტსაც მოგახსენებთ, მეშველებოდა კიდეც, ჩემს როგორც უბრალო ბიჭის შესახებ აზრს ამტკიცებდა," - ტრაბახობს სიმფსონი. დიახ, ამერიკელებს უყვართ, როცა მათ "უბრალო ბიჭები" მართავენ და არა ყველა დროისა და ხალხების გენიალური მხედართმთავრები. მიუხედავად ამისა, ისტორიკოს რობერტ დალეკის ცნობით, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ბესტსელერი - პრეზიდენტ კენედის ბიოგრაფია გამოსცა, ქვეყანა თავისი პოლიტიკური მოღვაწეებისგან "განსხვავებულ სტანდარტებს" მოითხოვს. დალეკი ამბობს: "საზოგადოებრიობამ იცის, რომ ისინი უბრალო ბიჭები არიან, მაგრამ ამის დამტკიცება გინების მოსმენით არ სურს".

სიმფსონის გარდა, ჩეინის დასაცავად სხვა რესპუბლიკელი სენატორებიც გამოვიდნენ. სენატორი ორინ ჰეტჩი ამბობს: "ვიცე-პრეზიდენტი მაგარი ბიჭია. პატიოსნება და თავდადება მისთვის ყველაზე ძვირფასი ატრიბუტებია. მე ვერ ვადანაშაულებ მათ, ვისაც თავიანთი მრწამსის დაცვა შეუძლიათ". მაგრამ დედის გინება რა შუაშია, მისტერ ჰეტჩ? კიდევ ერთმა სენატორმა, ლამარ ალექსანდერმა ტენესის შტატიდან, განაცხადა: "ვიცე-პრეზიდენტმა ის თქვა, რასაც ფიქრობდა. მან სულიდან ტვირთი მოიცილა".

ვიცე-პრეზიდენტის გინებაზე დემოკრატთა რეაქცია სულ სხვაგვარი იყო. მისი გამოხატვა ძველი რომაული გამონათქვამით შეიძლება: "იუპიტერო, შენ ბრაზობ, მაშასადამე, მტყუანი ხარ". მეტსაც მოგახსენებთ: დემოკრატები ამტკიცებენ, რომ შეგინება იმის შედეგი იყო, რომ ჩეინის ნერვებმა უმტყუნა, რომ მან ბოლო თვეების დაძაბულობას ვეღარ გაუძლო: მთავარი რესპუბლიკური ლიგის გაუზრდელ ლიდერს ლამის ხმა ჩაუწყდა იმის მტკიცებისას, რომ ოსამა ბინ ლადენსა და სადამ ჰუსეინს 9/11-ის ტერქსტის ორგანიზაციასთან კავშირი ჰქონდათ.

დემოკრატები ცდილობენ, ვიცე-პრეზიდენტის გინება ბუმერანგად აქციონ და ის რესპუბლიკელებს ყველაზე მტკივან ადგილს მოარტყან. ეს უკანასკნელები ამტკიცებენ, რომ ე.წ. "ოჯახური ფასეულობების" მატარებლები და მქადაგებლები არიან, ამ ფასეულობებს გარყვნილების მორევში ჩაცვენილი დემოკრატებისგან იცავენ, რომელთა მედროშეც თავაშვებული კლინტონი იყო. როცა პრეზიდენტად აირჩიეს, ბუშმა განაცხადა, რომ თეთრ სახლს "წესიერებასა და პატიოსნებას" დაუბრუნებს. ვინაიდან გინება ოჯახურ ფასეულობებს არ მიეკუთვნება, დემოკრატები რესპუბლიკელებს პირფერობასა და ცრუ მორალისტობაში ადანაშაულებენ. ჩეინის fuck-ის გარშემო ატეხილი აყალმაყალი საპრეზიდენტო ბატალიებსაც ეხმიანება. დემოკრატები სენატში ჩეინის fuck-ის პროპაგანდას ეწევიან, რესპუბლიკელები - კერის fuck-ისას ჟურნალ "როლინგ სტოუნისთვის" მიცემულ ინტერვიუში. მაგრამ სენატი მაინც არაა პოპ-მუსიკის ბეჭდვითი ორგანო...

ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ თეთრ სახლში ვიცე-პრეზიდენტით უკმაყოფილება მწიფდება, რომელიც მეტისმეტად ბევრს ბედავს და ამით თავისი ბატონის მანევრირების ვალს ზღუდავს. ბუში ჩეინის საჯარო გაკილვას ვერ ბედავს და იძულებულია, მის უკიდურესობებს დაუჭიროს მხარი. ამიტომაც გავრცელდა ჭორები ახალი ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურის არსებობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, იმავე არხ "ფოქსზე" გამოსვლისას ჩეინიმ მსგავსი ჭორები სასწრაფოდ უკუაგდო. მან თქვა, რომ თეთრ სახლში 2009 წლის იანვრამდე დარჩება. "ბუშმა იცის - მე იქ ვიქნები, რომ ვემსახურო," - დასძინა ჩეინიმ.

ვიცე-პრეზიდენტის ამ სიტყვების კომენტირებისას, "ნიუ იორკ ტაიმსის" მესვეტე მაორინ დაუდი ერთი ფანტასტიკური ფილმიდან ეპიზოდს იხსენებს, რომელშიც დედამიწაზე ჩამოფრენილი უცხოპლანეტელები წიგნით არიან აღჭურვილი. წიგნის სახელწოდებაა "ადამიანის მსახურება". მაგრამ ირკვევა, რომ ეს სამზარეულო წიგნია (სიტყვათა თამაშია: to serve ნიშნავს მსახურებასაც და სუფრის გაწყობასაც). რა მნიშვნელობით აპირებს ჩეინი ბუშის მსახურებას - ამას დრო გვაჩვენებს.

# იტალიური მაფიის "ბიჭი" და პანკ-ლეგენდა

## რიკ ჯეიმსი ბუნებრივი მიზეზებით გარდაიცვალა

მადი სერებრიაკოვა

ამერიკელ პოლიციელებს არ დაუკონკრეტებიათ, თუ რას ეძახიან ისინი "ბუნებრივი მიზეზით" სიკვდილს. ამ "დიაგნოზით" აღინიშნა 80-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური მუსიკოსის, დეზერტირის, ორჯერ ნასამართლევი, კოკაინისა და ორგიების მოყვარული რიკ ჯეიმსის გარდაცვალება. იგი საკუთარ სახლში მისმა მდივანმა და თანაშემწემ იპოვა. ჯეიმსი, რომელმაც სულ ახლახანს დაამთავრა ახალი ალბომი, სიკვდილს, როგორც ჩანს, სულაც არ აპირებდა. უახლოეს ხანში იგი ალბომის გამოსაშვებად და მისი ბიოგრაფიის ამსახველი ფილმის გადაღებისთვის ემზადებოდა.

რიკ ჯეიმსის გარდაცვალებისთანავე მის ვებ-საიტზე საკმაოდ ცინიკური "სამძიმარი" გაჩნდა: **"ნათელში ამყოფოს ღმერთმა რიკ ჯეიმსი, სევდიანი დღეები დაუდგა ამერიკას, ჯერ რონალდ რეიგანი, ახლა - რიკი"**. ერთ რამეში არ შემცდარა ცინიკოსი, რომელიც თავისი დროის ამერიკის მთავარ კანონდამცველს, რონალდ რეიგანს, არცთუ უკანასკნელ კანონდამრღვევს - რიკ ჯეიმსს ადარებდა. ორივე მათგანის ძლიერების ხანა მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლებია. ისინი თითქმის ერთი სამყაროს ორ პოლუსს განასახიერებენ.

რიკ ჯეიმსს მარტოხელა დედა ზრდიდა. ეს უკანასკნელი მოახლედ მუშაობდა, თუმცა იმთავითვე, მათი პატარა ოჯახის ძირითადი შემოსავალი მცირეწლოვანი ჯეიმსის მიერ ნაშოვნი უკანონო ფული იყო. ჯეიმსი იტალიური მაფიის მიერ ორგანიზებულ უკანონო ლატარიის თანხებს აგროვებდა. ჯეიმსს ახალგაზრდობა ვიეტნამის ომისა და "ყვავილების თაობის" გაფურჩქვნის ხანას დაემთხვა. ამ ფონზე, ჯეიმსს ჯარში სამსახურის პერსპექტივა მაინცდამაინც არ ხიბლავდა. იგი საზღვაო ფლოტიდან გაიქცა და როგორც მისი თაობის მრავალმა დეზერტირმა - კანადას მიაშურა.

1977 წლამდე ჯეიმსი ლონდონსა და კანადას შორის მოგზაურობდა და მუსიკალური კარიერის გაკეთებას ცდილობდა. ამერიკაში იგი მხოლოდ ალბომის Come Get It-ის გამოშვების შემდეგ დაბრუნდა. ორი სიმღერა ალბომიდან რითმ-ენ-ბლუზის ჰიტ-აღლუმში შევიდა. ჯეიმსმა შეაგროვა გოგონები, ჩამოაყალიბა ჯგუფი Mary Jane Girls და ტურნეში წავიდა. ამის შემდეგ, ჯეიმსი ბედს აღარ უჩიოდა. 1981 წელს გამოსული ალბომი Street Songs ორჯერ გამოცხადდა პლატინის დისკად. ხოლო სიმღერა Super Freak გრემის პრემიაზე იყო წარმოდგენილი. საკუთარ სიმღერებში ჯეიმსი არც ბილწსიტყვაობას ერიდებოდა და არც ეროტიკულ სურათებს. მიუხედავად იმისა, რომ უწესო საქციელის გამო იგი სტუდიიდანაც კი გამოაგდეს, ამით მისი პოპულარობა მხოლოდ იზრდებოდა.



რიკ ჯეიმსი წერდა და პროდუსირებას უწევდა სიმღერებს მერი ჯეი ბლაიჯის, ერიკა ბადუს, ედი მერფის, სმოკი რობინსონის, თინა მარიას, ემ სი ჰამერისთვის. ამ უკანასკნელის მიერ ჯეიმსის მუსიკის მიხედვით გაკეთებული U Can't Touch This - ყველა დროის ყველაზე მაღალშემოსავლიან რეპ-ჰიტად იქცა.

ჯეიმსი კოკაინის აქტიური მომხმარებებლი იყო, კვირაში იგი 10-15 ათასს მარტო ნარკოტიკებზე ხარჯავდა. არანაკლები აქტიურობით ებმებოდა ორგიებშიც. რამაც საბოლოოდ კატასტროფამდეც მიიყვანა. ძალადობისთვის იგი ორჯერ გაასამართლეს. პირველად იგი 1991 წელს დაიჭირეს. მან და მისმა მეგობარმა ქალმა საკუთარ სახლში კოკაინის ორგია მოაწყვეს. საღამოს ერთ-ერთი მონაწილე ერთ-ერთი გოგონა სასტიკი ძალადობის მსხვერპლი გახდა. ჯეიმსმა მოახერხა თავის დაძვრენა. იგი თავდებით გაანთავისუფლეს. თუმცა, ერთ წლის შემდეგ იგი კვლავ გაასამართლეს. ამჯერად, მან სასტუმროს ნომერში კომპანიონი ქალი სცემა, რომელთანაც ერთად საკუთარი ლეიბლის დაარსებას აპირებდა. ჯეიმსს ლეიბლის პროექტიც ჩაეშალა და ორი წელი ციხეშიც მოუწია ყურყუტი.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჯეიმსმა კიდევ ერთი ალბომი გამოუშვა, ამის შემდეგ კი მას გულის შეტევა დაემართა. შეტევის შემდეგ პანკ-ფანქის ლეგენდა შედარებით წყნარ ცხოვრებას ეწეოდა. თუმცა, სიკვდილამდე კიდევ ერთი ალბომის ჩაწერაც მოასწრო. გასულ თვეში მან თენა მარიასთან ერთად BET-ის ჯილდოს გადაცემისთვის საკუთარი ჰიტი Fire & Desire შეასრულა.

ასე თუ ისე, რიკ ჯეიმსი ბევრად უფრო რესპექტაბელურად გარდაიცვალა, ვიდრე იცხოვრა. ოთხშაბათს მისი საჯარო დაკრძალვა გაიმართება, მისი მემკვიდრეობის დიდი ნაწილი კი კიბოთი დაავადებულთა დახმარების ცენტრში გადაირიცხება.

ფეხბურთი

# ალექს მაკლიში: "ურთულესი მატჩი მოგველის"



ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში "ქართული" გლაზგო რეინჯერსი" მოსკოვის ცსკა-ს დაუპირისპირდება. ამ გუნდების პირველი შეხვედრა დღეს მოსკოვის "ლოკომოტივის" სტადიონზე დაიწყება თბილისის დროით 20 საათზე. "გლაზგო რეინჯერსი" მოსკოვში გუშინ ჩაფრინდა. გუნდს თან ახლავს ორი ქართველი ლეგიონერი - ზურაბ ხიზანიშვილი და შოთა არველაძე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ხიზანიშვილი ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს თამაშს. სავარაუდოა, რომ შოთა არველაძესაც მიეცემა მოედანზე გამოსვლის შანსი.

რუსეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე შოტლანდიური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ალექს მაკლიშმა ინტერვიუ მისცა "რენიჯერსის" ოფიციალურ ვებ-გვერდს, რომელშიც მწვრთნელმა მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა.

"როდესაც ჩვენმა გულშემატკივრებმა წილისყრის შედეგები შეიტყეს, ჩათვალეს, რომ ჩემპიონთა ლგის ჯგუფურ ტურნირში უპრობლემოდ მოვხვდებოდით. მინდა, ასეთ ქომაგებს იმედები გავუცრუო. ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, ძალიან ცოტა დრო გვქონდა მეტოქეზე ინფორმაციის მოსაძიებლად და შესაგროვებლად. ამას გარდა, მოსკოველებს გაცილებით მეტი დრო ჰქონდათ ჩვენთან სათამაშოდ მოსამზადებლად, თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთის ჩემპიონატი სრული სვლით მიმდინარეობს. შოტლანდიის ჩემპიონატმა კი მხოლოდ ახლა აიღო სტარტი. არც ის მინდა, რომ გულშემატკივარს იმედები საბოლოოდ გადავუწურო. მართალია, წყვილში "რეინჯერსის" ფავორიტობას ნამდვილად არ ვეთანხმები, მაგრამ არც ცსკა-ს მივიჩნევ ასეთად და მიმაჩნია, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის, დაახლოებით, თანაბარი შანსი გვაქვს. დროის სიმცირის მიუხედავად, მაინც მოვახერხეთ მოსკოველებზე საკმაო ინფორმაციის და მათი თამაშების ვიდეოჩანაწერების მოპოვება. ასე რომ, მოსკოვში წასაგებად არ მივემგზავრებით", - აღნიშნა მაკლიშმა.

"ცსკა ძალიან კარგი გუნდია. არმიელებს კარგად აქვთ დარეგულირებული პასით თამაში. ამასთან მისი ფეხბურთელები ბრწყინვალედ თამაშობენ "მეორე სართულზეც". თუმცა, ამ მაჩვენებლებით მათ თუ არ აღვემატებით, ნამდვილად არ ჩამოვრჩებით. ეჭვგარეშეა, რომ ხვალ ურთულესი თამაში მოგველის. პრინციპში, ანგარიში 0:0 ჩვენთვის ურიგო შედეგი არ იქნება. ცსკა ხომ საკუთარ მოედანზე თამაშობს და შეეცდება, გოლები გაგვიტანოს. იმ შემთხვევაში, თუ ამის გაკეთებას ჩვენ მოვახერხებთ, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი საგრძნობლად გაიზრდება. ჩვენ სწორედ ამისთვის ვემზადებით. ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს, რომლებსაც ნებისმიერ რიტმში და ტემპში შეუძლიათ თამაში", - იმედიანადაა მაკლიში.

რამდენად რეალურ საფუძველს ემყარება შოტლანდიური გრანდის მთავარი მწვრთნელის იმედები, დღეს გამოჩნდება.

TV-სპორტი

**სამშაბათი. 10 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები
07:00 NBA TV. სეზონი 1982. BOSTON CELTICS - PHILADELPHIA 76-ERS
09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 გასული სეზონის გახსენება. "მილანი" - "რომა"
14:00 გასული სეზონის გახსენება. "ლივერპული" - "მიდლსბრო"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 გასული სეზონის გახსენება. "ბარსელონა" - "მალაგა"
17:55 რუსეთის თასი. 1/16 ფინალი. ტორპედო - დინამო (ბრიანსკი)
19:50 სახვალიო პროგრამა
19:55 გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა
20:55 ჩემპიონთა ლიგა. მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპი. დინამო (კიევი) - ტრაბზონი
22:50 საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
23:50 გასული სეზონის გახსენება. "ლივერპული" - "ბირმინჰემი"
01:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
03:30 NBA TV. მიმოხილვა

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:25, 16:00, 19:00, 00:05 ოლიმპიური პრესცენტრი
10:15, 19:15 "ოლიმპის შვილები"
10:20 ვიცოცხლოთ ორშაბათამდე
10:50 "საუკუნის ათლეტები"
11:35 კრივი
13:40 სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. ჰოკეი. სტენლის თასის ფინალი
16:15 ფიგურული ციგურაობა
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 სპორტული გლობუსი
20:00 ვარსკვლავური სამშაბათი
21:00 "საუკუნის ათლეტები"
22:00 სტარტის წინ
23:30 "ცხელი ქვიშა"
00:20 სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი ინგლისში

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
13:00 მძლეოსნობა. სუპერ გრანპრი საბერძნეთში
14:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი
15:20 ფეხბურთი. ევროგოლი
16:00 ოლიმპიური თამაშების ისტორია
18:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი
19:00 ფეხბურთი. ევროგოლი
19:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი
21:30 კრივი. ევროპის ჩემპიონატი
01:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
01:30 რალი. მსოფლიო თასის ეტაპი
02:00 ავტორბოლა NASCAR
03:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

# უჩე: "მადრიდის "რეალს" დიდი ტანჯვა ელის"

## "ვიტ ჯორჯიას" გამანადგურებელ "ვისლას" სამეფო კლუბის დამარცხების იმედიც აქვს

გახსოვთ, ალბათ, "ვიტ ჯორჯიასა" და "ვისლას" ავადგასახსენებელი მატჩი, 2:8 რომ წავაგეთ. ალბათ, ისიც გემახსოვრებათ, ჩვენი პოლონელი სტუმრები შეხვედრის წინ რომ ამბობდნენ, - ნიგერიელი უჩე ტრავმირებულია და მისი არყოფნა დიდი დანაკლისია ჩვენთვისო. ნიგერიელ კალუ უჩეს "ვი ჯორჯიას" წინააღმდეგ არც ერთ მატჩში არ უთამაშია, თუმცა კრაკოველებმა 11:2 მოგვიგეს ორი შეხვერის ჯამში.

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ვისლა" მადრიდის "რეალს" დაუპირისპირდა და სამეფო კლუბის წინააღდეგ მომავალ ორ მატჩში კალუ უჩეს იმედიც აქვს. პოლონელთა ნიგერიელი ლეგიონერი გამოჯანმრთელდა და "რეალის" წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადება.

აღსანიშნავია, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში უჩეს დიდი ხნის ოცნება ყოფილა. "ვისლაში" გადასვლამდე ის "ესპანიოლის" მეორე გუნდში თამაშობდა. თუმცა, იმას, რაც ესპანეთში თამაშისას ვერ აიხდინა, პოლონური "ვისლას" შემადგენლობაში მიაღწია. სულ ცოტა ხანში უჩეს "ბერნაბეუზე" მოუწევს თამაში, მანამდე კი "ვისლა" მადრიდელებს საკუთარ სტადიონზე მიიღებს. კალუ უჩეს სულაც არ მიაჩნია, რომ ამ დაპირისპირებაში "ვისლა" აუტსაიდერია, მას სამეფო კლუბის დამარცხების იმედი აქვს.

**- შენ "ესპანიოლის" მეორე გუნდში თამაშობდი. რა დაგამახსოვრდა იმ დროიდან?**

- პირველ რიგში ის, თუ რა კარგად მექცეოდნენ იქ. დასანანია, რომ "ესპანიოლის" შემადგენლობაში არც ერთ ოფიციალურ მატჩში თამაში არ მომიწია. მე "ზედმეტი" უცხოელი ვიყავი გუნდში. ახლა კი კრაკოვში გადავბარგდი. აქ ძალიან მომწონს. ენაც მალე შევისწავლე. მაგრამ, ესპანეთში ბევრი მეგობარი დამრჩა. თანაც, ჩემი ძმა "რეკრეატივოში" თამაშობს. ახლა ჩემი დიდი ოცნება ასრულდება.



*უჩე: "ჩემი ოცნება "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშია".*

**- რა ოცნება?**

- "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში. ამ სტადიონზე გამოსვლას ჯერ კიდევ იმ დროიდან ველი, როდესაც ფეხბურთის თამაში დავიწყე.

**- მანამდე კი "რეალს" საკუთარ მოედანზე უნდა უმასპინძლოთ. მადრიდში ახლაც კარგად ახსოვთ, რომ თქვენს სტადიონზე "ვისლას" ერთ-ერთმა გულშემატკივარმა დანა ესროლა დინო ბაჯოს.**

- ასეთი რამ აღარ განმეორდება. "ვისლას" გულშემატკივრები სულმოუთქმელად ელიან "რეალის" ჩამოსვლას. ხალხი აქ უდიდეს პატივს სცემს "რეალს" და ერთი სული აქვთ, როდის გაიცნობენ ამ გუნდის ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი - ბექჰემს და რონალდოს.

**- წარმოიდგინე, რომ შენ "რეალის" ფეხბურთელი ხარ. ინერვიულებდი "ვისლასთან" შეხვედრის წინ?**

- დიახ, რასაკვირველია. მომავალი მატჩი ოცნების ასრულებაა ჩვენთვის. მეტოქეს უამრავ პრობლემას შევუქმნით. ამისთვის ისინი მზად უნდა იყვნენ.

**- კამაჩოს შეგირდებს ადევნებთ თვალს?**

- დიახ, ჩვენ ყველა მატჩი ვიხილეთ. ძალიან მოგვეწონა, მაგრამ მოედანზე ჩვენც თერთმეტნი ვიქნებით და "რეალს" ძალიან დავტანჯავთ.

**- გაღიზიანებს ის ფაქტი, რომ "რეალი" მომავალი მატჩების ფავორიტად მიიჩნევა?**

- პირადად მე ამ აზრს არ ვეთანხმები. ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს. ოთხ შეხვედრაში 21 გოლი გავიტანეთ. ვფიქრობ, ეს საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ ჩვენთან შეხვედრის წინ "რეალმა" ინერვიულოს.

**- ვინ არის ყველაზე სახიფათო ფეხბურთელი მათ შემადგენლობაში?**

- ოჰ! არ ვიცი... რონალდო მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია, მაგრამ მე მორიენტესიც მომწონს და გუტიც. მიუხედავად ამისა, შეიძლება, რომ მათაც ჰქონდეთ უიღბლო დღე. რატომაც არ უნდა გამოვთიშოთ ისინი ტურნირიდან? თანაც, ვფიქრობ, რომ "რეალი" ახლა არცთუ ოპტიმალურ ფორმაშია.

# "პორტოს" კვლავ ახალი მწვრთნელი ჰყავს

## დელ ნერი ვიქტორ ფერნანდესმა შეცვალა

მას შემდეგ, რაც პორტუგალიურმა "პორტომ" ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფი იზეიმა, ამ გუნდის ფეხბურთელებზე ნამდვილი ნადირობა გაჩაღდა. რიკარდო კარვალიო ლონდონის "ჩელსიში" გადავიდა, დეკო კი ესპანურმა "ბარსელონამ" იყიდა. "პორტოს" წარმატების მთავარი მესაჭე - მწვრთნელი ჟოზე მაურინიოც "ჩელსიში" წავიდა...

"პორტოს" ხელმძღვანელები საკმაო ხანს ეძებდნენ მაურინიოს შემცვლელს და ბოლოს იტალიელი ლუიჯი დელ ნერის კანდიდატურა შეარჩიეს. თუმცა, "კიევოს" ყოფილი მწვრთნელი მეტად არასერიოზული კაცი აღმოჩნდა. დელ ნერი სისტემატურად აცდენდა ვარჯიშებს და, შედეგად, სამსახური დაკარგა. "პორტოს" ხელმძღვანელობამ ახალი მწვრთნელის კაპრიზების ატანა არ ისურვა, სამი დღის წინათ დელ ნერის თანამდებობა დაატოვებინეს.

თუმცა, "პორტო" დიდხანს არ დარჩენილა მწვრთნელის გარეშე. გუშინ საღამოს კლუბმა ახალი დამრიგებელი წარუდგინა საზოგადოებას - ესპანელი ვიქტორ ფერნანდესი.

ამბობენ, - ზოგი ჭირი მარგებელიაო, - და "პორტოსაც" ასე დაემართა. მართალია, დელ ნერიმ "პორტოს" ხელმძღვანელების იმედები გააცრუა, მაგრამ ამ მწვრთნელის განთავისუფლების შემდეგ "პორტომ" უკეთესი, ყოველ შემთხვევაში, უფრო ტიტულოვანი დამრიგებელი მოიპოვა.

ვიქტორ ფერნანდესი ახალგაზრდა მწვრთნელების რიცხვს განეკუთვნება. ამჟამად ის 43 წლის არის, თუმცა უკვე მოახერხა, რომ საუკეთესო მხრიდან წარმოეჩინა თავი. 1995 წელს "სარაგოსასთან" ერთად ის თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. ამ კლუბში ის 1995 წლიდან მუშაობდა. თავდაპირველად ის რადომირ ანტიჩის თანაშემწე იყო, 1991 წელს კი "სარაგოსას" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.



*ვიქტორ ფერნანდესი ახალ გუნდს აკეთებს.*

მოგვიანებით ფერნანდესმა "სელტაში" გააგრძელა მოღვაწეობა და ამ კლუბთან ერთად მრავალი მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით, "სელტამ" ხუთჯერ მოახერხა უეფა-ს თასზე გაღწევა და ამ პრესტიჟულ ტურნირზე საკმაოდ კარგ შედეგებს აღწევდა. "სელტას" გულშემატკივრებს, ალბათ, არასოდეს დაავიწყდებათ მატჩი, როდესაც მათმა გუნდმა ანგარიშით 7:0 გაანადგურა ლისაბონის "ბენფიკა".

სავსებით შესაძლებელია, რომ ის მატჩი "პორტოს" პრეზიდენტ პინტუ და კოშტასაც კარგად დაამახსოვრდა - "ბენფიკა" ხომ "პორტოს" უმთავრესი კონკურენტია პორტუგალიის ჩემპიონატში...

უკანასკნელი სამი სეზონის განმავლობაში ფერნანდესი სევილიის "ბეტისს" ედგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ ფერნანდესი ესპანეთის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მწვრთნელად არის აღიარებული, "ბეტისთან" ერთად მან ვერც ერთი მნიშვნელოვანი ტიტულის მოპოვება ვერ შეძლო. 2003-2003 წლების სეზონის მიწურულს ფერნანდესმა თანამდებობიდან გადადგომა გადაწყვიტა.

მაგრამ, მისი დონის სპეციალისტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ რჩებიან სამსახურის გარეშე. "ბეტისის" მწვრთნელის პოსტიდან მისი გადადგომის პერიოდში გახდა ცნობილი, რომ მადრიდის "რეალი" კარლოს კეიროშის გათავისუფლებას აპირებდა. მაშინვე გაჩნდა მოსაზრება, რომ კეიროშს სამეფო კლუბის მწვრთნელის პოსტზე კეიროშს სწორედ ფერნანდესი შეცვლიდა. ამის ალბათობა, მართლაც, დიდი იყო, თუმცა მადრიდელებს შემდეგ კამაჩოს ვარიანტი გამოუჩნდათ და ფერნანდესის მიწვევაზე უარი განაცხადეს.

"პორტოსა" და ფერნანდესს შორის შეთანხმება მეტისმეტად სწრაფად მოხდა. პორტუგალიელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ფერნანდესის "პორტოში" დანიშვნის საკითხი გასულ კვირას, დელ ნერის განთავისუფლების მეორე დღესვე გადაწყდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ფერნანდესის გარდა, "პორტო" მრავალი სხვა მწვრთნელის კანდიდატურასაც განიხილავდა. სასურველ მწვრთნელთა სიაში ფიგურირებდა მოსკოვის ცსკ-დან სულ ახლახან გათავისუფლებულ არტურ ჟორჟეს, ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ვანდერლეი ლუშენბურგოს, "ლილის" თავკაცის კლოდ პიელის და ექტორ კუპერის გვარებიც.

ასეა თუ ისე, "პორტომ" ფერნანდესზე შეაჩერა არჩევანი. სავარაუდოდ, ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი ესპანელი მწვრთნელის საფეხბურთო ფილოსოფია გახდა. ფერნანდესის გუნდების თამაშის სტილი ხომ ძალიან წააგავს იმ მანერას, რომლითაც მაურინიოს "პორტო" თამაშობდა უკანასკნელ სეზონში. ფერნანდესი, უმთავრესად, 4-4-2 სისტემის მიმდევარია; თუმცა, ხშირად იყენებს 4-2-3-1 ან, სულაც, 4-3-3 სისტემებსაც. ის უდიდეს ყურადღებას უთმობს პრესინგს და სწრაფ თამაშს. ასე იყო მაურინიოც...


24 საათი

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს სახელმწიფო დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მიწოდების სტაბილურობა.

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

ოლიმპიური თამაშები

# პირველად იყო ათენი...

პაატა თოთაძე

ოლიმპიური თამაშების თანამედროვე ერა ათენში, საბერძნეთის დედაქალაქში დაიწყო 1896 წელს; ქვეყანაში, სადაც დიდი ხნით ადრე დაიბადა ოლიპიური თამაშები.

პირველი ოლიმპიური თამაშების გამართვა თავდაპირველად 1900 წელს პარიზში იყო ნავარაუდევი, თუმცა, ბერძენთა ძალისხმევით, თანამედროვე თამაშების ისტორია საბერძნეთიდან დაიწყო. იმ პერიოდში ქვეყანა საკმაოდ მძიმე ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდა, რის გამოც, ერთი ხანობა ოლიმპიადის უნგრეთში გადატანაზეც საუბრობდნენ.

პირველ თამაშებში მსოფლიოს 14 ქვეყნის 200 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, რომელთაგან უმრავლესობას ბერძნები შეადგენდნენ. რამდენიმე სახეობაში, მაგალითად - ფეხბურთსა და კრიკეტში შეჯიბრის გამართვა არ მოხერხდა გუნდების უკმარისობის გამო, ხოლო ნიჩბოსნობასა და აფროსნობაში ხელისშემშლელი ფაქტორი ამინდი აღმოჩდა. იმ პერიოდში გამარჯვებულს ვერცხლის მედლით, სიგელით და ზეთის ხილის გვირგვინით აჯილდოებდნენ. მეორე ადგილზე გასული ბრინჯაოს მედალს და დაფნის გვირგვინს იღებდა, მესამეადგილოსნები კი ხელცარიელები ბრუნდებოდნენ სახლში.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი ჯეიმს ბრენდან კონოლი გახდა - სამხტომში ის 13,71 მეტრზე გადახტა.

გარკვეული პრობლემები შეიქმნა მეორე ოლიმპიური თამაშების გამართვასთან დაკავშირებით. საქმე ის იყო, რომ როცა ოლიმპიადის მასპინძელი ირჩეოდა, საბერძნეთმა პრეტენზია გამოთქვა, რომ როგორც ოლიმპიური თამაშების სამშობლო, ყველა თამაში ამ ქვეყანაში უნდა გაიმართოს. თუმცა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი გაიტანა და ოლიმპიადის მასპინძლად პარიზი გამოაცხადა, სადაც იმავე პერიოდში მსოფლიო ბაზრობაც უნდა გამართულიყო. ამას ხელი საბერძნეთ-თურქეთის ომმაც შეუწყო ხელი. 1900 წელს პარიზში გამართულ თამაშებზე პირველად დაუშვეს ქალები, შეჯიბრებაში კი უკვე 28 ქვეყნის სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

მეოცე საუკუნის პირველი თამაშები ამერიკაში გაიმართა. 1904 წლის ოლიმპიადის მასპინძლად, თავდაპირველად, ჩიკაგო იყო დასახელებული, მაგრამ სენტ-ლუისში მსოფლიო ბაზრობა იმართებოდა და ბაზრობის ორგანიზატორებმაც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ულტიმატუმი წაუყენეს - თუკი თამაშები სენტ-ლუისში არ გაიმართებოდა, ისინი საკუთარ სპორტულ შეჯიბრს მოაწყობდნენ. შედეგად, ოლიმპიური კომიტეტი და ამერიკის პრეზიდენტი ბაზრობის ორგანიზატორთა ულტიმატუმს დასთანხმდა. თუმცა, როგორც შემდგომში გაირკვა, ცუდადაც მოიქცნენ. ამერიკელთათვის თამაშებზე მეტად საინტერესო ბაზრობა აღმოჩნდა, თანაც დიდი სატრანსპორტო ხარჯების გამო, ბევრმა სპორტსმენმა ამერიკაში ჩასვლაზე უარი განაცხადა. სენტ-ლუისში არც ოლიმპიური თამშების ფუძემდებელი ბარონი პიერ დე კუბერტენი ჩასულა.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა 1908 წელსაც, როდესაც ოლიმპიადისთვის რომს უნდა ემასპინძლა. ამ შემთხვევაში მასპინძლის შეცვლა ვულკან ვეზუვის ამოფრქვევამ გამოიწვია. ფინანსები, რომელიც თამაშების ჩატარებისთვის იყო საჭირო, იტალიის მთავრობამ ვულკანის ამოფრქვევის შედეგად მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოიყენა და თამაშებმაც რომიდან ლონდონში გადაინაცვლა.

პიერ დე კუბერტენის ინიციატივით, 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის სახეობების რაოდენობა 14-მდე შეამცირეს, თუმცა ერთი სახეობა - ხუთჭიდი დაამატეს. თამაშების სენსაციად ამერიკელი ხუთჭიდელი ჯიმ ტორპი იქცა, რომელმაც ხუთჭიდში და ათჭიდში უპრობლემოდ მოიგო შეჯიბრებები. შვედეთის მეფემ ტორპი მსოფლიოს უდიდეს სპორტსმენად დაასახელა. მოგვიანებით, როცა გაირკვა, რომ ტორპი მანამდე ბეისბოლს თამაშობდა და საამისოდ გასამრჯელოსაც იღებდა, სპორტსმენს ჯილდოები ჩამოართვეს. იმდროინდელი კანონების თანახმად, ოლიმპიადაზე მონაწილეობა მხოლოდ მოყვარულ სპორტსმენებს შეეძლოთ. ამდენად, ტორპი გახდა პირველი სპორტსმენი, რომელსაც ჯილდოები ჩამოართვეს, იმის გამო, რომ ის პროფესინალი იყო. სტოკჰოლმის თამაშები იმითაც გახდა გამორჩეული, რომ პირველად სწორედ შვედეთში გამოიყენეს ელექტრონული წამმზომი.

იძულებითი შესვენების შემდეგ, რომელიც პირველი მსოფლიო ომით იყო გამოწვეული, მომდევნო ოლიმპიური თამაშები 1920 წელს გაიმართა ანტვერპენში. გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, ბულგარეთი და თურქეთი არ იყვნენ მიწვეულნი ოლიმპიადაზე - მათი როლის გამო მსოფლიო ომში. ამ ოლიმპიადაზე პირველი ოქრო მოიპოვა სამხრეთამერიკელმა სპორტსმენმა, ბრაზილიელმა ჟილერმო პარენსემ.

პიერ დე კუბერტენი იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ 1924 წლის ოლიმპიადა არა ამსტერდამში, არამედ პარიზში გაიმართა. კუბერტენის აზრით, ამ თამაშებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოესპოთ აზრი იმის შესახებ, რომ ფრანგებს დიდი ტურნირის მასპინძლობის თავი არ აქვთ. ეს აზრი 1900 წლის ცუდად ორგანიზებული თამაშების შემდეგ წარმოიშვა. ამ თამაშებზე გერმანია კვლავაც არ იყო დაშვებული, დანარჩენ ოთხ ქვეყანას კი ვეტო მოუხსნეს. აქვე ბოლოჯერ გაიმართა საჩოგბურთო ტურნირიც, სანამ 60 წლის შემდეგ სეულის თამაშებზე ის კვლავ არ გახადეს ოლიმპიური სახეობა.

და მხოლოდ მომდევნო, 1928 წლის თამაშები გაიმართა ამსტერდამში. 16-წლიანი შესვენების შემდეგ თამაშებზე გამოსვლის ნება გერმანიასაც დართეს. ამსტერდამშივე აიღო სათავე ოლიმპიური ცეცხლის ანთების ცერემონიალმაც, რომელიც თამაშების დამთავრებამდე გიზგიზებდა.

გარკვეული პრობლემები შეიქმნა 192 წლის ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსაც გარკვეული ხარჯების გაწევა მოუხდა, თამაშები რომ არ ჩაშლილიყო. ეს, ძირითადად, სპორტსმენთა სატრანსპორტო ხარჯებს შეეხო.

ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დააფიქრა, ღირდა თუ არა ოლიმპიური თამაშების ბერლინში ჩატარება. საბოლოოდ ყველაფერი ბერლინისთვის დადებითად გადაწყდა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ იმავე წელს ზამთრის ოლიმპიურმა თამაშებმა იმავე გერმანიაში უპრობლემოდ ჩაიარა. ბევრი ქვეყანა, მათ შორის ამერიკა, ოლიმპიადის ბოიკოტირების წინადადებით გამოვიდა, თუმცა საბოლოოდ, ესპანეთის გარდა, რომელშიც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ყველა ქვეყანამ გაგზავნა წარმომადგენლები ბერლინში. თამაშები ადოლფ ჰიტლერმა გახსნა და მონაწილეთა უმრავლესობა, ამერიკის და ბრიტანეთის გარდა, ცერემონიალზე მას ნაცისტური მისალმებით შეხვდა. თამაშების ვარსკვალავდ ამერიკელი ჯესი ოუენსი იქცა, რომელმაც ოთხი ოქრო მოიპოვა. ეს იყო ბოლო თამაშები მეორე მსოფლიო ომის წინ - მომდევნო თამაშები მხოლოდ 12 წლის შემდეგ, 1948 წელს გაიმართა.

მისი მაპისნძელი ლონდონი გახდა, რომელსაც, წინასწარი გეგმით, 1944 წლის ოლიმპიადისთვის უნდა ემსაპინძლა. თამაშებში მონაწილეობა 59 ქვეყანამ მიიღო. მათ შორის არ იყვნენ გერმანია და იაპონია, გასაგებ მიზეზთა გამო, და საბჭოთა კავშირი, რომელიც არ იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი. უფულობის მიზეზით, ამ თამაშებზე არ იყო გაშენებული ოლიმპიური სოფელი, სპორტსმენები სამხედრო კაზარმებში და სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში განათავსეს. საკვებ პროდუქტს იმდროინდელ ლონდონში ბარათებზე იძლეოდნენ, ამიტომ სპორტსმენთა უმეტესობამ საკვები თან წაიღო.

საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადიდან ჩაერთნენ. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა ოლიმპიურ სოფელში "კაპიტალიზმის შვილებთან" ერთად ცხოვრებაზე უარი თქვეს და ამიტომ, ისინი სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში განათავსეს. ეს თამაშები სოციალიზმის და კაპიტალიზმის ბრძოლად იქცა, რადგან თითოეულ გამარჯვებას ოფიციალური პირები თავიანთი ქვეყნის და წყობის წარმატებად წარმოაჩენდნენ.

1956 წელს ავსტრალიამ ექვსთვიანი კარანტინი გამოაცხადა ქვეყანაში ცხოველთა შეყვანა-გამოყვანაზე. ეს პერიოდი მელბურნში ოლიმპიადის გამართვის დღეებს დაემთხვა, თუმცა ქვეყნის მთავრობამ კარანტინის მოხსნაზე უარი განაცხადა. ამის გამო, ცხენოსნობის შეჯიბრი შვედეთში გაიმართა. ოლიმპიური თამაშები პირველდ იმართებოდა სამხრეთ ნახევარსფეროშ, რამაც არაერთ სპოერტსმენს შეუქმნა პრობლემები. ყველანი წუწუნებდნენ იმაზე, რომ აკლიმატიზაციისთვის დიდი დრო სჭირდებოდათ. გარდა ამისა, სატრანსპორტო ხარჯები ძალიან დიდი იყო და ზოგიერთმა ქვეყანამ სპორტსმენთა რაოდენობა შეამცირა, ზოგიერთმა კი საერთოდაც უარი თქვა ავსტრალიაში გამგზავრებაზე. ტაივანის მონაწილეობის გამო, თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა ჩინეთმა, ჰოლანდიამ, ლიხტენშტაინმა, ესპანეთმა და შვეიცარიამ კი - საბჭოთა ჯარების უნგრეთში შეყვანისთვის.

1960 წელს იტალიამ პირველად უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს. სხვათა შორის, რომის ოლიმპიადა გახდა პირველი, რომლის ტრანსლირებაც ტელევიზიით მოეწყო. გახსნის ცერემონიალს, რომელიც მთელს მსოფლიოში გადაიცემოდა, რომის ოლიმპიურ სტადიონზე 100 000 მაყურებელი დაესწრო. მანამდე კი, საბჭოთა სპორტსმენების გარდა, ყველამ მიიღო რომის პაპის კურთხევა წმინდა პეტრეს მოედანზე.

იაპონია გახდა აზიის პირველი ქვეყანა,რომლმაც ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა. ეს 1964 წელს მოხდა. თამაშების კარგად ჩატარებისთვის ქვეყნის მთავრობამ 3 მილიარდი დოლარი დახარჯა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უკვე აღარ იყო მიწვეულთა შორის; ასევე, უარი უთხრეს ინდონეზიას და სამხრეთ კორეას, თუმცა ტოკიოში 14 ისეთი ქვეყნის წარმომადგენლები ჩავიდნენ, რომელთაც თამაშებში მონაწილეობა მანამდე მიღებული არ ჰქონდათ. იმ პერიოდისთვის გახდა ძიუდო და ფრენბურთი ოლიმპიური სახეობა.

1968 წლის ოლიმპიადას მექსიკამ უმასპინძლა. მაღალმთიანმა მეხიკომ გრძელ დისტანციებზე მორბენლებს მნიშვნელოვნად გაურთულა ცხოვრება, სხვა მხრივ კი, ეს ოლიმპიადა სხვებისგან გამოირჩა, რადგან, სირბილის გარდა, თითქმის ყველა სახეობაში მოიხსნა რეკორდები. საერთო ჯამში, მექსიკაში დამყარდა 34 მსოფლიოს და 38 ოლიმპიური რეკორდი.

1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშებზე მომხდარმა შოკში ჩააგდო მთელი მსოფლიო. ტერორისტების თავდასხმას 11 სპორტსმენის და ერთი პოლიციელის სიცოცხლე ემსხვერპლა. მეორე დღეს თამაშები შეწყდა, თუმცა ისრაელის ოფიციალურ პირთა თანხმობის შემდეგ მალევე განახლდა. ისრაელის გუნდი, ბუნებრივია, სამშობლოში დაბრუნდა, იგივე მოიმოქმედა ჰოლანდიის, ნორვეგიის და ფილიპინების ზოგიერთმა სპორტსმენმა.

გარკვეულმა შეცდომებმა პროექტირებაში და ხანგრძლივმა გაფიცვებმა მონრეალის 1976 წლის თამაშებს თავისი დაღი დაასვა. ოლიმპიადისთვის დაწყებისთვის სარემონტო თუ სამშენებლო სამუშაოები არ იყო დასრულებული და რიგ არენებზე შეჯიბრის გამართვა შეუძლებელი იყო. წინა ოლიმპიადაზე ტერორისტთა შეტევის შემდეგ ზოგიერთმა ქვეყანამ მონრეალში ჩასვლაზე უარი განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ზომები მნიშვნელოვნად იყო გაძლიერებული.

1980 წელს ოლიმპიური თამაშები პირველად გაიმართა სოციალისტურ ქვეყანაში. საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრის გამო, აერიკამ, დასავლეთ გერმანიამ და იაპონიამ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადეს, რამაც სერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის მომავალი ეჭვქვეშ დააყენა.

ამერიკელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს 1980 წლის თამაშებს, 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე გამოსვლისგან კი ამჯერად უკვე საბჭოთა კავშირმა შეიკავა თავი. ოფიციალური მიზეზად არადამაკმაყოფილებელი უსაფრთხოების ზომები დასახელდა, თუმცა ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საბჭოთა მთავრობამ ეს ამერიკელთა საპასუხოდ გააკეთა. თამაშების სატელევიზიო ტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად სულ უფრო მეტი თანხა იხარჯებოდა და, კრიტიკოსთა აზრით, თამაშები, რომელიც სამოყვარულო სპორტის უდიდეს ზეიმად ითვლებოდა, დროთა განმავლობაში უფრო მეტად იძენდა კომერციულ ხასიათს.

პოლიტიკამ, ვითომ, გადაინაცვლა მეორე პლანზე 1998 წელს, სეულის ოლიმპიური თამაშების დროს. სამხრეთ კორეაში, კუბის და ეთიოპიის გარდა, ყველა ქვეყანამ წარგზავნა თავისი სპორტსმენები, თუმცა დოპინგ სკანდალმა ამ თამაშებსაც დაასვა დაღი. მძლეონობაში კანადელმა ბენ ჯონსონმა იყოჩაღა - 100 მეტრი 9,79 წამში გაირბინა. ეს შედეგი დღესაც საუკეთესოდ ითვლება, თუმცა კანადელი სპორტსმენი აკრძალული პრეპარატების ხმარებაში ამხილეს და, ბუნებრივია, მედალიც ჩამოართვეს და დისკვალიფიკაციაც მისცეს. სეულში ოლიმპიადას დაუბრუნდა ჩოგბურთი.

პირველი ოლიმპიური თამაშები, რომელსაც ბოიკოტი არც ერთმა ქვეყანამ არ გამოუცხადა, 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიური თამაშები იყო. საერთაშორისო არენას დაუბრუნდა სახრეთ აფრიკის რესპუბლიკა, გერმანია კი ერთი გუნდით გამოვიდა. გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა ავღანეთმაც კი მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის არც ერთი სპორტსმენი არანაირ შეჯიბრში არ იღებდა მონაწილეობას. თავად გახსნის ცერემოანიალს კი მთელს მსოფლიოში 2 მილიარდმა ადამიანმა უყურა.

1996 წლის ოლიმპიდის მასპინძლობისთვის ატლანტა და ათენი შეებრძოლენ ერთმანეთს. ბერძნებს თამაშების 100 წლის იუბილე უმაგრებდა მხარს, თუმცა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ამერიკის ფაქტორმა ითამაშა; თანაც, ეს ქვეყანა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აზრით, თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, უკეთ შეძლებდა ტურნირის ორგანიზებას. ატლანტის პარკში მომხდარმა აფეთქებამაც ვერ შეუშალა ხელი იმას, რომ თამაშები იქ გამართულიყო.

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადა საუკეთესოდ ითვლება. თამაშები მორბენალმა კეტი ფრიმენმა გახსნა, რომელიც თან პირველი აბორიგენიც გახლდათ, რომელმაც ოქროს მედალი მოიგო სირბილში. "სახალხო" სპორტსმენად კი ეკვატორული გვინეის 22 წლის წარმომადგენელი დასახელდა. სპორტსმენმა, რომელმაც ცურვა ოლიმპიადის დაწყებამდე სულ ნახევარი წლით ადრე ისწავლა, სასწაულებრივად მოიგო საკვალიფიკაციო გაცურვა 100 მეტრზე და გულშემატკივართა გულები დაიპყრო.

სამ კვირაში მომავალი ოლიმპიადაც ისევე გახდება ისტორიის კუთვნილება, როგორც ყველა აქამდე გამართული.



პირველი ოლიმპიური თამაშების ფინალური გარბენი.





პიერ დე კუბერტენი და ჯეიმს ბრენდან კონოლი - პირველი ოლიმპიური ჩემპიონი.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

განახლებული გადაცემა "ხალხის პირისპირ" სექტემბრიდან კვლავ გავა რუსთავი 2-ის ეთერში. [illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელეპროექტი "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

[illegible] "ხალხის პირისპირ" [illegible] ანკეტის საშუალებით, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (რა ასაკის)

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადახდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

ხალხის პირისპირ

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტებს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს.

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

წესები კითხვის შესადგენად:

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# ბუნებრივი და თვალწარმტაცი

ტოპ-მოდელი ნადია აუერმანი დარწმუნებულია, რომ ყველაზე კარგად მაშინ გამოიყურება, როცა ზედმეტი არაფერი სცხია. "დღისით სახის შეღებვა არ მიწევს ხოლმე, და ამ დროს საკუთარი თავი ყველაზე მეტად მომწონს," გაუზიარა მან "ველტ ამ ზონტაგის" კორესპონდენტს. ის მოჰყვა, რომ მას შემდეგ, რაც თავისი "სამარკო ნიშანი", ლითონივით მბზინავი თმა დაივიწყა და ბუნებრივი თმის ფერი დაიბრუნა, ხალხი მის მიმართ ბევრად უფრო კეთილგანწყობილი გახდა. "როგორც ჩანს, უფრო ნაზი ადამიანის შთაბეჭდილებას ვახდენ," - თქვა ნადიამ.

ქალბატონ აუერმანის თქმით, მისთვის სტილისა და დისციპლინის საუკეთესო მაგალითი ბებიამისი იყო, ოპერის მომღერალი. "ის ცოტა ფრანგული განწყობის მქონე ქალი იყო. მოხდენილი კაბისა და კოსტიუმის გარეშე არასოდეს მინახავს, ყოველთვის სამკაული ეკეთა და საკუთარ ვარცხნილობასაც დიდ ყურადღებას უთმობდა". მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს რევმატიზმი სტანჯავდა, ბებია მოდუნებული და შეუხედავი არავის ეჩვენებოდა. "მე მასთან ერთად ყოფნა ძალიან მეამაყებოდა ხოლმე," იხსენებს ნადია.



# როგორ გაძარცვეს დები ჰილტონები

მილიარდების მემკვიდრეები, 19 წლის ნიკი და 23 წლის პერისი, ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდნენ. ლოს ანჯელესში, მათ ვილაში შეჭრილმა ქურდებმა არა მარტო ფული და სამკაული, არამედ ფოტოსურათები და ვიდეოფირებიც გააყოლეს ხელს - მათ ზუსტად იცოდნენ, რომ ამ ახალგაზრდა ქალების გამოსახულებას შეიძლება დიდი ფასი დაედოს. თუნდაც პერის ჰილტონისა და მისი ყოფილი საყვარლის, ნიკ კარტერის ფრიად საორჭოფო ხასიათის ფოტოები და ფირები რად ღირს! გარდა ამისა, ქურდების ხელთ დების პირადი კომპიუტერი და მრავალი ძვირფასი, დიზაინერთა ნამუშევარი ჩანთაც აღმოჩნდა. ჟურნალ US Weekly-სთვის მიცემულ ინტერვიუში ჰილტონების ოჯახის ერთი წევრი ამბობს, რომ ნაღდი ფულით სახლში მრავალი ასეული ათასი დოლარი ინახებოდა.

მძარცველები სახლში ფანჯრიდან შესულან. პერის ჰილტონმა ბრძანა, რომ ეს ვილა ნაქირავები ჰქონდათ, და ახლა ის და მისი და თავიანთ საკუთარ, უფრო დაცულ საცხოვრებელში აპირებენ გადასვლას.

"ყველაფერი წაიღეს... ყველაფერი, რაც რამ ძვირფასი გამაჩნდა. მთელი ჩემი სამკაული, მთელი ჩემი ფული," - შესჩივლა საწყალმა პერის ჰილტონმა ამერიკული ტელეარხის, KABC-ის კორესპონდენტებს.

ჯერჯერობით პოლიციას დამნაშავე არ შეუპყრია, არც იმას ამბობს, რა მოიპარეს და არც ეჭვმიტანილებს ასახელებს. ასე რომ, სულ მალე ჟურნალ-გაზეთების ფურცლები კვლავ ორი ბრძენი ჰილტონის ფოტოსურათებით აჭრელდება: მსოფლიოს ძალიან აინტერესებს, რა წაიღეს მძარცველებმა და ვინ იყვნენ ეს თავზეხელაღებულები.



## სკანვორდი



## TV პროგრამა

10 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "დიდი ადამიანი" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "გოთიკა". მთ. რ-ში: ჰოლი ბერი, რობერტ დაუნი უმცროსი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** შარლემანის ეპოქა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** ქალები ირჩევენ მამბოს. მხ. ფილმი. **15.30** საუბარი მწერალ შან სასთან. **16.50** გადაცემა: ისინი მოგვითხრობენ თავიანთ თავგადასავალს. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. **23.00** რეპორტაჟი მოსკოვიდან. **04.20** სიმენონი ტროპიკებიდან. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** სერიალი "ფსიქ-ფაქტორი" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **17.05** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **17.30** სერიალი "ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "ქიმერიონი" - რ. ესაძე **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მუს. არჩევნები **00.55** მხ. ფილმი "რბოლა-ქვემეხის ბირთვი" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ძვლების მტვრეველი" (15) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ჩვილის გასეირნება" (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "სიმართლე ჩარლიზე" (მარკ უოლბერგი) (15) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "შემოდგომის ლეგენდები" (ბრედ პიტი) (15)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "შტრაუსების დინასტია" **12.10** დეტ. სერიალი "ინსპექტორები" **13.10** მხ. ფილმი "ვარდნის სიწრაფე" (გ) (ჩარლი შინი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დრაკონის ბეჭედი" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **21.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "შავი რაინდი 2" (18) (ბეგ პულენი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. ფილმი "ჩემი სახლი" **21.15** მიამბეთ თქვენზე **22.00** მხ. ფილმი "ელიზა" (18)

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.10, 11.05, 13.15, 16.35, 17.20, 02.55** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.25** "ათენიდან ათენამდე" (მე-9 გადაცემა) **12.10** სერიალი "კლონი" **13.30, 02.25** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის მემუარები" **15.15** მხ. ფილმი "ტანდემი" (გ) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 02.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის მემუარები" **21.30** ლარის მახე **23.00** "ათენიდან ათენამდე" (მე-10 გადაცემა) **23.30** "ერთხელ ჰოლივუდში" **00.05** მხ. ფილმი "შიში ქალაქის თავზე" (გ)

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "უდარდელი ცხოვრება" **19.40** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "სახლი ქარიშხალში" (12)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 10.20, 19.00 Сериал "Клон" 11.20** Мультсериал "Кошки-мышки" **11.40** Дисней-клуб. "Новые приключения Винни Пуха" **12.10 Олег Стриженов в фильме "Сорок первый" 14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20 Дет. сериал "Следствие ведут знатоки. Пуд золота". 2-я серия 16.20** Криминальная Россия. "Ночные ястребы". 2-я серия **17.00** "Слабое звено" **18.20** Премьера. "Герой не нашего времени". Док. фильм **20.00 Сериал "Черный ворон" 21.00** Время **22.40** Лубянка. "Олимпиада - 80. Битва за Москву" **23.30** Искатели. "Ледовое побоище" **00.00 Олег Стриженов в фильме "Вместо меня" 01.50 Детективный сериал "24 часа" 02.40 Триллер Стивена Кинга "Кристина" 04.40 Сериал "Уровень 9" 05.30** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Союзник поневоле"

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.50 Сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 10.00** Сегодня утром. **10.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30 Сериал "ЗА КУЛИСАМИ..." 14.30** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30 Сериал "ОХОТА НА ЗОЛУШКУ". 12-я серия. 18.35** Протокол. **19.40** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 10-я серия. 20.50 Сериал "Я ВСЕ РЕШУ САМА". 2-я серия. 22.00** "Страна и мир" **22.35** Деми Мур в фильме **"СТРИПТИЗ" 00.55** Мэтт Диллон в триллере **"ПОЦЕЛУЙ ПЕРЕД СМЕРТЬЮ"**

# არმანის პროტესტი

იტალიელი დიზაინერი ჯორჯიო არმანი პროტესტს უცხადებს გაზეთ "ნიუ იორკ ტაიმსს" და ამ გაზეთში რეკლამის განთავსებაზეც უარს ამბობს. მიზეზი "ნიუ იორკ ტაიმსის" გამოხმაურება გახდა - გაზეთმა მისი გაზაფხულ-ზაფხულის 2005 წლის კოლექცია გააკრიტიკა.

"იტალიური მოდის შემოქმედებითი პოტენციალი ოდესღაც ჯორჯიო არმანის სახელთან იყო გაიგივებული, მაგრამ ახლა ასე აღარაა, - ნათქვამია მიმოხილვაში, - მოდით, ასეთი შეკითხვა დავსვათ: როდის შეიცვალა სიტუაცია? დიზაინერის იმიჯი არ შელახულა მაშინ, როცა დაიწყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მისი კომპანია, შესაძლოა, მსხვილმა კორპორაციამ შეისყიდოს; ეს არც იმის გამო მომხდარა, რომ ხალხმა დაივიწყა სამოცდაათ წელს მიტანებული არმანის დიდი წვლილი მოდის დიზაინის სფეროში..." მიზეზი უბრალოა. ახალი კოლექციის არმანისეული ჩანაფიქრი კრიტიკოსებმა არ მოიწონეს.



არმანის პირველი რეაქცია ის გახლდათ, რომ მან გაზეთში ფოტოების განთავსებაზე თქვა უარი, მერე კი საერთოდ რეკლამაზე თქვა უარი, მანამ სანამ მისი კოლექციის ახალი მიმოხილვა არ დაიბეჭდება.

"ყველაფერი ნათელია. Armani Group-მა თავისი სარეკლამო გეგმიდან ამოშალა "ნიუ იორკ ტაიმსი". ამ გადაწყვეტილების მიზეზი კი ის გახდა, რომ არმანის კომპანიასა და რედაქციას განსხვავებული შეხედულებები აქვთ და ბევრ საკითხში არ ეთანხმებიან ერთმანეთს. ამ წუთისთვის მეტი აღარაფერი გვაქვს სათქმელი," - ამბობს კომპანიის წარმომადგენელი ერთ-ერთ ინტერვიუში.

არმანის ჭირვეული ხასიათის ამბავი მასმედიისათვის კარგადაა ცნობილი. თავის დროზე მან უარი თქვა ამერიკულ ჟურნალ "ვოგში" რეკლამის განთავსებაზე და ცოტა არ იყოს უცნაური მიზეზიც დაასახელა: არმანის ფირმას ჟურნალის რედაქტორისგან არასაკმარისი მხარდაჭერა აქვსო.

# სიახლე ბროდვეიზე

Good Vibrations - ასე ჰქვია ახალ მიუზიკლს, რომელსაც ჯგუფ "ბიჩ ბოიზის" სიმღერები უდევს საფუძვლად და რომელიც ბროდვეიზე დეკემბრის დასაწყისში გამოჩნდება.

მიუზიკლის რეჟისორი და ქორეოგრაფი არის ჯონ კარაფა, მიუზიკლი რიჩარდ დრესერის ნაწარმოების მიხედვით არის დადგმული. დანარჩენს მოგვიანებით გავიგებთ. მიუზიკლის შემოქმედებითი ჯგუფი გვპირდება, რომ ეს იქნება ახალი ამბავი, და რომ ეს არ არის სამხრეთ კალიფორნიული როკ-ჯგუფის ისტორია.

ახალ სეზონზე Good Vibrations ორ მიუზიკლთან ერთად გამოჩნდება, ესენია: "ლენონი" და All Shook Up, ჯონ ლენონისა და ელვის პრესლის სიმღერების მიხედვით.



# სიყვარულის მავნებლობის შესახებ

ბენ აფლეკის მეგობარი და კოლეგა, მეტ დეიმონი, იმედოვნებს, რომ იმის შემდეგ, რაც ჯენიფერ ლოპესთან ურთიერთობა დასრულდა, ბენს შეიძლება კვლავ პროფესიული წარმატება ეღირსოს.

ჰოლივუდის ვარსკვლავისთვის, ალბათ, უაღრესად უსიამოვნო განცდაა, რომ ახალი ფილმის წარსადგენად მოგზაურობის დროს ყველა მისი კოლეგის ამბავს ეკითხება, რომელსაც ამ ფილმთან არაფერი აქვს საერთო. ეს ამბავი მეტ დეიმონმა გმირულად აიტანა - ბენ აფლეკისა და ჯენიფერ ლოპესის სასიყვარულო ამბებს ყველა მას ეკითხებოდა.

არც Gigli-ს და არც Jersey Girl-ს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია, და "პერლ ჰარბორისა" და Pay Check-ის შემდეგ პოპულარული ბენ აფლეკის კარიერის საქმე აშკარად ცუდად მიდიოდა.

ინტერნეტ-სამსახური "ვენ" აფლეკის მეგობრის, მეტ დეიმონის სიტყვების ციტირებას ახდენს: "მიუხედავად ამისა, ბენი ისე იყო ლოპესში შეყვარებული, რომ მისთვის ეს სულერთი იყო. ბენმა ყოველთვის იცოდა, რომ ამ ქალთან ერთად ყოფნა მისი კარიერისთვის ყველაზე დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა. მან იცოდა, რომ ცუდად ჰქონდა საქმე, მაგრამ მართლა შეყვარებული იყო. ისინი სულ ერთად იყვნენ და არაფერი აღელვებდათ. კარიერის თვალსაზრისით ორივემ თავი დაიღუპა. არავინ მისცემს ათ დოლარს იმის ახალი ფილმის სანახავად, ვისი ცხოვრების შესახებაც გაზეთები ყოველდღიურად წერენ".

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.ჯუნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.